Karaxidze

წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამს. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

კვირა, 11 აპრილი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 81 (1536)

დღიური

- საბერძნეთში მოხდა სამხედრო აჯანყება.
- იაპონიას დიდი იმედი აქვს უ-პეი-ფუსი.
- ამ დღეებში ესპანეთ-საფრანგეთი დაიწყებენ საზავო მოლაპარაკებას აბდ-ელ-ქერიმთან.
- ჩეხო-სლოვაკიაში მოელიან კონსტიტუციის შეცვლას.
- ინგლისის მუშები განაგრძობენ ბრძოლას მაღაროს მეპატრონეთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და ამერიკის შტატები

მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ორი დამოუკიდებელი პოლიტიკის სახელმწიფოებრივი ერთეულებია. არც ერთი და არც მეორე შეზღუდულნი არ არიან თავიანთ შინაურ და გარეშე მოქმედებაში იმ საერთო ხელშეკრულებებით, რომელნიც ასე სოკოსავით მომრავლდენ დასავლეთში ვერსალის ეგრედ წოდებულ ზავის შემდეგ და რომელნიც არსებითად ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა ჯგუფების ძალთა ჭიდილის გამოხატულებას წარმოადგენენ.

მიუხედავათ ამგვარ ობიექტიურ სოლიდარობისა, საბჭოთა კავშირის და ამერიკის შტატებს შორის ოფიციალურ დამოკიდებულებაში გაცილებით უფრო მტრულ განწყობილებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე საბჭოთა კავშირსა და სხვა რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის.

დღეს ამერიკის შეერთ. შტატები მთელ მსოფლიოში ერთადერთ დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელთანაც ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გაგვიბამს ნორმალური დიპლომატიური კავშირი. ამ სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელნი ყველაზე მეტად შეურიგებელ პოზიციას ადგანან საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ ამ განწყობილებას, რამდენადაც ვითარდება ეკონომიური ურთიერთობა ჩვენსა და ამერიკას შორის, დღითი-დღე ნიადაგი ეცლება და ჰაერში გამოკიდული რჩება.

პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია. რაც არ უნდა იყეფონ შეერთებულ შტატების დღევანდელ ოფიციალურ მესვეურებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს, დრო მაინც ჩვენს სასარგებლოთ იმუშავებს. ამის უტყუარი თავდებია ჩვენი მეურნეობის შეუჩერებელი ზრდა და ამასთან დაკავშირებული საგარეო ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც თანდათან ფართოვდება.

სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში თუ პირველი არა, ყოველ შემთხვევაში, არც უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. ჩვენი საფეიქრო მრეწველობა შეერთებულ შტატების ბამბით იკვებება, ფართე გასავალი აქვს საბჭოთა კავშირში ამერიკის ავტომობილებს და ტრაქტორებს. ამასთან ერთად უცხოეთის ბაზარზე ჩვენი ნავთის [illegible] უწევს [illegible] ნავთის ფირმებს.

[illegible]ონომიური ურთიერთობა კი ბუნებრივად ბადებს დიპლომატიურ ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობასაც. რაც უფრო, ვითარდება ჩვენი სავაჭრო დამოკიდებულება კაპიტალისტურ ქვეყნებთან, და მათ შორის ამერიკასთანაც, მით უფრო ძლიერდება ამერიკის ბურჟუაზიულ წრეებში მიდრეკილება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ კავშირის აღდგენისაკენ. ამ მიდრეკილების ერთ-ერთ დამახასიათებელ გამოძახილად სხვათა შორის უნდა ჩაითვალოს ცნობილ ნავთის ფირმის „სტანდარტ ოილის" გავლენიან მოღვაწის აივი ლის წერილები, რომელსაც დღეს გადმოგვცემს ტელეგრაფი.

რით ასაბუთებს ლი საბჭოთა კავშირის ცნობის აუცილებლობას?

„ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ, სწერს ლი; როცა მე ვიმგზავრე ევროპაში, ზოგიერთ პრემიერებთან საუბრის დროს, მივედი იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის ცნობა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბოლშევიზმის მოსაკლავათ."

როგორც ხედავთ, ჭკვიანი კაცია ამერიკელი მენავთე ლი. ერთი გასროლით ის ორ კურდღელს ჰკლავს. საბჭოთა კავშირის ცნობა, რომელიც ამერიკელ კაპიტალისტებს გზას გაუწმენდს ჩვენს რესპუბლიკებთან კომერციულ ურთიერთობის გაფართოებისათვის და ამავე დროს აქედან გამომდინარე ბოლშევიზმის აუცილებელი დასამარება. მაგრამ ამერიკის ახალ კოლუმბის ახალ აღმოჩენამ ერთობ დაიგვიანა.

ეს გზა კარგა ხანია გათელილია სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოების მიერ. ეს გახლავთ საბჭოთა კავშირის ეგრედ წოდებული ეკონომიურათ დამორჩილება, რომელიც ანტანტის ზოგიერთ სახელმწიფოების აზრით უთუოდ უნდა მოჰყოლოდა შედეგათ ევროპის მიერ ჩვენი რესპუბლიკების იურიდიულად ცნობას და დიპლომატიურ კავშირის დამყარებას.

ამ გზით წავიდნენ ევროპის ყველა უდიდესი ბურჟუაზიული სახელმწიფოები. მათ იცნეს საბჭოთა კავშირი იურიდიულათ. ამის შემდეგ გავიდა წლები და სინამდვილემ სულ წინააღმდეგი დაგვანახვა. საბჭოთა კავშირი იზრდება ეკონომიურათ, მტკიცდება პოლიტიკურათ და მისი იდეური გავლენა დღითი-დღე ძლიერდება.

მაგრამ ლი მარტო ამით როდი კმაყოფილდება. მისი აზრით საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას სხვა სარგებელიც შეუძლია მოუტანოს შეერთებულ შტატებს. „როცა რუსეთის მთავრობას ეყოლება დიპლომატიური წარმომადგენლები შეერთებულ შტატებში, ამბობს ის, ყველაფერი, რასაც კი ისინი გააკეთებენ, სასტიკი თვალყურის დევნების ქვეშ იქნება და საზოგადოებასაც ასცდება ბოლშევიზმის საშიშროება. რაკი ამ აგენტებს ეცოდინებათ, რომ ისინი იჭვის ქვეშ იმყოფებიან, მეტად ფრთხილი იქნებიან. ჩემი დაკვირვებით კომუნისტური პროპაგანდის შედეგები ინგლისში, საფრანგეთში და იტალიაში გაცილებით უფრო ნაკლებია მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა იცნეს რუსეთი და აღადგინეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

ამნაირათ მესამე მოსაზრება, რომელიც სარჩულად უდევს ლის წერილებს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, ყოფილა კომუნისტურ პროპაგანდის საშიშროებასთან ბრძოლა.

მაგრამ აქაც მაგალითისათვის შორს წასვლა არ შეგვიხდება. ავიღოთ იგივე ევროპის სახელმწიფოები, რომელთანაც დღეს საბჭოთა კავშირს ნორმალური დიპლომატიური კავშირი აქვს. [illegible] ჩეხო-სლოვაკიაში, სადაც კომუნისტურ პარტიებმა [illegible]ში და უკანასკნელი დამატებითი არჩევნები საფრანგეთის ერთ დეპარტამენტში, სადაც კომუნისტურ პარტიებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, ლის გენიოსურ აღმოჩენის საკუთარი გამაბათილებელ ილიუსტრაციას წარმოადგენს. ბრიყვს ვერ გაუგია დღემდი, რომ კომუნისტურ პროპაგანდის ყველაზე უფრო უებარი იარაღია პირველყოვლისა თვით კაპიტალისტურ რეჟიმის აუტანელი პირობები და მხოლოდ ამის შემდეგ საბჭოთა კავშირი, რომელიც თავისუფლებისა და გამარჯვების სინონიმია მსოფლიო მშრომელი კაცობრიობისათვის.

მიუხედავათ იმისა, რომ ლის არ დაუფასეს ასეთი ერთგული პროპაგანდა შეერთებულ შტატების სასარგებლოთ და მას, ასე გასინჯეთ, ბოლშევიკობაც კი დასწამეს, ჩვენ მაინც დარწმუნებული ვართ, რომ ამ „ბოლშევიკურ" აზრებს, ისე როგორც ევროპის უდიდესი სახელმწიფოები, გაიზიარებენ ამერიკის შტატების მესვეურებიც.

ჩვენ მზათა ვართ საქმიანი კავშირი გავაბათ კაპიტალისტურ ამერიკასთან, თუნდაც კავშირი ლის „ბოლშევიკურ" მოსაზრებებზე ემყარებოდეს. დრო ჩვენს სასარგებლოთ მუშაობს და ის გასცემს პასუხს ისტორიულ დავას სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

პროფკავშირები და კონფლიქტების მოწესრიგება

პროფკავშირების მუშაობა შრომის პირობების და მუშათა სამუშაო ხელფასის მოსაწესრიგებლად, კოლექტიურ ხელშეკრულების დადების გზით, უშუალოდ დაკავშირებულია წარმოება-დაწესებულებებში კონფლიქტების წარმოშობასთან.

დამქირავებელსა და პროფკავშირებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

ა) კონფლიქტები, რომლებიც წარმოიშვება დამქირავებლებსა და პროფკავშირებს შორის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს.

ბ) კონფლიქტები, რომლებიც წარმოიშვება დამქირავებლების მიერ შრომის კანონმდებლობის ნორმების ან კოლექტიური ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო.

თავის-თავად ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში კონფლიქტი ეხება მუშათა მასების საარსებო ინტერესებს. მაგალითად, ცნობილია, რომ კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს წარმოშობილი კონფლიქტი სამეურნეო ორგანოებსა და პროფკავშირებს შორის იმდენად ნერვიულად მოქმედობს მუშათა მასებზე, რომ კონფლიქტის გარშემო მოლაპარაკების პერიოდში საგრძნობლად ეცემა შრომის ნაყოფიერება. კონფლიქტის გაჭიანურება და ამით შექმნილი გაურკვეველი მდგომარეობა მუშებში იწვევს შრომის ენერგიის მოდუნებას და, ზოგიერთ შემთხვევებში, არაორგანიზაციულ გამოსვლებსაც.

ჩვენი შრომის კანონმდებლობა აწყობს ისეთ ორგანოების მთელ ქსელს (შემფასებელი-საკონფლიქტო კომისიები, შემარიგებელი კამერები, სამედიატორო სასამართლოები), —რომელნიც უზრუნველჰყოფენ კონფლიქტების მიუდგომელ და ჩქარ გადაწყვეტას, რადგან ორგანოებში ორივე მხარეს ჰყავს წარმომადგენელთა თანასწორი რიცხვი და აქვთ თანასწორი ხმები (პარიტეტულ ნიადაგზე). მაგრამ, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ დღემდის არსებულ კონფლიქტების მოგვარების პრაქტიკას, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი არ იყო დამაკმაყოფილებელი. მის ძირითად ნაკლს წარმოადგენს საკითხის გადაჭრის ბიუროკრატიული მეთოდი. ხშირად დაწყებული კონფლიქტი ისე დიდხანს რჩება შემარიგებელ ან „სამედიატორო" ორგანოებში, იმდენხანს ჭიანურდება საჩივერი, რომ მუშას ეკარგება მისი ჩვეულებრივი გზით—კავშირის საშუალებით გადაწყვეტის იმედი და მუშები ზოგჯერ სცდილობენ უშუალო ზეგავლენა მოახდინონ საქმის მსვლელობაზე.

სამეურნეო ორგანოები სცდილობენ კონფლიქტების მოგვარებას ცენტრალურ ორგანოების საშუალებით. აქედან გამოდის ის, რომ წარმოებაში წარმოშობილი უბრალო კონფლიქტი გაივლის ათეულ „ინსტანციებს" და ბოლოს გადადის შრომის სახ. კომისარიატის ან კავშირის ცეკას ხელში მთელი დასტა ქაღალდების სახით, რომელიც აჭრელებულია რეზოლიუციებით, შენიშვნებით, დასკვნებით და სხვა.

პროფკავშირები ხშირად იმყოფებიან რა კონფლიქტში სამეურნეო ორგანოებთან, არ აწვდიან მუშათა მასებს არავითარ ცნობებს კონფლიქტის მიმდინარეობის შესახებ. ის გარემოება, რომ მუშათა საზოგადოებრიობა სრულიად არ იცნობს კონფლიქტის მდგომარეობას—არის უდიდესი ბოროტება, რომელიც ძირიანფესვიანად უნდა აღმოიფხვრას.

პროფკავშირმა არც ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს, რომ კონფლიქტის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ ათეული და ზოგჯერ ასეული ცოცხალი ადამიანები—კავშირის წევრები.

ასეთ პირობებში აშკარად არანორმალურად უნდა ჩაითვალოს პარტორგანოების ჩარევა კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ისეთ ორგანოს სახით, რომელიც უშუალოთ აგვარებს კონფლიქტს.

იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ადგილებში პარტორგანოები სცვლიდენ შემარიგებელ და სამედიატორო საკონფლიქტო ორგანოების გადაწყვეტილებებს თავიანთი დადგენილებებით. ეს მეთოდი იწვევდა მხარეების უპასუხისმგებლობას; სამეურნეო ორგანოები ეფარებოდენ პარტკომებს, როდესაც საჭირო იყო ანგარიშების ჩაბარება ზევით მდგომ სამეურნეო ორგანოებისათვის; პროფორგანო არ სთვლიდა თავს პასუხისმგებლად წევრთა მასის წინაშე.

აი, ამიტომ პარტიის მე-XIV-ე ყრილობამ კონფლიქტების გადაჭრის ასეთი მეთოდი უარჰყო და აღნიშნა, რომ „კონფლიქტების მორიგებით და სამედიატორო წესით გარჩევისათვის გვერდის ახვევა, ასეთების პარტორგანიზაციებში გადატანის გზით, ავტორიტეტს უკარგავს მომრიგებელ ინსტანციებს და სამედიატორო სასამართლოებს, ბადებს უპარტიო მუშათა მასებში თავ-თავის კავშირებისადმი უნდობლობას სადაო საკითხების სისწორით და მიუდგომლათ გადაჭრაში, და ხშირად პრაქტიკაში კონფლიქტის გართულებას და არა შეკავშირებულ გამოსვლებს იწვევს".

ამასთან ერთად ყრილობამ აუცილებლად სცნო: „გაძლიერებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის, როგორც ობიექტიური სუპერ-არბიტრის, ავტორიტეტი და როლი სახელმწიფო მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტების გადაჭრის საქმეში"; აღნიშნულმა კომისარიატმა უნდა გადასჭრას სამეურნეო ორგანოებსა და პროფკავშირებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები ისე, რომ „სოციალისტური მრეწველობის განვითარების ინტერესები შეუთანხმოს საერთოდ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ მშრომელთა ცალკე ჯგუფების ინტერესებს".

მ. შ.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ამერიკის ჟურნალისტის აზრი საბჭოთა კავშირის შესახებ

„საბჭოთა მთავრობა ეხლა გაცილებით უფრო მტკიცეა ვინემ ოდესმე"

ნიუ-იორკი, 9 აპრილი.—პრესაში მოთავსებულია ნავთის კომპანიის **„სტანდარტ ოილის"** აგენტის აივი ლის წერილები და მოხსენებები, **რომელშიაც ის მხარს უჭერს ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.** ამის გამო ლი თვითონ შეუდგა წერილის გამოქვეყნებას.

ქვემოდ მოყვანილია ადგილები ამ წერილებიდან, რომელიც იძლევა ლის არგუმენტაციის ნიმუშებს. ერთ-ერთ ასეთ წერილში, რომელიც დაწერილია 1926 წ. 7 ძანვარს ნიუ-იორკის სავაჭრო პალატის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის დე-ბასტუს სახელზე, ლი სხვათა შორის სწერს შემდეგს:

„ამერიკის ბევრი კონცერნები აწარმოებენ მოლაპარაკებას იმ მიზნით, რათა აღდგენილ იქნას უფრო აქტიური კომერციული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ამერიკის ერთ-ერთი დიდი კომპანია საბჭ. კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების მიზნით, შარშანდელ ზაფხულზე აწარმოებდა მოლაპარაკებას ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყებებთან, იმის გასაგებათ, თუ როგორი იქნება იმ ქვეყნების მომავალი პოლიტიკა, რომელთა მიერ საბჭ. კავშირის ცნობა ძალაში რჩება.

სავაჭრო პალატის აღმასრულებელი კომიტეტი უნდა სცდილობდეს, რათა: 1) დაიცვას ჩვენი დაწესებულებანი საშიშარ პროპაგანდის შედეგებისაგან; 2) აიძულოს საბჭ. კავშირი უფრო საქმიანი თვალსაზრისით უცქიროს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს.

რაც შეეხება პირველ პუნქტს, მე ყველაზე ნაკლებ მეშინია იმის, რომ საბჭ. მთავრობის აგენტები ჩვენს წინააღმდეგ საშიშ პროპაგანდას აწარმოებენ. თუ საბჭოთა მთავრობას დიპლომატიური წარმომადგენლები ეყოლება შეერთებულ შტატებში, თვითეულ მათ ნაბიჯს საზოგადოება თვალყურს ადევნებს და სათანდო წინააღმდეგობასაც გაუწევს. ეს აგენტები ასეთ პირობებში ძალიან ფრთხილი და წინდახედული იქნებიან. ჩემის დაკვირვებით კომუნისტური [illegible] რაც ამ ქვეყნებმა საბჭოთა კავშირი იცნეს და განაახლეს მათთან დიპლომატიური ურთიერთობა. მაგალითად ინგლისში საბჭოთა კავშირი იცნო მუშათა მთავრობამ და სწორედ ამ მომენტიდან, ჩემის აზრით, საბჭოთა გავლენა ინგლისში თანდათან შესუსტდა. მე ვფიქრობ, ევროპაში ყველა დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ამ ჟამად კომუნიზმის გავლენა გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე 5 წლის წინად.

რაც შეეხება საკითხს,—არის თუ არა ცნობა საუკეთესო საშუალებათ იმისათვის, რათა საბჭოთა კავშირს შეევცვალეებინოთ თავისი მეთოდები, ჩემის აზრით, არაფერი არ ამართლებს ისეთ მოსაზრებას, თითქოს ის პოლიტიკა, რომელსაც დღემდი სახელმწიფო დეპარტამენტი აწარმოებდა, ჩვენთვის ხელსაყრელი იყოს. **საბჭოთა მთავრობა, როგორც ამტკიცებენ, ეხლა გაცილებით უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე.** საბჭოთა კავშირის ეხლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ სერიოზული მოძრაობა არ არსებობს. მაგრამ ეხლანდელი რეჟიმი თანდათან ნაკლებ კონსერვატიული ხდება. კომუნისტურ პარტიაში არის განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც მოითხოვს კურსის შეცვლას.

საკითხი მდგომარეობს იმაში—შეიძლება თუ არა იმათი პოზიციის განმტკიცება, ვინც სცდილობს დაამტკიცოს კონკრეტიული ფაქტებით, რომ საბჭ. კავშირის აღდგენის ერთად ერთი საშუალებაა ვალების და კერძო საკუთრების უფლების ცნობა.

ჩემი შეხედულება ამ საკითხზე გამომუშავდა ჯერ კიდევ 5 წლის წინად, როდესაც ევროპაში მოგზაურობისას რამდენიმე პრემიერთან საუბრის დროს დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა იქნება საუკეთესო საშუალება ბოლშევიზმის მოსასპობად".

შემდეგ ლი არწმუნებს დე-ბასტუს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა არავითარ საფრთხეს არ უმზადებს ამერიკას და განაგრძობს: „ჩვენ გვაქვს ინგლისის გამოცდილება. ინგლისმა იცნო საბჭოთა კავშირი, მაგრამ შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირი სცდილობდა სესხის მიღებას ინგლისში, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. [illegible] ლებრივი უფლებები. მოქალაქეობრივი უფლება ენიჭება ყველას, ვინც კანონებს არ არღვევს, კრედიტი კი მხოლოდ იმას, ვინც იგი დაიმსახურა".

მაგრამ ლის საჭიროთ არ მიაჩნია, რათა სავაჭრო პალატამ დაუყოვნებლივ მიიღოს რეზოლიუცია ცნობის შესახებ. მისი აზრით საჭიროა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ნამდვილი ვითარების გაცნობა, რათა შესაძლებელი იყოს საბჭოთა კავშირის დაბრუნება დანარჩენ ხალხთა ოჯახში, და რაც მთავარია, დავამყაროთ მასთან მეგობრული ურთიერთობა.

„ჩემის აზრით, პალატამ უნდა დანიშნოს სპეციალური კომისია, საბჭოთა პრობლემის შესასწავლად და სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად".

ამ შეხედულებათა დაცვისათვის ლის ბოლშევიკობა დასწამეს სავაჭრო პალატის აღმასრულებელ კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა გაუგზავნა ლის წერილი, რომელშიაც გამოსთქვამს მწუხარებას, რომ „ლი მხარს უჭერს ბოლშევიკურ მოძრაობას".

ამის გამო ლი სენატორ **ელიუ რუტს სწერს** შემდეგი შინაარსის წერილს 3 მარტის თარიღით:

„ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა განცხადებამ, რომ ერთი მთავრობის მიერ მეორეს ცნობა გულისხმობს ამ უკანასკნელის პრინციპების, მიზნების და ზრახვების გაძლიერებას, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძნელი გასაგებია ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მოქმედება. მე არასოდეს მხარს არ დავუჭერდი საბჭოთა კავშირის ცნობას, თუ ეს გამოიწვევდა კომუნისტური გავლენის გაძლიერებას. მაგრამ, რამდენათაც მე ვიცი, მას შემდეგ, რაც ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ იცნეს საბჭოთა კავშირი, უკვე თვით საბჭოთა კავშირშიაც შესუსტდა კომუნიზმის ძალა და იქ შემჩნეულია კაპიტალისტური პრინციპების გაძლიერება.

დასასრულ ლი ასე გამოხატავს თავის თვალსაზრისს:

„მე არაოდეს არ მოვინდომებ, რომ ამერიკამ იცნოს საბჭოთა კავშირი იმ შემთხვევაში, თუ ყველა ფაქტების შესწავლის შემდეგ თქვენ ამას არაგონივრულად ჩასთვლით, მაგრამ მე [illegible] საბჭ. კავშირის ცნობა გონივრული აქტი იქნება".

„რეფორმისტები" ჩეხო-სლოვაკიაში

პრაგა, 9 აპრილი. ამ უკანასკნელ დროს ჩეხის ნაციონალ-სოციალისტების ორგანო **„ჩესკე სლოვო"** კამპანიას აწარმოებს ჩეხო-სლოვაკიაში საარჩევნო უფლების გადასინჯვის სასარგებლოთ. ნაციონალ-სოციალისტების პარტიას საერთოდ ჯერ კიდევ არ მიუღია გარკვეული გადაწყვეტილება ამ საკითხში. საარჩევნო კანონის გადასინჯვის მომხრეები აღნიშნავენ, რომ არსებული კანონი „ძალიან დემოკრატიულია" და შეუძლებელს ხდის მტკიცე უმრავლესობის შექმნას პარლამენტში. „ჩესკე სლოვო" ირონიულად მიუთითებს „უკულტურო სლოვაკებზე და წერა-კითხვის უცოდინარ რუსინებზე", რომელნიც სხვა მოქალაქეებთან თანაბარი საარჩევნო უფლებებით სარგებლობენ. გაზეთი მოითხოვს პროპორციონალურ საარჩევნო სისტემიდან მაჟორიტარულზე გადასვლას. ამასთანავე იტალიელ ფაშისტების მაგალითის მიხედვით, გაზეთი მოითხოვს, რომ იმ პარტიას, რომელიც შედარებით ხმების უმრავლესობას მიიღებს, გადაეცეს მანდატების აბსოლიუტური უმრავლესობა (მსგავსად იტალიისა).

შემდეგ გაზეთი მოითხოვს ჩეხო-სლოვაკიის დაყოფას სამ საარჩევნო ოლქად: ერთი იქნება ჩეხო-სლოვაკური, მეორე გერმანული და მესამეც ჰუნგრული; თვითეულ ამ ოლქს უნდა მიეცეს მანდატების განსაზღვრული რაოდენობა, მიუხედავად ამომრჩეველთა რაოდენობისა.

ასეთი რეფორმის ახლო მომავალში განხორციელება ძალიან საეჭვოა, რადგან ამისათვის საჭიროა მთელი პარლამენტის" სამი-მეხუთედის თანხმობა. კოალიციონური პარტიები დათანხმდებიან ასეთ რეფორმას. სოციალ-დემოკრატები და აგრარიები ეხლაც ილაშქრებენ მის წინააღმდეგ.

[illegible] მხარს.

ინგლისის მუშების ბრძოლა

თათბირი

ლონდონი, 9 აპრილი. 8 აპრილს შესდგა მაღაროს მუშების ფედერაციის აღმასკომის და ტრედ-იუნიონების კონგრესის საბჭოს კომისიის გაერთიანებული სხდომა. ამ თათბირს დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან მან დირექტივები უნდა მისცეს დელეგატების ნაციონალურ კონფერენციას, რომელიც გაიხსნება 9 აპრილს. თათბირის შედეგებს ჯერ საიდუმლოთ ინახავენ.

დომინიონების უკმაყოფილება

ლონდონი, 9 აპრილი. **ინგლისის დომინიონების პრესა აღნიშნავს ინგლისის სანახშირო მრეწველობის კრიზისის სერიოზულობას და აფრთხილებს იმპორტიორებს, რომ საჭიროა თვალყურის დევნება ნახშირის მრეწველობის კრიზისისათვის, რათა საყოველთაო გაფიცვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნეს ზომების მიღება ნახშირის მისაღებათ სხვა წყაროებიდან.**

მუშათა ფრაქცია უმუშევრობის შესახებ

ლონდონი, 9 აპრილი. პარლამენტის მუშათა ფრაქციამ ამ დღეებში იქონია მსჯელობა მთავრობის დამოკიდებულების შესახებ უმუშევრობის საკითხთან. დადგენილ იქნა ეთხოვოს ლანსბერის, როგორც ტრედ-იუნიონების კონგრესის და მუშათა პარტიის მიერ შედგენილი უმუშევრობის გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარეს, წარმოუდგინოს პარლამენტის მუშათა ფრაქციას მოხსენება პრაქტიკულ წინადადებების შესახებ, რომელნიც, გაერთიანებული კომისიის აზრით, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ განხორციელებულნი მთავრობის მიერ.

პროფკავშირების პოზიცია

ლონდონი, 9 აპრილი. **ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს საგანგებო-კომისიამ მაღაროს მუშების წარმომადგენლებთან თათბირის შემდეგ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც თანაგრძნობას უცხადებს მაღაროს მუშებს.**

მუშები განაგრძობენ ბრძოლას

ლონდონი, 9 აპრილი. 9 აპრილს გაიმართა ინგლისის სამთომადნო მუშათა ფედერაციის კონფერენცია, რომელმაც მიიღო ფედერაციის აღმასკომის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია. რეზოლიუცია წინადადებას აძლევს ფედერაციის საოლქო ორგანიზაციებს არ დასთანხმდენ სამუშაო დღის გადიდებაზე; მოითხოვონ მაღაროს მეპატრონეებთან ხელშეკრულების დადება მთელი ინგლისის მასშტაბით; უარი სთქვან ხელფასის ყოველგვარ შემცირებაზე.

ამ წინადადებებს აცნობებენ საოლქო ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ განსახილველად, რის შემდეგ მოწვეული იქნება სადელეგატო კონფერენცია საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად. სამთომადნო მუშათა საოლქო ორგანიზაციებს რეზოლიუციის განსახილველად ერთგვარი დრო დასჭირდებათ და ეს საშუალებას მისცემს ფედერაციის აღმასკომს, განაგრძოს წინასწარი მოლაპარაკება მაღაროების მეპატრონეებთან. მოლაპარაკება დანიშნულია 13 და 14 აპრილს, მაგრამ გამოირკვა, რომ კომპრომისი იმ მხრივ, რომ მუშების მდგომარეობა გაუარესდეს, შეუძლებელია.

მალვის გადადგომა

გადადგომის მიზეზი

პარიზი, 8 აპრილი. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მალვი გადადგა.

„ჰავასის" ცნობით, მალვიმ მიმართა ბრიანს წერილით, რომელშიაც აღნიშნავს მისი გადადგომის მიზეზს.

როგორც კი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მალვი დაინიშნა, მემარჯვენეებმა მის წინააღმდეგ დაი[illegible]

რეაქციონერების კამპანიამ მალვის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც პოლიციელების მიერ დემონსტრაციის გარევის დროს მოკლულ იქნა სტუდენტი რიდარი. აღნიშნული დემონსტრაცია პატრიოტული ახალგაზრდობის ფაშისტურმა ლიგამ მოაწყვეს მალვის წინააღმდეგ).

ბერლინი, 9 აპრილი. მალვიმ ჩააბარა ბრიანს განცხადება გადადგომის შესახებ.

ბრიანი დაუყოვნებლივ გაემგზავრა პრეზიდენტ დუმერგთან, რომელთანაც თათბირი ჰქონდა.

შემდეგ დუმერგს თათბირი ჰქონდა პენლევესთან, პერესთან და დიურანთან.

პარიზი, 9 აპრილი. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი **მალვი** თავის გადადგომას ხსნის იმით, რომ მას საშუალება ექნება თავისუფლად აწარმოოს ბრძოლა ცილის მწამებელთა წინააღმდეგ.

მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენი" ირწმუნება, რომ მალვის, მემარცხენე ბლოკის ძველი პროგრამის თანახმად, არ შეეძლო მოეწონებია ბრიანის პოლიტიკა და ამიტომ გადადგა.

კომუნისტური ორგანო „ლიუმანიტე" [illegible] ტრალიტეტი და ეხლა კი ჩამოიშორა მალვი, რათა მარჯვნივ გააფართოვოს მთავრობის უმრავლესობა პარლამენტში.

ნაციონალურ ბლოკის წრეებში ამტკიცებენ, რომ მალვი წავიდა იმისათვის, რათა მემარცხენე ბლოკისათვის მიეცა საბაბი დაიწყოს კამპანია მთავრობის წინააღმდეგ.

მალვის მემკვიდრე

პარიზი, 9 აპრილი. ფიქრობენ, რომ მალვის ადგილს დაიჭერს მიწათმოქმედების მინისტრი **დიურანი**.

პარიზი, 9 აპრილი. **მიწათ-მოქმედების მინისტრმა ბრიანის ეხლანდელ კაბინეტში რადიკალ-სოციალისტმა დიურანმა თანხმობა განაცხადა დაიკავოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა.**

ომი მაროკოში

მოლაპარაკების წინ

პარიზი, 9 აპრილი. **„ჰავასის"** სააგენტო იტყობინება:

„8 აპრილს **ბრიანს** თათბირი ჰქონდა ესპანეთის ელჩთან პარიზში **კინონიეს-დე ლეონთან** იმ პირობების შესახებ, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება მოლაპარაკება რიფების ტომების წინამძღოლებთან მაროკოში მტკიცე მშვიდობიანობის დასამყარებლათ. **საფრანგეთი და ესპანეთი სავსებით შეთანხმებულად გამოვლენ რიფებთან საზავო მოლაპარაკების დროს იმ შეთანხმების ნიადაგზე**, რომელიც მათ ერთმანეთს შორის დასდეს გაერთიანებულად მოქმედების შესახებ მაროკოში.

პარიზი, 9 აპრილი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ იქონია მსჯელობა მაროკოში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. **მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთის სარდლობასა და აბდ-ელ-ქერიმს შორის დაუყოვნებლივ დაიწყება.** საფრანგეთის დელეგაცია უკვე დანიშნულია. მოლაპარაკება გაიმართება **უჯდაში** (მაროკო) საფრანგეთის და ესპანეთის წინასწარი თათბირის შემდეგ".

დაუესის გეგმა

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. ნიუ-იორკის სავაჭრო პალატა აქვეყნებს საერთაშორისო სავაჭრო პალატის ამერიკული სექციის მოხსენებას, საიდანაც სჩანს, რომ ის თანხები, რომელიც გერმანიამ უნდა გადაიხადოს დაუესის გეგმის თანახმად, არის უდიდესი, რომლის გადახდა გერმანიას შეუძლია დღევანდელ პირობებში. **მოხსენებაში ნათქვამია, რომ შემდეგ წლებში გერმანია იძულებული იქნება დაფაროს გადასახადები ნატურით, რადგან მას აღარ შეეძლება უფრო მეტი თანხების მოგროვება.**

ბანკირების მუქარა

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. ეხება რა ჩიჩერინის უკანასკნელ ინტერვიუს ერთა ლიგის შესახებ, **დემოკრატიული პარტიის კონსერვატიული ფრთის ორგანო „ნიუ-იორკ ტაიმსი", ჩიჩერინის განცხადებას სრულიად ლოღიკურად სთვლის.**

„ევროპას, რა თქმა უნდა, შეუძლია განთავისუფლდეს ამერიკის ფინანსიურ კონტროლისაგან კომუნიზმის დახმარებით, სწერს გაზეთი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამერიკა სესხს აღარ მისცემს ევროპას".

მოსულის საკითხი

ანგორა, 9 აპრილი. ინგლისის ელჩი **ლინდსეი** სტამბოლიდან გაემგზავრა ლონდონში, სადაც მოხსენებას წარუდგენს ინგლისის მთავრობას.

ამის გამო „ჟურნალ დ-ორიან" სწერს:

„ოსმალეთის მმართველ წრეებში ფიქრობენ, რომ ინგლისი ახლო მომავალში იცნობს ოსმალეთის უფლებებს მოსულის საკითხში".

მუსოლინიზე თავდასხმის გარშემო

გიბსონის განზრახვა

რომი, 9 აპრილი. მუსოლინიზე თავდამსხმელმა **ვიოლეტტა გიბსონმა** დაკითხვის დროს განაცხადა, რომ „ანგელოზმა აღებია მას ხელი პაპის და მუსოლინის წინააღმდეგ". მან დასძინა, რომ უკეთესი იქნებოდა პაპის მოკვლა.

ჩემბერლენმა და ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს პრეზიდენტმა **კოსგრევმა** მუსოლინის გაუგზავნეს დეპეშა თანაგრძნობის გამოცხადებით.

დარბევა მილანში

რომი, 9 აპრილი. **მილანში მუსოლინიზე თავდასხმის გამო გამართულ დემონსტრაციების დროს დარბეულ იქნა მაქსიმალისტების ორგანოს „ავანტის" რედაქცია და კომუნისტური გაზეთის „უნიტას" კანტორა. დარბევის დროს სცემეს გამომცემლობის გამგეს ბიბოლატის.**

დემონსტრანტები შეეცადენ საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის შენობაში შესვლას, მაგრამ პოლიციამ არ დაუშვა ისინი.

აჯანყება საბერძნეთში

ათინა, 9 აპრილი. ათინის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს სამხედრო სამინისტროს ცნობას:

9 აპრილს, ღამით, ოფიცრებმა კარაკუფასმა, ბაკირჯიმ და ჯოვასიმ ააჯანყეს სალონიკის გარნიზონის ზოგიერთი ნაწილები. მე-11 დივიზიამ ალყა შემოარტყა აჯანყებულებს, რომლებმაც განაცხადეს ემისარის საშუალებით, რომ მათი გამოსვლა მიმართულია არა მთავრობის, არამედ კორპუსის სარდლობის წინააღმდეგ და ისინი დანებდებიან, თუ გადაყენებული იქნებიან არასასურველი კომანდირები. მთავრობამ უარი განაცხადა მეამბოხეებთან მოლაპარაკების დაწყებაზე; ღამით სამხედრო ფლოტი გაიგზავნა სალონიკში.

უფრო გვიან მიღებული ცნობების თანახმად, აჯანყება ჩაქრობილია. აჯანყების მეთაურები და 300 ჯარისკაცი დანებდენ სალონიკის კორპუსის სარდლობას ყოველგვარ პირობების გარეშე და სამხედრო გემებით იქნებიან გადაყვანილი ათინაში. აჯანყების ხელმძღვანელები გადაეცა სამხედრო - საველე სასამართლოს.

ჩინეთის რეაქცია

ტოკიო, 9 აპრილი. უკანასკნელ დღეებში ფიქრობდენ, რომ უ-პეი-ფუ კომპრომისზე წავიდოდა სახალხო არმიის მიმართ, რამაც პესიმისტური განწყობილება შექმნა იაპონიის პრესაში.

ამჟამად კვლავ იმედი აქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს, **უ-პეი-ფუ მაინც გაამართლებს უცხოეთის სახელმწიფოების იმედს.**

ჩინეთის ამბების განვითარებას პრესა ნერვიულად ადევნებს თვალყურს.

მთავრობის წრეებში, ცნობას უ-პეი-ფუს და სახალხო არმიას შორის კომპრომისის შესახებ უსაფუძვლოდ სთვლიან.

კანტონის სინამდვილე

(„იზვესტია"-ს წერილი).

მოსკოვი, 10 აპრილი. „იზვესტია" მოწინავე წერილში ზემოაღნიშნული სათაურით სწერს:

„რაც უფრო მეტ ხანს იარსებებს რევოლიუციონური კანტონი, მით უფრო უიმედო ხდება მის მახლობლად მდებარე ინგლისურ ჰონგკონგის მდგომარეობა. მას შემდეგ, რაც კანტონში შეიქმნა რევოლიუციონური, ჭეშმარიტად თავისუფალი მთავრობა გომინდანის პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა ჰონგკონგს, სიძულვილმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ხასიათი მიიღო.

ბუნებრივია, რომ ინგლისის ბურჟუაზიული პრესა დაზარალებულ ბანკის და სავაჭრო ფირმების კარნახით გამოიყენებს ყოველ უმნიშვნელო ფაქტს, როგორც საბუთს კანტონის მთავრობის მერყეობისა და საბაბს კანტონის შინაურ საქმეში ჩარევისათვის.

მარტის უკანასკნელი კვირების განმავლობაში ევროპის ბურჟუაზიული პრესა სავსე იყო სენსაციური ცნობებით სერიოზულ ამბების შესახებ კანტონში, იქ გადატრიალების მოხდენის, მთავრობის შეცვლის, ბოიკოტის რეჟიმის გაუქმების შესახებ. მაგრამ ინგლისელების სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ინგლისური გაზეთი „ტაიმს" იძულებული გახდა განეცხადებია, რომ კანტონის მთავრობა უფრო ღირსია მთავრობის სახელის ტარების, ვინემ კანტონში წინად არსებული სხვა რომელიმე მთავრობა და რომ, „წინააღმდეგ განზრახ გავრცელებულ ხმებისა, გომინდანის და კანტონის მდგომარეობა უაღრესად მტკიცეა".

ვერც ცილისწამებით, ვერც ძალადობით იმპერიალისტური ჰონგკონგი ქედს ვერ მოახრევინებს რევოლიუციონურ კანტონს. ჰონგკონგის ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად განადგურებულია. მისი გავლენა გაქრა. კანტონი კი ვითარდება, თავის გარშემო იკრებს ეკონომიურ ძალებს და რევოლიუციონურ მასებს, სულ უფრო და უფრო მეტ ავტორიტეტს პოულობს ჩინეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და უაღრესად სერიოზულ ფაქტორად იქცევა ჩინეთის ამბების განვითარებაში".

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ბრძოლა გრძელდება

ლონდონი, 9 აპრილი. 9 აპრილს განთავისუფლებულმა კომუნისტებმა არნსტმა, ბელლმა, კემპბელმა, მერფიმ, კანტმა და ფინტრინგერმა განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ უახლოეს ამოცანათ სთვლიან პარტიის ახალ წევრთა მოგროვებას და მუშათა ხელფასის დაკლების წინააღმდეგ წარმოებულ საერთო ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას.

კაბაკჩიევის დაპატიმრება

ვენა, 9 აპრილი. ბულგარეთის კომპარტიის ცეკას ყოფილი წევრი **კაბაკჩიევი**, რომელიც ამნისტიით იყო განთავისუფლებული 2 წლით დაპატიმრების შემდეგ, დაპატიმრებული იქნა სამხრეთ - სლავიის საზღვართან ბულგარეთის დაბა ვრაბჩაში. კაბაკჩიევის თანამგზავრმა ამნისტიით განთავისუფლებულმა კომუნისტმა **პავლოვმა**, რომელსაც ერთ დროს ბრალს სდებდენ მინკოვთან და იანკოვთან ერთად სოფიის ტაძრის აფეთქებაში, მოასწრო საზღვარზე გადასვლა.

კაბაკჩიევი ჟანდარმების თანხლებით გაიგზავნა სოფიაში.

პროვოკატორი

ვილნო, 9 აპრილი. სოფ. პოდბერეზიეში, კობრინის მაზრაში (გროდნოს გუბ.) პოლონეთის „ოხრანკამ" დააპატიმრა 4 გლეხი, ძმები ზარუბოვები, **კომპარტიის წევრობისათვის.** ჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ დიდძალი კომუნისტური ლიტერატურა. დაპატიმრებულებმა დაამტკიცეს, რომ ლიტერატურა მათ შეაპარა „ოხრანკის" აგენტმა კომარჩუკმა.

„ოხრანკა" იძულებული იყო გაენთავისუფლებია ზარუბოვები და დაეპატიმრებია პროვოკატორი.

ტოკიო, 9 აპრილი. ვინაიდან იაპონიის ახალგაზრდობას შორის ფეხს იკიდებს კომუნიზმის იდეები, იაპონიის მთავრობა და პროფესორები საჭიროდ სთვლიან აკრძალული იქნას სოციალური მეცნიერება. საშუალო და ტეხნიკურ სასწავლებელთა მოწაფეებს ეკრძალებათ სოციალური საგნების სწავლა კერძოთ, სახლშიაც კი. ის პროფესორები, რომელნიც საეჭვონი არიან ამ მხრივ, დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.

სხვადასხვა

პოლისების საკითხი. როგორც წინად იუწყებოდენ, ამერიკის დამზღვევი კომპანიები უარს ამბობენ იმ პოლისების ანაზღაურებაზე, რომელიც გამოწერილი იყო თავის დროზე ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, რასაც ასაბუთებენ იმით, რომ საბჭოთა მთავრობამ მოახდინა ამ კომპანიების ქონების ნაციონალიზაცია რუსეთში. ზოგიერთი პოლისის მეპატრონემ ნიუ-იორკის სასამართლოში საჩივარი შეიტანა და კუთვნილი თანხების ანაზღაურება მოითხოვა.

ამის გამო, ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო კრებამ მიიღო კანონი, რომლითაც აკრძალა ამერიკის დამზღვევ კომპანიებზე საჩივრების შეტანა რუსეთის მოქალაქეთა პოლისებიდან გამომდინარე პრეტენზიების საფუძველზე. კანონში აღნიშნულია, რომ საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები იცნობს საბჭოთა კავშირს.

ავერესკუ სწმენდავს ადმინისტრაციას. რუმინეთის მმართველი პარტიის ორგანო „რომანია" იუწყება, რომ რუმინეთის ყველა ოლქებში დანიშნული არიან ახალი უფროსები. ახალი პრეფექტები არიან უმეტეს შემთხვევაში ნაციონალურ პარტიის წევრები.

ვერ შეთანხმდენ. რუმინეთის გაზეთის „დიმინეატას" ცნობით, საფრანგეთ-რუმინეთის ხელშეკრულება კავშირის შესახებ ჩაიშალა. გაზეთი ფიქრობს, რომ ბრიანმა მხედველობაში მიიღო წინააღმდეგობა ინგლისის და ამერიკის მხრივ, რომელნიც ამ ხელშეკრულებას [illegible] ლოკარნოს წინააღმდეგ მიმართულ აქტად.

კომუნისტური გაზეთის „რუდე პრავო"-ს ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ხსნის საბჭოთა კავშირიდან მიღებულ წერილებს. უკანასკნელ ორ წერილს, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირიდან ემჩნევა, რომ გახსნილია.

188 მილ. მან. მოგება. ნიუ-იორკის საბირჟო ბიულეტენის ცნობით, საავტომობილო საზოგადოების „ფორდის" მოგება 1925 წლის განმავლობაში 188 მილ. მანეთს აღემატება. საზოგადოების წლიური ბრუნვა უდრის 1800 მილ. მანეთს.

— **შვიდი თორმეტიდან.** 10 აპრილს განთავისუფლებულ იქნება 7 კაცი წარსულ წელს მსჯავრ დადებულ 12 ინგლისელ კომუნისტიდან.

მონარქიის აღდგენა შეუძლებელია. შეერთებულ შტატების პრესა უარყოფითად უცქერის რუს თეთრგვარდიელების ყრილობას, პარიზში და აღნიშნავს, რომ მონარქიის

ღამის ცნობები

ბესარაბიელ ემიგრანტების მემორანდუმი

პარიზი, 10 აპრილი. ბესარაბიელ ემიგრანტთა საზოგადოებამ საფრანგეთში გამოაქვეყნა მემორანდუმი ბესარაბიის მდგომარეობის შესახებ. მემორანდუმში ნათქვამია, რომ რუმინიის საოკუპაციო რეჟიმის რვა წლის ბატონობის შემდეგ ბესარაბია სავსებით დანგრეულია. უმუშევრობამ ჯერ არ ნახული ხასიათი მიიღო. შიმშილი და გადამდები ავადმყოფობა მასიური მოვლენად გადაიქცა. ბესარაბიელ ემიგრანტთა საზოგადოება მოუწოდებს საჩქაროთ იქნას დაარსებული დამშეულ ბესარაბიის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი.

სახალხო არმიის მდგომარეობა განმტკიცდა

დუან-ცზი-დჟუის დაპატიმრება

პეკინი, 9 აპრილი. დაპატიმრებულია პეკინის მთავრობის თავმჯდომარე დუან-ცზი-დჟუი. მთავრობის თავმჯდომარის პირადი მცველი რაზმი განიარაღებულია. გაცემულია ბრძანება დუან-ცზი-დჟუის მომხრეთა დაპატიმრების შესახებ.

დუან-ცზი-დჟუის დაპატიმრების წინ დღით მოხდა ფრონტიდან დაბრუნებული სახალხო არმიის ბელადების თათბირი. თათბირზე გაიგეს, რომ დუან-ცზი-დჟუის პირად მცველ რაზმს ტან-ჩიჯასის ჯართან ერთად, რომელიც წინათ მთავრობის თავმჯდომარის პირად მცველ რაზმში შედიოდა ხოლო შემდეგ სახალხო არმიაში იქნა ჩარიცხული, განზრახული ჰქონდა პეკინში არევ-დარევის გამოწვევა, რათა ამრიგათ გაეადვილებია მუკდენის ჯარებისათვის სატახტო ქალაქის ხელში ჩაგდება.

გარდა ამისა გამოირკვა, რომ დუან-ცზი-დჟუი ცდილობდა ხელი შეეშალა სახალხო არმიის სარდლობისა და უ-პეი-ფუს შეთანხმებისათვის.

ამის გამო სახალხო არმიის სარდლობამ გადასწყვიტა დუან-ცზი-დჟუის დაპატიმრება. დუან-ცზი-დჟუის დაპატიმრებასთან ერთად სახალხო არმიის სარდლობამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც დუან-ცზი-დჟუის აკისრებს პასუხისმგებლობას: 18 მარტის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტისათვის, შეთანხმებისათვის რომლითაც ჩინეთმა უნდა გადაუხადოს საფრანგეთს ბოქსიორთა აჯანყების შემდეგ დაწესებულ კონტრიბუციის მისდამი კუთვნილი ნაწილი ოქროს ფრანკებით, რამაც ჩინეთს დიდი ფინანსიური ზარალი მიაყენა, ინტრიგებისათვის მილიტარისტებს შორის, მოხელეთა ბოროტმოქმედებათა დაფარვისათვის და სხვ.

დუან-ცზი-დჟუი უნდა წარსდგეს ხალხურ სასამართლოს წინაშე და პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში.

დუან-ცზი-დჟუი უნდა წარსდგეს ხალხურ სასამართლოს წინაშე და პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებში.

ჩინეთის ყოფილი პრეზიდენტი ცაო-კუნი, რომელიც 1924 წ. შემოდგომაზე გადააყენეს უ-პეი-ფუს დამარცხების შემდეგ, განთავისუფლებულია საპყრობილედან და ამ ჟამად იმყოფება პეკინში უცხოელთა კვარტალში.

დუან-ცზი-დჟუის დაპატიმრებას იმის დამამტკიცებლათ სთვლიან, რომ არსდება ახალი კავშირი: უ-პეი-ფუ, სახალხო არმია და სუნ-ჩუან-ფან.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სახელმწიფოთა იმედები, რომლებიც ემყარებოდიე სახალხო არმიის უკან დახევაზე არ გამართლდება.

დაწყებულია მოლაპარაკება ახალი მთავრობის შექმნის შესახებ.

მანქანების სააღმშენებლო ქარხნების მუშებისა და მეპატრონეების კონფერენცია

ლონდონი, 10 აპრილი. იორკში შეკრებილმა მანქანების სააღმშენებლო ქარხნების მუშებისა და მექარხნეების კონფერენციამ ვერ მიაღწია შეთანხმებას ლონდონის მუშებისათვის სამუშაო ხელფასის 20 პროც-ით მომატების საკითხზე.

ლონდონის მუშების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ტრედიუნიონების აღმასრულებელ კომიტეტის სექციებს მართებთ ამ ჟამად ბრძოლის გაძლიერება მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის შესახებ შემოდგა 13 [illegible] შეთქმულება უნდა ჩავსთვალოთ ის, როგორც მზადება რევოლიუციისათვის. 5.000 ჯარისკაცი მაიორ კირაფუკისის მეთაურობით გავიდა სალონიკიდან და გაამაგრა მაღლობები. მაღლობებზე დადგმულია არტილერია. სალონიკის ჟანდარმერიის უფროსი და მეთაურთა შემადგენლობა აჯანყებულთ შეუერთდა. აჯანყებულები კარგათ არიან შეიარაღებული, თავის განკარგულებაში ყავთ ჰაეროპლანების ორი ესკადრილია, აქვთ ჯავშნიანი ავტომობილები და რადიო სადგური.

აჯანყებულებმა წარადგინეს ულტიმატუმი და მოითხოვენ პანგალოსის დაუყოვნებლივ გადადგომას, ნეიტრალურ დროებითი მთავრობის დანიშვნას ადმირალ კონდურიოტისის მეთაურობით და ახალი არჩევნების ჩატარებას.

აჯანყებულები იმუქრებიან, რომ ყუმბარებს დაუშენენ ქალაქს, თუ ულტიმატუმი არ იქნება მიღებული.

მთავრობის ჯარების სარდლობამ წინადადება მისცა აჯანყებულთ დაჰყარონ იარაღი.

მოძრაობა რკინისგზაზე, სატელეგრაფო და ტელეფონის კავშირის შეწყვეტილია. იუწყებიან, რომ მთავრობის სამხედრო ფლოტი ყუმბარებს უშენს აჯანყებულთა მიერ დაჭერილ მაღლობებს.

ამბოხება კირენაიკაში.

რომი, 9 აპრილი. იტალიის გაზეთების ცნობით, კირენაიკაში (იტალიის ახალშენია, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარეობს) დაიწყო ამბოხება.

გენერალ-გუბერნატორმა მიიღო ზომები ამბოხების ჩასაქრობად და მეთაურების დასახჯელათ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საკავშირო ცაკის სესია

მოსკოვი, 10 აპრილი. საბჭოთა კავშირის მესამე მოწვევის ცაკის მეორე სესია გაიხსნება 12 აპრილს.

ფინანსები სასოფლო მეურნეობას

მოსკოვი, 10 აპრილი. წელს სასოფლო მეურნეობას სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა 259.300.000 მანეთი, შარშანდელ საოპერაციო წელში კი მიეცა 244.400.000 მანეთი.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 10 აპრილი. საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა 8 აპრილს მოისმინა ქვეკომისიების მოხსენებანი და მიიღო გადაწყვეტილებანი საგანგებო ხარჯების სხვადასხვა ნაწილებისა და აგრეთვე ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

რადიო-გადაცემა

მოსკოვი, 10 აპრილი. საზოგადოება „რადიო-პერედაჩა" აწარმოებს მიუნსტერის, პრაგის, ბრესლავლის და ჰამბურგის რადიო-სადგურების ტრანსლაციის ცდებს.

უცხოეთის რადიო სადგურების გადმოცემათა მიღებას მოსკოვი აწარმოებს პუშკინის აგარაკზე. გაძლიერების შემდეგ ის გადაეცემა რადიო-გადაცემის სატრანსლაციო ქსელს და შემდეგ კომინტერნის რადიო-სადგურს.

წითელი დროშა გომინდანს

ულან-ბატორი, 9 აპრილი. 6 ლერილს შესდგა მონღოლეთის სახალხო რევოლიუციონურ პარტიის ცეკას კრება, რომელსაც შემთხვევით დაესწრო გომინდანის ცეკას წევრი. კრებამ უკანასკნელს ჩააბარა წითელი დროშა გომინდანისათვის გადასაცემად.

ამუნდსენის ექსპედიციის შესახვედრათ

ლენინგრადი, 10 აპრილი. ლენინგრადის სამეცნიერო და ტეხნიკური საავიაციო დაწესებულებები სამეცნიერო აკადემიის სახელით შეხვედრას უმართავენ ამუნდსენის ექსპედიციას. ამუნდსენის დირიჟაბლის მოსვლის დრო ჯერ არ არის სავსებით გამორკვეული. დირიჟაბლს შეხვდებიან ჩვენი ჰაეროპლანები. დირიჟაბლის მისაღებათ შექმნილია რაზმი 200 კაცის შემადგენლობით.

სახელმწიფო სესხის მოგებათა გასტუმრება

მოსკოვი, 10 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომმა სახელმწიფო სესხების მოგებათა გასტუმრების გასაადვილებლად განზრახული აქვს ეს ოპერაცია შემნახველ სალაროებში შემოიღოს.

ნიჟეგოროდის ბაზრობა

მოსკოვი, 10 აპრილი. საბჭოთა სავაჭრო ფლოტმა დააკმაყოფილა ვაჭრობის სახ. კომისარიატის შუამდგომლობა ნიჟეგოროდის ბაზრობისათვის შეღავათის მიცემის შესახებ და დააწესა 15 პროცენტის შეღავათი ბაზრობაზე გადასაზიდ საქონელზე.

შეღავათი ბაზრობაზე შემოსაზიდ საქონლისათვის ძალაშია 15 იანვრიდან 15 [illegible] კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის შეღავათის დაწესების შესახებ გზათა სახ. კომისარიატის, ვოლგა-კამის, შუა აზიის, დასავლეთ ციმბირის და სელენგინის სახელმწიფო ნაოსნობის წინაშე. აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა ფინანსთა სახ. კომისარიატის წინაშე ბაზრობისათვის საგადასახადო შეღავათების მიცემის შესახებ.

საფეიქრო ფაბრიკებში

მოსკოვი, 10 აპრილი. ფეიქართა კავშირის ცეკაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადეს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და პროფკავშირთა ორგანოებს შორის დაიდო ახალი შეთანხმება, რომლის ძალით ლენინგრადის საფეიქრო ფაბრიკებში შესაძლოა არ მოხდეს მუშა ხელის შემცირება. კერძოდ, შეგირდები, რომელთა შემცირება განზრახული იყო წინად, უფრო ნაკლებად დატვირთულ განყოფილებებიდან გადაყვანილ იქნებიან იმ განყოფილებებში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი სავსებით გამოყენება. ამასთანავე საფეიქრო მრეწველობის მუშების რაოდენობა არ შემცირდება იმ ზომამდე, როგოც ეს განზრახული იყო.

საფეიქრო მრეწველობა

მოსკოვი, 10 აპრილი. 9 აპრილს დამთავრდა საკავშირო საფეიქრო სინდიკატის რწმუნებულთა კრება. კრებამ მოიწონა სინდიკატის გამგეობის მუშაობა.

უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მებამბეობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის **ბაბაევის** მოხსენება. ბაბაევმა აღნიშნა დაბრკოლებანი საბამბო ორგანიზაციების მუშაობაში, ფინანსების მიწოდების სისუსტე, მაღალი ფასები მებამბეობის რაიონებში, სამრეწველო საქონლის სიმცირე და სხვ. ამას მოჰყვა ის, რომ ბამბის ნაწილი გადავიდა კერძო შემსყიდველების ხელში, ნაწილიც გლეხკაცების ხელში დარჩა.

ამჟამად, კერძო პირთათვის მებამბეობის რაიონიდან ბამბის გამოტანის აკრძალვის გამო, სახელმწიფო ორგანიზაციებში ბამბის შემოსვლა გაძლიერდა.

უკანასკნელმა მოსავალმა მოგვცა 10 მილ. ფუთი ბამბა. რაც შეეხება მომავალ საგაზაფხულო კამპანიის პერსპექტივებს, ვეჭვობთ რომ განხორციელდეს პირვანდელი გეგმა 280.000 დესიატინის დათესვის შესახებ მიწის რეფორმისა და შუა აზიაში წყლის სიმცირის გამო. მიმდინარე წლის მოსავალი ნავარაუდევია 12½ მილ. ფუთის რაოდენობით.

შემდეგ მოსმენილ იქნა სინდიკატის გამგეობის წევრის მოროზოვის მოხსენება საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ბალანსის შესახებ 1925—26 წ. 1 ოქტომბრისათვის. ბალანსის საერთო თანხა აღწევს 337 მილ. მანეთს, წარსული წლის 230 მილ. მანეთის წინააღმდეგ.

საოპერაციო წელი დამთავრდა 1.600.000 მანეთის მოგებით.

ახალი გამგეობა უმთავრესად არჩეულია წინანდელი გამგეობის წევრთაგან. მიღებულ რეზოლიუციაში გამგეობა, იწონებს რა წინანდელი გამგეობის მუშაობას, აღნიშნავს საკავშირო საფეიქრო სინდიკატის სავაჭრო ქსელის, კერძოთ საწვრილმანო სავაჭროების ორგანოების შენარჩუნებას. საფეიქრო ტრესტის ნაწარმოებათა გასაღება 100 პროცენტით საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ხელში უნდა იქნეს.

მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ

მოსკოვი, 10 აპრილი. დამთავრდა საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეების ცეკას საკავშირო საორგანიზაციო თათბირი. თათბირმა შეიმუშავა განსაკუთრებული ინსტრუქცია საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეების კავშირში წევრების მიღების და კავშირიდან გამორიცხვის წესების შესახებ. ინსტრუქციის თანახმად, კავშირის რიგებში არ უნდა იქნენ მიღებული: იმ კერძო კაპიტალისტურ და საკონცესიო წარმოებების ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ მუშების დათხოვნის უფლება; შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა გამგეობების ის წევრები, რომელნიც კერძო კაპიტალის წარმომადგენლები არიან; უფლებით აღჭურვილი და სხვა პირები, რომელთაც აქვთ მუშა-მოსამსახურეების დათხოვნის უფლება; ხელოსნები, შინამრეწველები და შრომის არტელების, კომუნების და სხვა ამგვარ გაერთიანებათა წევრები, მიუხედავად იმისა, სარგებლობენ ისინი დაქირავებული შრომით თუ არა; ის პირები, რომელნიც სამუშაო ხელფასს იღებენ პროცენტული ჯილდოს სახით; პასუხისმგებელ შრომის არტელების წევრები და უმუშევრები, რომელნიც სამუშაოდან მოხსნამდე კავშირის წევრად არ ითვლებოდნენ.

კავშირში დაუბრკოლებლად უნდა იქნენ მიღებული საერთო წესით: ის პირები, რომელნიც ვაჭრობას ეწეოდნენ რევოლიუციამდე და მუშაობენ დაქირავებით; ის პირები, რომელნიც ვაჭრობას ეწეოდნენ მხოლოდ სამხედრო კომუნიზმის დროს, მხოლოდ შემდეგ კვლავ დაქირავებულ შრომას ეწეოდნენ დაწესებულებებსა და წარმოებებში; ვაჭრობდნენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ დაქირავებული შრომის გამოუყენებლად, მაგრამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში მუშაობდნენ დაქირავებით, აგრეთვე ის პირები, რომელნიც კვლავ დადგნენ სამსახურში ხანგრძლივი უმუშევრობის გამო და დროებით წვრილ ვაჭრობას ეწეოდნენ.

ავაჩინის ცეცხლისმფრქვეველი მთა

კამჩატკის პეტროპავლოვსკი, 10 აპრილი. 28 მარტს დილით ავაჩინის ცეცხლისმფრქვეველმა მთამ, რომელიც მდებარეობს პეტროპავლოვსკიდან 30 კილომეტრის დაშორებით, დაიწყო მოქმედება. ამოდიოდა ცეცხლში გამდნარი ტალახი და ქვები. მთის კალთებზე გადმოდიოდა გახურებული სითხე, პეტროპავლოვსკში და მახლობელ სოფლებში კრატერში გაზების აფეთქების გამო საშინელი ხმაური ისმოდა.

ამოხეთქამ განსაკუთრებულ ძლიე[illegible]

29 მარტს, ახლო მიდამოები დაიფარა თეთრი ნისლით. 29 მარტს ღამით გახურებულმა სითხემ დაჰფარა მთის ფერდოების ნახევარი ნაწილი.

4 აპრილს მთა წარმოადგენდა ცეცხლის ვეებერთელა მდინარეს, რომელიც ჩამოდიოდა ქვევით. მცხოვრებლები მთიდან 15 ვერსის მანძილზე ადევნებენ თვალს სანახაობას.

7 აპრილამდე მთელი პეტროპავლოვსკი დაფარული იყო ფერფლის ღრუბლებით. 7 აპრილს ღრუბლები გაიფანტა. მცხოვრებლები შეშინე[illegible]

[illegible] მდგომარეობა

მოსკოვი, 10 აპრილი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენლის **კოგან - ვერნშტეინის** მოხსენება რკინისგზის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ჩვენ ტრანსპორტს აქვს მთელი რიგი ნაკლულოვანებათა: ლითონის მრეწველობის დავალიანება ტრანსპორტისადმი, სამუშაო ხელფასით დავალიანება ზოგიერთ რკ. გზაზე, თამასუქების ვადის გაგრძელება და სხვ. ყველაფერი ეს მოწმობს იმას, რომ რკ. გზის ტრანსპორტის ფინანსიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ნიკოლსკი სთვლის, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოსაზრებები ტრანსპორტის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მეტად გადაჭარბებულია.

ერთად-ერთი მოვლენა, რომელიც იწვევს შიშს გზათა სახ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის მიმართ, ეს არის ხელფასის ზედმეტი ხარჯები, რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გზათა სახ. კომისარმა **რუძუტაკმა**, რომელმაც განაცხადა:

„ტრანსპორტის მდგომარეობის გართულებას უპირველეს ყოვლისა ამტკიცებს სათბობი მასალის მარაგის შემცირება რკ. გზებზე. თუ რამდენად სერიოზულია სათბობი მასალის მარაგის მდგომარეობა სჩანს იქიდან, რომ აუცილებელი მინიმალური მარაგი უნდა უდრიდეს 20 მილ. ფუთს, ხოლო ფაქტიური მარაგი ახლა მხოლოდ 6 მილ. ფუთს შეადგენს. ამგვარად ტრანსპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სათბობი მასალის მარაგის გადიდების საკითხი."

რკინისგზის ტრანსპორტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მრეწველობა არ ასრულებს სავსებით ტრანსპორტის დაკვეთებს, ხოლო რასაც ასრულებს დაბალი ხარისხისაა.

შრომის და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა, რომ გზათა სახ. კომისარიატმა დაუშვა სამუშაო ხელფასზე ხარჯების მნიშვნელოვანი გადამეტება, რამაც გავლენა მოახდინა ტრანსპორტის უიმისოდაც კრიტიკულ მდგომარეობაზე. შრომის და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა გზათა სახ. კომისარიატს 15 აპრილიდან გაადიდოს რკინისგზის ზოგიერთი ტარიფი.

შვეიცარიის მუშების წერილი

მოსკოვი, 10 აპრილი. შვეიცარიის საამშენებლო დარგის მუშათა კავშირის დელეგატმა **რეიმანმა**, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინად ინახულა საბჭოთა კავშირი, საამშენებლო დარგის მუშაკთა ცეკას გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც ის ჯამს უკეთებს თავის შთაბეჭდილებებს საბჭოთა კავშირის შესახებ. წერილში, სხვათა შორის, გამოთქმულია სურვილი, რომ საბჭოთა კავშირში გაგზავნილი სხვადასხვა ქვეყნის მუშათა დელეგატები არ დაკმაყოფილდნენ ლიტონი სიტყვით, არამედ თავიანთ კავშირებთან და მუშათა ორგანიზაციებთან ერთად აწარმოონ სისტემატიური ბრძოლა იმ მიზნით, რომ აიძულონ კაპიტალისტური სახელმწიფოები იცნონ საბჭოთა კავშირი თანასწორ უფლებიან პოლიტიკურ და ეკონომიურ ფაქტორად.

დასასრულ რეიმანი დასძენს, რომ შვეიცარიის საამშენებლო დარგის კავშირი ენერგიულად იბრძოლებს პროფკავშირების მთლიანი ინტერნაციონალური ფრონტის შესაქმნელად. ბოლოს რეიმანი სალამს უძღვნის საამშენებლო დარგის ყველა მუშებს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და სამხრეთიდან ჩრდილოეთ ციმბირისა და არხანგელსკამდე.

ცენტროკავშირის რწმუნებულთა კრება

მოსკოვი, 10 აპრილი. 5 აპრილს კავშირის სახლის დიდ დარბაზში შესდგა ცენტროკავშირის რწმუნებულთა მეორმოცე კრება.

კრება გახსნა ცენტროკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ხინჩუკმა.**

კლარა ცეტკინი კრებას მიესალმა კომუნისტური ინტერნაციონალის სახელით და უსურვა წარმატებითი მუშაობა.

კალინინი, რომელსაც კრება ტაშის ცემით შეხვდა, კრებას მიესალმა საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალური მთავრობის სახელით. მან მოუწოდა კოოპერაციას ეკონომიის რეჟიმის გატარებისა და სოციალურ დაგროვებისაკენ.

შემდეგ საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის აღმასკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ალიანსის აღმასკომის წევრმა **ტომას ალენსმა**, რომელმაც განაცხადა: „4 წლის წინად ჩვენ უნდობლობით გიყურებდით, რადგან თქვენს შესახებ ბევრი ცუდი რამ გვქონდა გაგონილი და აგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენ შეცდომაში ვიყავით შეყვანილი. ეხლა ჩვენ თქვენთან მოვდივართ და ღრმად ვართ დარწმუნებული თქვენი მუშაობის სისწორეში.

რუსეთში კოოპერაციის თესლი ნაყოფიერ ნიადაგზე მოხვდა და მან მეტი ფესვებიც გაიდგა, ვინემ სხვა რომელიმე ქვეყანაში. თქვენს მოძრაობას ხელს უწყობდა სრულებით განსაკუთრებული პირობები. ასეთი პირობები არ ყოფილა არც ერთ ქვეყანაში.

თქვენ საზოგადოებრივ სარგებლიანობისათვის შექმენით კოოპერატიული სისტემა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს და მისცეს საზოგადოებას ახალი წყობილება, ახალ ჯანსაღ ეკონომიურ საფუძველზე.

ერთა ლიგასთან არსებულმა საერთაშორისო შრომის ბიურომ გამოსცა დიდი შრომა რუსეთის კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ. ეს ანგარიში ვერ არის საკმაოდ სწორი და სამართლიანი საბუთი. ამ შრომის ავტორები დგანან ყალბი კრიტიკის და ცილისწამების გზაზე, რომელსაც ჩვენ საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში ცალმხრივად და დამახინჯებულად ვსთვლით.

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი თავის მოვალეობად სთვლის განუცხადოს შრომის საერთაშორისო ბიუროს, რომ ის კრიტიკა, რომელიც შეიძლება ვიხმაროთ სხვა ქვეყნის მიმართ, აქ სრულებით გამოუსადეგარია. საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი სრულ ნდობას გიცხადებთ თქვენ".

ალენსის შემდეგ კრებას მიესალმენ გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, ფინეთის და სხვა ქვეყნების კოოპერაციის წარმომადგენელნი. განსაკუთრებით მხურვალეთ კრება შეხვდა სამხედრო-სარევოლიუციო საბჭოს წევრს ეგოროვს, რომელიც კრებას მიესალმა წითელი არმიის სახელით.

პურის დამზადების საკითხი

მოსკოვი, 10 აპრილი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის 3 აპრილის სხდომაზე მიმდინარე წლის და წარსული წლების პურის დამზადების გამოცდილების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ამ საქმეში ჩვენ გვქონდა და გვაქვს ფასების სამგვარი ცვლილება. პირველი—გაზაფხულის და შემოდგომის ფასებში. წარსული წლის შემოდგომის პურის დასამზადებელი ფასები იყო ასეთი: ჭვავის—62 კპ. და ხორბალის—90 კ. გაზაფხულზე—აპრილი - მაისი—ჭვავის—1 მან. 38 კ., ხორბლის—1 მან. [illegible] დასამზადებელი ფასები იზრდებოდა და მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეჩნეულია ერთგვარი სტაბილიზაცია. მეორე თვალსაჩინო განსხვავება დასამზადებელ ფასებს შორის შეჩნეული იყო მახლობელ რაიონებში: ასე მაგალითად: თებერვალში ჩრდილო-კავკასიაში ჭვავის ფასი უდრიდა საშუალოდ—75 კაპიკს, ვოლგის სანაპირო მხარეში—1 მ. 24 კაპ., უკრაინაში—1 მ. 07 კაპ.; ხორბლის ფასები იმავე რაიონებში:—1 მ. 14 კაპ., 1 მან. 88 კაპ. და 1 მან. და 78 კაპ. სრულიად ბუნებრივია, რომ იზრდება გლეხების უკმაყოფილება იმ რაიონებში, სადაც ფასები დაბალია და ამიტომ თავის-თავად გასაგებია, რომ საჭიროა ბრძოლა დასამზადებელ ფასების ასეთ სხვადასხვაობის წინააღმდეგ.

ფასების მესამე განსხვავება—დასამზადებელ და მომხმარებელ რაიონებ შორის. ჭვავის ფასი ვოლგის მხარეში თებერვალში იყო 1 მან. 24 კაპ., ხოლო ჭვავის ფქვილი მოსკოვში—ფასობდა 2 მან. და 45 კაპ. ეს განსხვავება საშიშია მით, რომ ამას ფართოთ იყენებს კერძო კაპიტალი.

უმთავრეს უბედურებას პურის ბაზრის მოწესრიგების საქმეში წარმოადგენს სარეზერვო პურის ფონდის უქონლობა. წლის მესამე მეოთხედი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას 1926—27 წ. დამზადების წარმოებით ჩასატარებლად.

ყველაზე ნაკლები დაბრკოლება პურის ბაზრის მოწესრიგების და დამზადების წარმატებით ჩატარების მხრივ იქმნებოდა სამრეწველო საქონლის ნაკლებობით და საწვრილმანო ფასების ზრდის გამო. საჭიროა ბრძოლა საწვრილმანო ფასების დაკლებისათვის და, მაშასადამე, იაფი სავაჭრო აპარატის და მის მუშაობის აჩქარებული ტემპისათვის.

კერძო კაპიტალის მონაწილეობა [illegible] გიერთ რაიონებში კერძო კაპიტალის როლი 50%-ს აღემატებოდა. 8.000 წისქვილიდან, რომელშიაც დაქირავებულ შრომას აქვს ადგილი, კერძო კაპიტალის ხელში იყო 4.500.

ფასების ნიადაგზე გლეხობის დიდი უმრავლესობა—საშუალო შეძლების გლეხობისა და პროლეტარულ სახელმწიფოს შორის გარდაუვალ წინააღმდეგობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ ფასების პოლიტიკა სწორი იქნება. პურის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა სახელმწიფო დამზადების აპარატის გამარტივება, წისქვილის მეურნეობის ორგანიზაცია და უგეგმო ორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობა.

პურის დამმზადებელ აპარატის მთავარი ნაკლი, რომელიც აღმოჩენილი იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოების მიერ, უკვე თავიდანაა აცილებული. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ შრომის და თავდაცვის საბჭოს ამ დადგენილების ცხოვრებაში სისწორით და თავის დროზე გატარებლად.

საჭიროა დღის წესრიგში დასმული იქნას საკითხი საქონლის ფონდის გამოყოფის შესახებ პურის დამზადების კამპანიის დასაწყისისათვის.

პირველი მაისისათვის

ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

წელს, პირველ მაისის დღესასწაული ხვდება რელიგიურ დღეს—აღდგომას. პირველ მაისის დღესასწაული არ უნდა გადაიქცეს ანტირელიგიურ კამპანიათ. ამისათვის დღესასწაულის გატარების დროს უნდა ერიდოთ მკაცრ ანტირელიგიურ გამოსვლებს. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტები ვალდებული არიან პირველი მაისის დღესასწაული ჩაატარონ ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით იმ გეგმის მიხედვით, რომელიც აქვეა დართული.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი **მ. ოკუჯავა.**

საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე **ბახტაძე.**

1-ლი მაისის დღესასწაულის ჩატარების გეგმა

ქალაქად

1-ლ მაისს თბილისში—მასიური დემონსტრაციები და სამხედრო ნაწილების ფიცი. მუშათა ცენტრებში ახლობელ სოფლების გლეხებთან ერთად სამხედრო ნაწილების ფიცი.

დანარჩენ სამაზრო ცენტრებში მიტინგები ახლობელ სოფლების გლეხებთან ერთად და სამხედრო ნაწილების ფიცი.

საღამოს კლუბებში: სპექტაკლები, სცენები, კინო, ცოცხალი გაზეთები. საკონცერტო განყოფილებანი და სხ.

2 მაისს თბილისში და ბათუმში—მაისობა მოძრავ მიტინგებით, თამაშით, იუმორისტული გამოსვლები, ფიზკულტურის წრეების გამოსვლები. სხვა მუშათა ცენტრებში (ჭიათურა, ხაშური, ფოთი და სხ.) მაისობა ეწყობა ადგილობრივ ორგანიზაციების გეგმით. საღამოს ყველა ქალაქებში—კლუბებში წარმოდგენები ახალი პროგრამით.

კლუბის ბიბლიოთეკა აწყობს გამოცემას, წრეები სცემენ კედლის გაზეთებს, ახალგაზრდათა სექციები მართავენ სპეც-საღამოს. ეწყობა აგრეთვე მასიური ექსკურსიები სხვა ქალაქებში და ახლობელ სოფლებში.

1-ლ მაისამდე: 1-ლი მაისის მნიშვნელობა და ისტორიის საკითხები მუშაიდება აგიტატორთა წრეებში და კლუბებში, იმართება ჯგუფური და ინდივიდუალური საუბარი მუშა-მოსამსახურეთა შორის. 1-ლი მაისის საკითხი სისტემატიურად უნდა იქნეს გაშუქებული ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში.

ქალაქები იფებენ სადღესასწაულო ხასიათს—ილუმინაციის გამართვით, პროჟექტორით, მაშხალებით და სხ.

1-ლი მაისი სოფლად

სოფლად პირველი მაისის ჩატარების ცენტრად უნდა გახდნენ ქოხ-სამკითხველოები. დღესასწაულის რამოდენიმე დღით ადრე უჯრედების ღია კრებებზე კომკავშირელებსა და უპარტიოებთან ერთად უნდა იმართებოდეს მოხსენებები 1-ლი მაისის მნიშვნელობის შესახებ. სკოლებში მოსწავლეთა შორის იმართება საუბრები პირველი მაისის შესახებ. ქოხ-სამკითხველოებში მოხსენება-საუბრები: 1-ლ მაისამდე მომზადებულ პარტ. ამხანაგების, სოფლის ინტელიგენციის და მოწინავე გლეხების საშუალებით იმართება ჯგუფური საუბრები გლეხობაში (მოხსენებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საშეფო ორგანიზაციების მოხსენებები).

დილით 1-ლ მაისს სოფლად სათემო ცენტრში იმართება თემის საბჭოების ფართე სადღესასწაულო სხდომები სოფლის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციები, გლეხკომები, სოფლის ინტელიგენცია და სხ.) ერთად, 1-ლი მაისის შესახებ; შეფების ჩამოსვლა უნდა დაუკავშირდეს ამ სხდომებს.

საღამოს: ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო სახლში, კლუბებში იმართება მოხსენებები, სცენები, დეკლამაცია და სხ.

ამ დრომდე კი ქოხ-სამკითხველო აწყობს გამოფენას 1-ლ მაისისათვის და სცემს კედლის გაზეთს.

1-ლ მაისს—საპირველმაისო კომისიის ხელმძღვანელობით იმართება სახალხო თამაში, სიმღერები, ცეკვა, ჯირითი.

ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით უნდა გაიმართოს მოძრავი მიტინგები.

საღამოს 2 მაისს სახალხო სახლებში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში—წარმოდგენები, გუნდები, დეკლამაცია და სხ. ახალი პროგრამით.

3 მაისი ქალაქში.

წინასწარ აგიტაცია და საუბრები სკოლებში, ფორპოსტებში მასწავლებლობის და პიონერთა კოლექტივების საშუალებით. 3 მაისს იმართება საბავშვო დილა მოხსენებით, სცენებით, წარმოდგენებით, მუსიკალური განყოფილებებით და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით.

სეირნობის შემდეგ—თამაში. საღამოს საბავშვო კინო, შეფები დახმარებას უწევენ საშეფო კოლექტივებს (პიონერთა კოსტიუმები და სხ.).

დღესასწაულს ხელმძღვანელობს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბავშვები, მასწავლებლობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სოფლად დღესასწაულის ჩატარების გეგმა რჩება იგივე, ადგილობრივ პირობების და შეძლების მიხედვით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სპარსეთის ვაჭრები ბაქოს ბაზრობაზე

ბაქო, 9 აპრილი. გაიმართა სპარსელი ვაჭრების თათბირი. საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ ბუკრიევმა სპარსელ ვაჭრებს განუცხადა, რომ ნავთის პროდუქტები და წნეხი ვაჭრობისათვის საინტერესო საბაზრო საქონლის კონტინგენტში არ შევა. შაქრის პროდუქტები წარმოდგენილი იქნება 300 ვაგონის რაოდენობით, მანუფაქტურა—15 ვაგონი, ლითონი — განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო რკინა — განუსაზღვრელი რაოდენობით, მოთხოვნილება დანარჩენ საქონელზე სავსებით იქნება დაკმაყოფილებული.

სპარსეთის ვაჭრების სახელით სპარსეთის გენერალურმა კონსულმა აზერბეიჯანში ფერზანემ აღძრა შუამდგომლობა, რათა წინანდელ ბაზრობის მონაწილე ვაჭრებს მიეცეთ ლიცენზიები და ნავთის პროდუქტების გატანის ნებართვა, თუნდაც განსაზღვრული რაოდენობით.

საბჭოთა აჭარისტანში

ჯანმრთელობის საქმე

გასაბჭოებამდე აჭარისტანში, გარდა ბათომისა, არ ყოფილა არც ერთი საავადმყოფო და არც ერთი საექიმო პუნქტი. 1922 წელს აჭარისტანში მოეწყო 4 საექიმო პუნქტი, 23 წელს გახსნილ იქნა 4 საავადმყოფო და 7 საექიმო პუნქტი, 1924 წელს საე[illegible] 1925 [illegible] 14-მდე ავიდა. [illegible]წყობილი იყო 4 საავადმყოფო და 21 საექიმო პუნქტი. ყველა ამ პუნქტებში 1925 წლის განმავლობაში გატარდა 39.063 კაცი. ამ ჟამად აჭარისტანის მაზრებში მოქმედობს 4 საავადმყოფო და 23 საექიმო პუნქტი.

ქალაქ ბათომში არსებობს ერთი მთავარი საავადმყოფო 200 საწოლით და რამოდენიმე ამბულატორია, სადაც ერთი წლის განმავლობაში მკურნალობა მიიღო 65.578 კაცმა.

გასულ წელს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოეწყო ქიმიო-ბაქტერიოლოგიური სადგური.

გასაბჭოების პირველ წლიდან უკანასკნელ დრომდე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდნენ აჭარ. მაზრებში გავრცელებულ ექიმბაშობასთან, რასაც მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. უკანასკნელ ხანებში იშვიათი შემთხვევაა ექიმ-ბაშების მიერ გლეხის ოჯახის მკურნალობისა.

ჯანმრთელობის ორგანიზაციები ზრუნავდნენ აგრეთვე ხალხის სანიტარულ განათლებისათვის, რისთვისაც მაზრებში იმართ[illegible]ხსნები.

საექიმო დახმარება ღარიბ მოსახლეობას ეძლეოდა სრულიად უფასოდ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მომავალ მუშაობის გეგმა შეიცავს სამკურნალო პუნქტების ქსელის გაფართოებას აჭარისტანის მაზრებში, საწოლთა რიცხვის გადიდებას საავადმყოფოებში და სოფლელ მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების საქმის გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ბიუჯეტი ყოველწლიურად დიდდება. 1924—25 წლისათვის სახალხო ჯანმრთელობისთვის გადადებული იყო 78 ათასი მანეთი; 1925—26 წლისთვის გადადებულია 188 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ადგილობრივ თანხებიდან მაზრების სახალხო ჯანმრთელობას ხმარდება 92.326 მანეთი.

ახალი გზატკეცილები.

ამ ორი წლის წინად დაწყებული გზატკეცილების გაყვანა უკვე დამთავრებულია. ამ რამოდენიმე ხნის წინად საგზაო მშენებლობის ორგანოებმა დაასრულეს ტეხნიკური კვლევა-ძიება ახალი გზატკეცილების გასაყვანად. მარტის დამლევს დაიწყო სამუშაოები ჩუხუნეთის, ქედა-ჩაქვისთავის გზატკეცილის გასაყვანად. სწარმოებს აგრეთვე მუშაობა გზატკეცილის გასაგრძელებლად შუახევის ხიდიდან სოფელ ურჩამდე. ამ გზატკეცილების საერთო სიგრძე 54 ვერსს უდრის.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს უწყებაში გადავიდნენ ახალი საექსპლოატაციო გზატკეცილები: ქუთაისს-ხონსა-სამტრედია (ამ გზატკეცილების სიგრძე 214 ვერსს უდრის); სამტრედია-საჯევახო-ოზურგეთი—სიგრძით 57 ვერსი და ორპირი—ახალსენაკი—25 ვერსი. გზატკეცილების სამმართველოს უწყებაში გადასვლამდე ამ გზატკეცილების მოვლა-პატრონობა ევალებოდა სამაზრო აღმასკომებს. ამ ჟამად გზატკეცილების საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებენ. გზატკეცილების სამმართველოს განზრახვა აქვს მის უწყებაში გადასული გზატკეცილები აღადგინოს იმდენად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საბორბლო, ხოლო ზოგიერთ უბნებში მსუბუქი საავტომობილო მოძრაობა.

ინგლისის ბურჟუაზია და ჩინეთი

ინგლისის ბურჟუაზიის გულისწყრომა ჩინეთის რევოლიუციური მოძრაობის წინააღმდეგ ადვილი გასაგებია. ინგლისელებმა შანხაისა და კანტონში სისხლის ნიაღვარი დააყენეს, ამის საპასუხოთ ჩინელებმა შარშან ივლისში სავაჭრო ბოიკოტი გამოაცხადეს, ამ ბოიკოტმა ინგლისის იმპორტი სამხრეთ ჩინეთში სავსებით მოსპო, ხოლო ჩრდილოეთ და შუა ჩინეთში [illegible] დააზიანა.

დღეს ვერც ერთი ჩინელი ვერ ბედავს კანტონსა ან სვატაუში ინგლისური საქონლის ყიდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმას გადაახდევინებენ და სამარცხვინო სამუშაოს მიუსჯიან, ფეხის ადგილებს გააწმენდინებენ. ხშირად „იმპერიალიზმის დამქაშებს" თავზე ჯამბაზის კარტონის ქუდს ახურავენ და ქუჩა-ქუჩა ატარებენ: აღშფოთებული ხალხი მათ ყვირილით უკან მისდევს და დასცინის.

ამ დრაკონისებური ზომებით განხორციელებული ბოიკოტის შედეგი ცნობილია. რასაკვირველია, არავითარ კონტრაბანდას არ ძალუძს ნორმალური აღებ-მიცემობის ანაზღაურება. ჰონგკონგი, ეს უდიდესი საალებ მიმცემო ჭიშკარი, საიდანაც ინგლისელი ვაჭრები სამხრეთ ჩინეთში იჭრებოდნენ, უკანასკნელ დროს მკვდარ ქალაქათ იქცა. ინგლისის საერთო იმპორტი ჩინეთში უკანასკნელი ზაფხულის შემდეგ ჩქარა დაეცა. ასევე ჩქარა დაეცა ინგლისელი ბურჟუაზიის მოგება.

1925 წლის დასაწყისში ინგლისს ჩინეთში თვიურად დაახლოებით 27 მილიონი იარდი ბამბეულის ქსოვილი შეჰქონდა, შემოდგომაზე კი მხოლოდ 8 მილიონი. ყველა ინგლისური ფირმები და საზოგადოებები, რომელნიც ჩინეთში მუშაობენ, ერთხმად ადასტურებენ, რომ ბოიკოტმა მათ უდიდესი ზარალი მიაყენა. ასე, მაგალითად, „აღმოსავლეთის სანაოსნო კომპანიის" თავმჯდომარემ ამ საზოგადოების მე-85 წლიურ კრებაზე განუცხადა, რომ 1925 წელი უმძიმესი იყო საზოგადოების ხანგრძლივ ისტორიაში: საზოგადოთ, ინგლისის ნაოსნობას ასეთი გაჭირვება არასოდეს არ დასტეხია თავსო. სხვა დაინტერესებული პირები აღიარებენ, რომ შანხაის ინგლისელმა ვაჭრებმა მილიონები დაჰკარგეს, რომ ჰონგკონგის ერთს უმთავრეს ბანკს გაკოტრება ელის, მიტომ რომ ჩინელ მუშტრებს დეპოზიტები გააქვთ, ხოლო „ჰონგკონგ-შანხაის ბანკების კორპორაციას" არ ძალუძს რაიმე დახმარების აღმოჩენა, მიტომ რომ თვითონაც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება.

ერთმა ინგლისელმა დიდ ვაჭარმა თავისი შთაბეჭდილება ჩინეთის ამბების შესახებ შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„1925 წელმა ინგლისის ავტორიტეტი ჩინეთში ისე დასცა, რომ თანაბარი მოვლენა ისტორიაში მხოლოდ ერთი გვახსოვს. სახელდობრ ჰოლანდიური სამხედრო გემების იერიში ლონდონის წინააღმდეგ მეჩვიდმეტე საუკუნეში".

მშვიდობიანი გზა

შეიძლება ეს სიტყვები ინგლისელი დიდვაჭრისა, მისივე საკუთარი სასოწარკვეთილი ეკონომიური მდგომარეობის გამო, გადაჭარბებული იყოს; ინგლისური კაპიტალის მდგომარეობა, რამდენადაც ის ჩინეთის აღებმიცემობასთან არის შეკავშირებული, მაინც უეჭველად მეტად მძიმეა. ჩინეთში კი ინგლისის საერთო კაპიტალის ათი პროცენტია დაინტერესებული. ამიტომ, ყველა ინგლისელ კაპიტალისტის აზრით, აუცილებლად საჭიროა, რომ აღმოსავლეთ აზიაში, რაც შეიძლება ჩქარა ნორმალური ურთიერთობა დამყარდეს.

ამ მიზნის შესახებ ყველანი ერთი აზრისანი არიან. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მიზანი? შეიძლება თუ არა კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით? თუ ჩინეთის წინააღმდეგობის მოსადრეკად იარაღია საჭირო?

ლიბერალური პრესა, განსაკუთრებით, „მანჩესტერ გარდიანი" წინააღმდეგია შეიარაღებული ინტერვენციისა, მისი აზრით ჩინეთში „შერიგების და მოთმინების პოლიტიკის წარმოებაა საჭირო". რასაკვირველია, ეს მშვიდობიანი განწყობილება ლიბერალებში „იდეალური" ზრახვებით არ არის გამოწვეული. კონსერვატიული გაზეთები ამჟღავნებენ იმ მოტივებს, რომელსაც ლიბერალური პრესა მორცხვად მალავს. მათ სასურველად მიაჩნიათ ენერგიული შეტევა რევოლიუციონური კანტონის წინააღმდეგ, მხოლოდ ეშინიათ, რომ „ცეცხლის ალი ჩრდილოეთ ჩინეთსაც მოედება". ამ რიგად ინგლისური „მოთმინების პოლიტიკა" იმ მგლის მშვიდობის მოყვარეობას ჰგავს, რომელიც მწყემსის ტყვიის შიშით ცხვრის ფარას შორს უვლის.

იმავე მოტივებით აიხსნება ინგლისის სულგრძელობის აქტი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ეუწყა ქვეყნიერებას. 1901 წლის შემდეგ ინგლისელები ჩინეთისგან წლიურად 400 ათას გირვანქა სტერლინგს ღებულობდნენ, როგორც „ბოქსერთა ომის" სანაზღაუროს. ამერიკა კი თავის წილს, 260 ათას სტერლინგს ჯერ სანახევროდ, შემდეგ უკლებლივ ჩინეთშივე სტოვებდა საკულტურო პროპაგანდის ფონდის გასაძლიერებლად. გერმანია 1919 წელს, ვერსალში, იძულებული იყო უარი ეთქვა თავის ხვედრზე. საბჭოთა რუსეთმა მისი ხვედრი, ყოველწლიური ერთი მილიონი სტერლინგი, ნებაყოფლობით და ისე რომ, ამერიკული საპროპაგანდო ოინბაზობა არ უხმარია, ჩინეთის განათლების უწყებას დაუთმო. ინგლისი კი 1926 წლამდე ჯიბეში იდებდა 400 ათას სტერლინგს.

ინგლისმა ახლა, დიდი ბოიკოტის მათრახების შემდეგ, უკვე აღმოაჩინა, რომ მისი გულიც ძლიერათ სცემს ჩინეთის კულტურისათვის. მიღებულ იქნა კანონი და დაინიშნა კომისია. ამ კომისიამ, რომელიც სამი უწყინარი ადამიანისაგან შესდგება (ერთია შრომის ინსპექტორი ქალი, მეორე პროფესორი და მესამეც „რადიკალი" ლორდი ველინგტონი) ჩინეთში გაზაფხულის მახარობელი მერცხლების როლი უნდა შეასრულონ, ამ სიტყვის პირდაპირი და ნართაული მნიშვნელობით (ისინი ჩინეთში ამა წლის მარტში გაემგზავრნენ): იმათ ჩინელები უნდა დაარწმუნონ, რომ თუ ინგლისი დღეს ჩინეთში კულტურული დაწესებულებების შექმნას აპირებს, ამით პოლიტიკური და ეკონომიური პროპაგანდის გაწევა როდი სურს.

ნამდვილად კი ეს კომისია იგავის მელიას ჰგავს, რომელიც ლილის ქვევრში ჩავარდა, თალხად შეიღება და შემდეგ ქვეყანას არწმუნებდა იერუსალიმს მივდივარ სალოცავადო. ყოველს შემთხვევაში, თვითეულ ჩინელს კარგად ესმის, რომ ინგლისის სულგრძელობას გარკვეული მერკანტილური სარჩული აქვს და კონტრიბუციის მოხმარების საკითხს ბოლოს გადასწყვეტს არა პროფესორი და არა შრომის ინსპექტორი, არამედ კომისიის ის წევრები, რომელნიც ინგლისში დარჩნენ და მოხსენებას ელიან: ამ დარჩენილებს შორის ორი არის ინგლისის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი, ერთი სამხრეთ - აფრიკის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი და ერთიც „ინგლისის ბანკის" დირექტორი.

ნამდვილი სახე ინგლისური იმპერიალიზმისა

ინგლისის მთავრობა ჩინეთში მუდამ ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს. ერთი მხრით ის თითქო მოთმინებისა და შერიგების პრინციპებს აღიარებს. ამავე დროს ჩინეთის სამოქალაქო ომში აქტიურად და ნაკლებ პაციფისტურად ერევა.

ინგლისის ბურჟუაზია უ-პეი-ფუს ეხმარებოდა 1920 წლიდან 1924 წლამდე. ახლაც ეხმარება. როცა კანტონის რევოლიუციურმა ჯარებმა სვატაუ დაიპყრეს, დამარცხებულ რეაქციონერებს შორის მრავალი ინგლისელი ოფიცერიც აღმოჩნდა. კანტონის მთავრობის შეურიგებელი მტერი, გენერალი ჩენ-ჩინ-მინგი ჰონგკონგში ნივთიერ დახმარებას და მეგობრულ თავშესაფარს პოულობს.

ერთი სიტყვით, ინგლისი ჩინეთში კარგა ხანია ფარულ ძალმომრეობის პოლიტიკას აწარმოებს. რა არის უ-პეი-ფუსა და ჩენ-ჩინ-მინგის დახმარება, თუ არა ცდა, რომ მოსყიდული აგენტებისა და მატერიალური ძალის შემწეობით პეკინსა და კანტონში ინგლისის მომხრე მთავრობა დამყარდეს?

ბრიტანეთის ბურჟუაზიისთვის ჩინეთში მარტო ჩინეთის საკითხი როდი სწყდება. აქ სწყდება ბრიტანეთის იმპერიის ბედი, როგორც აზიის მბრძანებელისა. ამიტომ ინგლისელი იმპერიალისტები მზათ არიან ყოველგვარ ღონისძიებას მიმართონ. 22 თებერვალს კანტონის საბაჟო კომისარმა, ყოფილმა ინგლისელმა ოფიცერმა ჰ. ბელმა, სრულიად შეაჩერა საქონლის მოძრაობა კანტონის ნავთსადგურში. ეს სახიფათო ზომაა თვით ინგლისის თვალსაზრისით. იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც ბოიკოტი არ შეხებია, ინგლისის მიერ დაკარგული პოზიციები დაიპყრეს ჩინეთის აღებმიცემობაში, ინგლისელი მოხელეების ძალმომრეობითი ადმინისტრაციული ზომები მათ აღიზიანებს. ამრიგად ჩინელების უკმაყოფილებას ზედ ერთვის კაპიტალისტური კონკურენტების უკმაყოფილებაც.

ჩრდილოეთ ჩინეთში საქმე ინგლისისათვის თითქო უკეთ მიმდინარეობს. მთელი თვეების განმავლობაში ინგლისური კაპიტალი ადგილობრივ ჩინელ ბურჟუაზიასთან ერთად ეკონომიურად და მილიტარულად ეხმარებოდა გენერალ უ-პეი-ფუს. ახლა უ-პეი-ფუ „სახალხო არმიისაკენ" დაიძრა, რათა ჩრდილოეთიდან და სამხრეთ - აღმოსავლეთიდან მომავალ იაპონურ ლაქიებთან, ჩან-ძო-ლინთან და ლი-ჩინგ-ლინთან ერთად კუო-მინ-ჩიუნი (სახალხო არმია) გაანადგუროს. ძნელია იმის თქმა, თუ როგორ დამთავრდება ეს კონცენტრიული შეტევა. ცხადია მხოლოდ, რომ ეროვნულ-რევოლიუციური ჩინეთის სიმპატიები არც ჩან-ძო-ლინის მხარეზეა და არც უ-პეი-ფუსა. ამიტომ თვით იარაღის გამარჯვება დიდი ხნით არ განამტკიცებს არც ინგლისისა და იაპონიისა და არც მათ მიერ მოსყიდული გენერლების მდგომარეობას. მით უმეტეს, ძნელი მოსალოდნელია, რომ კანტონში რაიმე შეიცვალოს. 1920 წელშიც კი დაამხეს ჩან-ძო-ლინმა და უ-პეი-ფუმ პეკინის მთავრობა, მაგრამ კანტონის მთავრობა არც მაშინ შერყეულა.

ამიტომ საეჭვოა, რომ ინგლისმა ჩინეთში სასურველ შედეგებს მიაღწიოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დღევანდელი სამხედრო მოქმედება მისთვის ხელსაყრელ პირობებში განვითარდება. მეორე მხრივ ინტერვენცია სახიფათო იქნებოდა ინგლისისთვის: ის კიდევ უფრო გააღრმავებდა ეროვნულ - რევოლიუციურ მოძრაობას, რომლის დაცხრობა ასე სწყურია ლონდონის კონსერვატიულ მთავრობას. ამიტომ მას არც „სურს" ინტერვენცია ჩინეთში. კიდევ მეტი: მას ეშინია კიდეც ასეთი ომისა. მაგრამ ამ ჩვენს წყეულს ქვეყანაში მეტი მნიშვნელობა აქვს არა ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის სურვილებს, არამედ მკაცრ ობიექტიურ აუცილებლობას. არც მგელს „სურს" ისეთ ფარეხში შეიჭრეს, რომელსაც შეიარაღებული მწყემსი სდარაჯობს. მაგრამ თუ შიმშილმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, შეიძლება ბოლოს ბედი სცადოს.

როგორც ცნობილია, 1925 წ. დასასრულს შანხაიში „კონსტიტუციის დამცველი ლიგა" დაარსდა „ჩინეთის დასაცავად ბოლშევიზმისაგან". შანხაის კოლონიის ინგლისელი მოქალაქეები სცდილობენ ბრიტანეთის მთავრობა დაარწმუნონ, რომ საჭიროა „ძლიერი მუშტის პოლიტიკის" წარმოება. თვით ლონდონში ამა წლის დასაწყისში ინდუსტრიისა და ვაჭრობის გავლენიანმა წარმომადგენლებმა ეგრეთ - წოდებული „ჩინეთის კომიტეტი" შეადგინეს. ამ კომიტეტმა 22 იანვარს წერილი გაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც აღნიშნა, რომ არავითარი იმედი არ არსებობს ინგლის - ჩინეთის ურთიერთობის გამოსწორებისა ახლო მომავალში. შემდეგ კომიტეტი მთავრობას უმოქმედობას აბრალებს. ჩემბერლენმა საპასუხო წერილში სალამი მიუძღვნა კომიტეტს და განაცხადა, რომ მთავრობა დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს ახალ ორგანიზაციასთან ერთად.

ამავე დროს, ლონდონის „ჩინური ინფორმაციის ბიუროს" ცნობით, ინგლისის სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო ბურჟუაზიის წრეებში უკვე კამათობენ შეიარაღებული ინტერვენციის ფართო გეგმის შესახებ. კიდევ მეტი: ამ ბიუროს ცნობით, ეს გეგმა მზადდება კიდეც. „ჩინური ინფორმაციის ბიუროს" მიხედვით „ინგლისის ბანკს" 600.00 გირვანქა სტერ. გაუგზავნია „ჰონგკონგისა და შანხაის" ბანკისთვის. ჩვენი წყაროების მიხედვით ეს ფული უნდა მოხმარდეს ფართო პროპაგანდას რუსეთის გავლენის წინააღმდეგ. შემდეგ ფიქრობენ 100 ათასი ევროპიელი ჯარისკაცის შემწეობით მეორე „ბოქსერთა ომის" დაწყებას. ჯერ-ჯერობით ჰონგკონგის გარნიზონი გააძლიერეს.

თვით ჩინეთის ევროპიულ პრესაშიც აშკარად ლაპარაკობენ ამგვარ გეგმებზე. პეკინის ფრანგული გაზეთის შობის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ლონდონის, ვაშინგტონის, პარიზის, ტოკიოს და რომის კაბინეტები ამუშავებენ ინტერვენციის გეგმას. იმავე პეკინის დიდი ინგლისური გაზ. 11 იანვრის ნომერში სწერდა, რომ იაპონია დიდ სახელმწიფოებს 20 ათას ჯარისკაცს სთავაზობს საომარ მოქმედების დასაწყებათ ჩინეთში და რომ ინტერვენცია „ერთად ერთი შესაძლებელი გზაა ჩინეთის გასანთავისუფლებლად წითლებისაგან".

ხელები შორს ჩინეთისაგან!

ინგლისის ბურჟუაზიის მდგომარეობა ობიექტიურად უაღრესად კრიტიკულია. მეორე მხრით ცხადია, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინელ ხალხს დიდი საფრთხე მოელის შევიწროებული იმპერიალიზმისაგან.

ამიტომ რევოლიუციური მუშათა მოძრაობა უნდა მზად იყოს ყოველი მოულოდნელი შემთხვევისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ, ჩინური ახალი წლის დღესასწაულის გამო, ლონდონში ჩინეთის პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა და გომინდანის მეთაურებმა ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ბელადთან ერთად (საკლატვალა პერსელსა, ჯორჯ ჰაიკსა და სხ.) ევროპისა და აზიის ჩაგრულთა მთლიანობის დემონსტრაცია გამართეს. ევროპის მუშათა კლასის ერთსულოვანმა წინააღმდეგობამ თვით ევროპაშივე ნიადაგი უნდა გამოაცალოს ჩინეთში ჩარევის სურვილს. მან უნდა გაიხსენოს, რა გაბედულად შეებრძოლენ ინგლისელი მუშები 1920 წელს იარაღის ტრანსპორტს პოლონეთისკენ. ევროპის კლასობრივად შეგნებულმა პროლეტარიატმა უნდა იცოდეს, რომ ყოველი დახმარება, რომელსაც ის რევოლიუციურ ჩინეთს გაუწევს, საკუთარი რევოლიუციის გზის გაკაფვას ნიშნავს.

კ. ა. ვიტფოგელი.

„ინტერნ."

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალგზელი

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 11 აპრილი
გაზ. „კომუნისტი“-ს ყოველკვირეული დამატება
№ 11

ოდენკურის ამბების გამო

მოხდა ის, რაც კაი ხანია უნდა მომხდარიყო. ის, რაც ხუთი წლის განმავლობაში ყოველგვარი ხელოვნური საშუალებებით იმალებოდა და იფარებოდა, დღეს ცხად და ნათელ იქნა: ემიგრაციის მთლიანობა—ეს მხოლოდ ფიქციაა, შექმნილი რამიშვილ-კედიას სამზარეულოში ევროპიულ საზოგადოებრივ აზრის მოსატყუებლად. ატყუებდენ ევროპას, თორემ თვით ემიგრაციისათვის და მისი ლიდერებისათვის აშკარა იყო, თუ რა სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა არსებობდა ემიგრაციის სხვადასხვა ფენებ შორის.

ჯერ კიდევ შავ ზღვაში გემებით მივცურავდით სტამბოლისაკენ, რომ ამ უთანხმოებამ იჩინა თავისი და „ვესტაზე“ ეს უთანხმოება კინაღამ ხელჩართულ ბრძოლამდე არ მივიდა. ერთი ყოფილი გენერალი თქვენმა მონა-მორჩილმა გადაარჩინა ზღვაში გადაგდებას.

სტამბოლში ასეთი უთანხმოება მუდამ არსებობდა და დღითი დღე მწვავდებოდა. მახსოვს, ერთხელ ქართველ ლტოლვილთა თავშესაფარში გამართული იყო კოლონიის კრება გამგეობის ასარჩევად. ამ კრებაზე იმ ზომამდე მიაღწია საქმემ, რომ „ძმა ბიჭებმა“ ხანჯლებზედაც კი ისვეს ხელი, და თუ სისხლი არ დაიღვარა, ეს აიხსნება მხოლოდ მით, რომ მენშევიკებმა დროზე დატოვეს დარბაზი. და ეს ხდებოდა არა მარტო სტამბოლში,—ასეთივე ამბები მოდიოდა ევროპის ყველა დიდი ქალაქებიდან, სადაც კი ქართველები იყვნენ თავმოყრილი.

ეს არ წარმოადგენს არავითარ მოულოდნელს და განსაცვიფრებელს იმ პირთათვის, ვინც ცოტად მაინც იცნობს ჩვენი ემიგრაციის შემადგენლობას. და მართლაც ვინაა დღეს საზღვარ-გარეთ გახიზნული?

ერთი მხრით ის ვხედავთ ჩვენ ყოფილ ამხანაგ მუშა-გლეხებს, რომლებიც ბრმათ მისდევდენ და ზოგიერთი მათგანი, სამწუხაროდ, დღესაც ბრმათ მისდევს თავის ბელადებს, რომლებმაც კაი ხანია წითელი სოციალისტური დროშა შესცვალეს სხვა ფერის ნაციონალისტური დროშით. ეს მუშა-გლეხები ცდებოდენ საზღვარ-გარეთ გასვლის დროს, ცდებიან სასტიკად დღესაც, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მათი უდიდესი ნაწილი სუბიექტიურად დღესაც სოციალისტებია. ბევრ მათგანს არა ერთხელ და ორხელ გეუთელია მეფის ციხე და კატორღა რევოლიუციონურ ბრძოლისათვის ბევრ მათგანს კარგად ვიცნობ მე, კარგად იცნობენ ძველი აქაური ჩვენი ამხანაგები და შემიძლია სრული რწმენით ვაღიარო, რომ ბევრი მათგანი დღესაც მზად არის თავის სიცოცხლე შესწიროს მუშურ იდეალს. რა უყოთ მერე, რომ დღეს ისინი ჩვენს წინააღმდეგ არიან, რა უყოთ მერე, რომ ისინი დღეს, როგორც ზემოთ ვსთქვი, სასტიკად ცდებიან, ხვალ ისინი მაინც ჩვენთან იქნებიან, მათ სხვა გასავალი გზა არ აქვთ, თვით ცხოვრება მოდენის მათ ქედმოხრილს კომუნისტური წითელი დროშის ქვეშ იმავე სახით, როგორც ეს ქნეს აქ მათმა დარჩენილმა ამხანაგებმა.

მეორე მხრით ემიგრაციაში ჩვენ ვხედავთ წმინდა წყლის ფაშისტებს, რომლებიც მთელი თავის არსებით და მთელი თავის ბუნებით წინააღმდეგი არიან არა მარტო კომუნისტების, არა, მათ საერთოთ სძაგთ და სძულთ ყოველივე ის, რასაც კი სოციალიზმის სუნი უდის. მათი სათაყვანებელი გმირებია ჰინდენბურგი და მუსოლინი, მათი იდეოლოგიაა ქართულ ნიადაგზე გადმონერგული მარკოვ მეორის მსოფლმხედველობა. დღეს რომ მათ ძალაუფლება ჰქონდეთ, დიდი სიამოვნებით და სიხარულით ერთ და იმავე ბოძზე ჩამოაღრჩობდენ როგორც მუშა ბოლშევიკს, ისე მუშა მენშევიკს.

და მითხარით, რაა გასაკვირი და განსაცვიფრებელი, რომ ამ ორ ბანაკს შორის მუდამ განუწყვეტელი და უსასტიკესი ბრძოლა სწარმოებდეს. განა ანომალია და უაზრობა არაა ერთად დაყენება და ერთ დროშის ქვეშ ყოფნა შალიკაშვილისა და ვლასა მგელაძის, უჩა დადიანის და გიორგი ერაძის, ფილიპე ლორიასი და ყველას მიერ ცნობილ კოლია ნიჟარაძის? ასეთი შეერთება და შეკავშირება ხომ თვით ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. რაა საერთო გურიიდან გაქცეულ გლეხებსა და იმ ყოფილ თავად-აზნაურთა შორის, რომლებიც სიტყვას ისე არ მოაბრუნებენ, რომ „ვაშე სიატელსტვო“ ზედ არ მიაწეპონ? რასაკვირველია, სრულიად არაფერი.

და დეე, ამ უსაშინელესმა და უბედურმა ოდენკურის ამბებმა დღეს მაინც გაუხილოს თვალები ამ დაბრმავებულ ჩვენ ყოფილ ამხანაგებს და შეაგნებიოს და შეასისხლხორცებიოს ის აზრები და შეხედულებები, რომლებითაც ისინი გამსჭვალულნი იყვნენ 20 წლის წინად. ეგებ მაშინ მაინც შესძლონ მათ მიტოვება იმ გზის, რომლითაც ისინი მათ ლიდერებს მიჰყავთ შავრაზმელთა ბანაკში, ეგებ მაშინ მაინც მოახერხონ თავის დაღწევა იმ საზიზღარ ჭორებიდან, რომლებსაც რამიშვილი და მათი დამქაშები ავრცელებენ საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის შესახებ.

მუდამ მუშებთან ერთად ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურების წინააღმდეგ მებრძოლნი, დღეს თქვენ თქვენდა უნებლიეთ სწორედ ამ მუშათა ინტერესების დაუძინებელი მტრების წისქვილზე ასხამთ წყალს, მათ უდგიხართ გვერდში, მათთან ერთად იბრძვით წითელი დროშის წინააღმდეგ. ნუ თუ დღეს მაინც ვერ შეიგნებთ, რა სამარცხვინოდ ათავებთ იმ სახელოვან წარსულს, რომელსაც ყოველი თქვენგანის ცხოვრება წარმოადგენს? თქვენ აქ უნდა იყოთ, რომ იგრძნოთ მთელი საშინელება ამ ჭეშმარიტი აზრის.

და ისიც იცოდეთ, რომ კომუნისტური პარტია ყოველთვის სიხარულით ხელს უწვდის სოციალიზმისაკენ პირმობრუნებულ მუშას, რა დანაშაულიც კი არ უნდა მიუძღოდეს მას წარსულში, ოღონდ ის მართლაც იქნეს გულწრფელი და ჭეშმარიტი.

დეე ოდენკურის ამბები გამომაფხიზლებელ ნექტარათ იქცეს იმ ჩვენი ყოფილი ამხანაგებისათვისაც, რომლებიც აქ არიან დარჩენილნი და ჯერ კიდევ უთანაგრძნობენ ჩხირკედელაობას და სულელურ სისინს იმ პარტიის წინააღმდეგ, რომლის იდეალს შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა სოციალიზმისათვის.

ტყუილი და ფუჭია [illegible] მართლება მით, თითქოს ეს მათი სისინი გამოწვეულია ნაციონალური განწყობილებით, ნაციონალური ჭეშმარიტი სახალხო საქმის კეთება თუ მათ სურთ, ამაში მათ არამც თუ არავინ ხელს არ შეუშლის, პირიქით ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ.

თორემ მოხდება ის, რაც არა ერთხელ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში. მუშას მუშური ინსტინქტი და უქონლობა მეჩხანურ ფსიქოლოგიისა ადვილად მიჰყავს იმ ჭეშმარიტ გადაწყვეტილებამდე, რომ ბრძოლა მისი იდეალისათვის მხოლოდ კომუნისტურ დროშის ქვეშ წარმოებს და ის მასიურად მიილტვის ამ დროშისაკენ. თქვენ კი გულში თვით გრძნობთ ამ მუშური დასკვნის სინამდვილეს, მაგრამ მეჩხანური თავმოყვარეობა ნებას არ გაძლევთ თქვენ ეს ხმა მაღლა, სხვების გასაგონებლად სთქვათ. შედეგათ კი ამას მოჰყვება მხოლოდ და მხოლოდ თქვენი გარიყვა და განდევნა ცხოვრებიდან.

დროა ეს შეიგნოს ყველამ, ვისაც ის ჯერ კიდევ არ შეუგნია.

კ. სულაქველიძე.

კომუნისტურ პარტიის რიგებში

ამ დღეებში გამოქვეყნდა სია იმ ძველ რევოლიუციონერ მუშებისა, რომლებიც ორგანიულად შეუკავშირდენ მებრძოლ პროლეტარიატის შემჭიდროებულ, კომუნისტურ პარტიის დროშის ქვეშ დარაზმულ მუშებს.

ეს იყო ისტორიული ფაქტი და იმ ისტორიულ უკულმართობის შედეგთა ლიკვიდაცია, რომლებმაც ერთი-ერთმანეთს საბედისწეროთ დაუპირისპირა კომუნისტი და მენშევიკი მუშა. საქართველოს მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიაში ეს ახალი ფურცლის გადაშლა არის; ეს იმ ფურცლის გადაშლა არის, რომელზედაც სისხლით აღბეჭდილ ასოებით იქნება აღნიშნული: „ისტორიული გაუგებრობა გაფანტულია და ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ აქნამდე შემცდარ გზით მავალი მენშევიკი მუშები მივიდენ ერთ ოჯახში სწორ გზით მსვლელ ბოლშევიკ მუშებთან“.

ამიერიდან დავა მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს ბოლშევიზმის სრული გამარჯვებით.

ყოველი ახალგზელი ასე გაიგებს ამ ისტორიულ ფაქტის მნიშვნელობას და გააორკეცებს იმ ენერგიას, რომელიც უნდა მოვახმაროთ რევოლიუციონურ საქმიანობას.

ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტურ პარტიის კარებს მრავალი ახალგზელი უკაკუნებს და მრავალ მათგანს დიდი სურვილი აქვს შეუერთდეს კომპარტიის შემჭიდროებულ რიგებს.

68 ამხანაგის პარტიაში მიღებამ ორნაირი გამოძახილი იპოვა.

როგორც ფარული, ისე აშკარა მენშევიკები ღაღადებენ „გამყიდველობაზე“ და „ეროვნულ ინტერესებისად მი ღალატად“. გულწრფელი რევოლიუციონური მუშები კი ამ ფაქტის შემდეგ უფრო უახლოვდებიან კომუნისტურ რევოლიუციონურ ოჯახს.

სრულიად ბუნებრივად მრავალი ახალგზელი, რომელსაც თვალი კომპარტიის რიგებისაკენ უჭირავს, მიიჩქარის ამ რიგებისაკენ და არ სურს რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი გადაეღობოს წინ მათ პარტიაში შესვლას.

ყველა იმათთვის, ვინც კომპარტიაში შედის, ფორმალურად დამაბრკოლებელ მიზეზის როლში გამოდის აუცილებელი საკანდიდატო სტაჟი. განსაკუთრებულ შემთხვევის გარდა კომპარტიის წესდების თანახმად, არ შეუძლია საკანდიდატო სტაჟის გარეშე გაუღოს კარი ყველა მას, ვინც სურვილს განაცხადებს პარტიაში შესვლისას. კომპარტიის წევრობა დიდი მონაპოვარი არის ყოველ რევოლიუციონერისათვის და სრულიად გასაგებია, რომ პარტიამ უნდა საქმეზედ გამოსცადოს ის, ვინც ამ ფოლადისებურ რიგებში შეუდრეკელ ნებისყოფით მოინდომებს შესვლას. მაგრამ, თავისთავად ცხადია, პარტიაში შესვლის პირობები შემსუბუქებულ უნდა იქნენ ძველ რევოლიუციონერ მუშებისათვის. ამასთან, საქმე ის კი არ არის, რომ რევოლიუციონერი ფორმალურად კომპარტიის წევრად ითვლებოდეს, არამედ საქმე იმაშია, რომ ყოველი პატიოსანი რევოლიუციონერი გვერდში ამოუდგეს კომპარტიას თავის გადამჭრელ ბრძოლაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ შემდეგში: მიუხედავათ იმისა, რომ მრავალი ახალგზელი ეხლავე არ შეიძლება გახდეს კომპარტიის წევრი, ისინი იქნებიან მისი საუცხოვო მოკავშირენი გაჭირვების მომენტებში.

ქართველ მშრომელთა რიგები გამრთელდა და ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუციონური საქმე, დამოუკიდებლად იმისა, ითვლება თუ არა ფორმალურად კომპარტიის წევრად, მტკიცეთ უნდა იდგეს რევოლიუციონურ წესრიგის და წესწყობილების სადარაჯოზედ.

ზ. ჩახვაძე.

სწორი გზისაკენ

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საუკეთესო ნაწილი ყოფილ მენშევიკებისა უკვე გადავიდა კომპარტიის რიგებში ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ჩვენმა ძველმა მენშევიკურმა პარტიამ მიატოვა ძველი გზა, მუშათა ინტერესების დაცვისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხუთმა წელმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის, ყოფილ მენშევიკებისთვის, უკვე ნათელი შეიქნა საბჭოთა ხელისუფლების [illegible] და კომუნისტური პარტიის ბუნების გაცნობა - გათვალისწინება. აუცილებლად ამ პრაქტიკულ დაკვირვებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამან, რასაკვირველია, დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენში.

ჩვენ არ შეგვეძლო არ შეგვენიშნა ის სწორი მოქმედება, რომელსაც საქართველოში აწარმოებდა და აწარმოებს დღესაც კომუნისტური პარტია. ყველასათვის აშკარაა ის დიდი აღმშენებლობა, რომელსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს კომპარტიის მეთაურობით. ჩვენ ეს მით უფრო შეგვეძლო დაგვენახა, რომ ეგრეთწოდებულ „მენშევიკურ ხანაში“ ვხედავდით მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დაუძლურებას. ჩვენი ყოფილი ბელადების აზრი და შეხედულება ბოლშევიკებზე სინამდვილეში არ გამართლდა. საქართველოს გასაბჭოებამ ჩვენ სულ სხვა სურათი გადაგვიშალა თვალწინ. ამის შემდეგ გასაკვირიც არ იყო, რომ ჩვენ ჩამოვცილებოდით მენშევიკურ პარტიას.

პირუთვნელობით რომ არ ვსთქვათ, ის გზა, რომელსაც დაადგა ყოფილ მენშევიკთა ერთი ჯგუფი, სწორია. ეს გზა აუცილებლად რევოლიუციონურია. მე მხედველობაში მყავს 68 ამხანაგი, რომლებიც ამ დღეებში გადავიდნენ კომპარტიის რიგებში. ეს ფაქტი აუცილებლად დიდად [illegible] ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრია მსურველი კომპარტიაში შესვლისა, რომლებიც უმეტესად მუშებისაგან შესდგება. ყოფილ მენშევიკთა მშრომელი ინტელიგენციის ნაწილიც ამ გზას დაადგა. რას ნიშნავს ყოფილ მენშევიკთა ასეთი გარდატეხა? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ამხანაგების საუკეთესო ნაწილმა უკვე შეიგნო საბჭოთა ხელისუფლების სინამდვილე. შეიგნო—ის, რაც უკვე თვალით იხედება. ამის შემდეგ საზღვარგარეთ ყოფილი ჩვენი ბელადები უჯარო სარდლებს წარმოადგენენ. რაც ადრე საზღვარგარეთელი ქართველი მენშევიკები აიღებენ ხელს ავანტიურისტულ პოლიტიკაზე, მით უკეთესი თვით მათთვის, თორემ საქართველოსათვის მისი ბრძოლის თამაშობიას დღეს და მომავალშიაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ალ. გორგაძე.

მუშებთან თუ მათ წინააღმდეგ?

(ახალგაზრდობის მიმართ)

საქართველოს კომუნისტურ პარტიას მძიმე პირობებში ხვდა წილად სახელმწიფოს მესაჭეობა. ანტიკომუნისტური პარტიების გავლენის ქვეშ მყოფი ნაწილი ქართველი ხალხისა მტრულად შეხვდა ახალ ძალას და ცხადია სრულებით არ იყო დაინტერესებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაში.

პირიქით, ის (ანტიკომუნისტური ბლოკი) მთელი თავისი შესაძლებლობით უშლიდა ხელს საბჭოთა ხელისუფლებას დადებითი მუშაობის წარმოებაში. ამის ცოცხალი მაგალითები იყო 1921—22 წლებში გამართული დემონსტრაციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ მდგომარეობის გახანგრძლივებას ხელს უწყობდა საზღვარ-გარეთ გახიზნული „მთავრობა“ და საზოგადოთ მთელი ემიგრაცია, რომელიც ქართველ ხალხს უნერგავდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა და მათ დამქაშების მე-2 ინტერნაციონალის იმედს. ეს იმედი იყო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი საზოგადოების ანტიკომუნისტურ წრეებისა. ვინ გაბედავდა მაშინ ლაპარაკს ამ იმედის სიყალბეზე? ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ დროს შესახებ თუ როდის გამოჩნდებოდენ სანატრელი უცხოელი ჯარები.

ცხადია, ასეთი ილიუზიები დიდანს ვერ ასაზრდოებდა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბანაკს. დაიწყო გამოფხიზლება, დაიწყო რღვევა ანტიკომუნისტურ ბანაკისა. ერთის მხრით ანტიკომუნისტურ პარტიათა ურა - ტაქტიკა და მეორეს მხრით საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღწეული შედეგები ეკონომიურსა და კულტურულ ფრონტზე—აი რამ დააქანა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი მუშური ნაწილი გამოფხიზლებისაკენ. 1923 წლის დასაწყისს მოჰყვა მუშური ნაწილის დენა სოც.-დემ. პარტიიდან. დაიწყო რღვევა ეროვნულ ბანაკისაც.

ამ პროცესის დამთავრება კიდევ უფრო დააჩქარა 1924 წლის აგვისტომ. აგვისტოს ამბები—ეს ჩვენი ერის ტრაგედია — შეიქმნა რადიკალურ გარდატეხის დასაბამი. თუ მანამდის კიდევ ჰქონდა ადგილი მერყეობას, და განზე გადგომას, აგვისტოს შემდეგ—7-8 ოქტომბერს ნაძალადევის მუშების ხმას გამოეხმაურენ საქართველოს ყველა კუთხეების მშრომელნი, რომლებმაც გადაჰკრით დაგმეს ძველი გზა და არჩეულ იქნა მუშათა კომისია, რომელსაც დაევალა ანტიკომუნისტურ ბანაკში შეცდომით [illegible] მშრომელ ნაწილების ახალ გზაზე დარაზმვა.

ახალი გზა იყო გზა ხელისუფლებასთან დაახლოების და მასთან გულწრფელი თანამშრომლობის. იწყება თავმოყრა მუშათა კლასის გათიშულ ძალებისა. წინად გულაცრუებული, ვილაცას მოიმედე, შავი ზღვის შემყურე, მუშებისა და გლეხების ერთი ნაწილი გაასკეცებული ენერგიით უბრუნდება ძველ, რევოლიუციურ გზას, სჭედს უკეთეს მომავალს. გლეხი მთელი თავის შესაძლებლობით ებმება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მშრომელი ინტელიგენტი გულწრფელად მუშაობს კულტურულ ფრონტზე. მოსწავლე ახალგაზრდობა მთელ თავის ყურადღებას აპყრობს მეცნიერულ შრომას.

ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას ისევ კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, როდესაც ისევ საბჭოთა ხელისუფლებაა.

ჩვენდა სავალალოდ ეს თავის დროზე არ იქნა გაგებული. თავის დროზე გაგება იმისა, რაც დღეს ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ააცდენდა ჩვენს ხალხს ახლო წარსულში უაზროდ გაწეულ მსხვერპლს და არ ექნებოდა ადგილი იმ საშინელ ამბებს, რომლებიც 1924 წლის აგვისტოში დატრიალდა. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ამჟამად უკვე ყველასათვის იმდენად თვალსაჩინოა და საგულისხმოა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოში, რომ მათ გვერდს ვერავინ აუხვევს. 5 წელი საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა შეიჭრა ხალხის გულის სიღრმეში და ამას ხალხი აფასებს. ამის დამამტკიცებელია ახლო წარსულში შემდგარი მასწავლებელთა და მწერალთა კავშირების ყრილობები და მათი რეზოლიუციები. ამასვე კიდევ უფრო ნათლად ამტკიცებს ამ დღეებში მომხდარი ფაქტი ყოფილ სოც.-დემ. მოწინავე მუშების კომუნისტურ პარტიაში შესვლისა.

ამრიგად ინტელიგენციამ საბოლოოდ იცნო საბჭოთა ხელისუფლება—მუშათა კლასი სავსებით შეუსისხლხორცდა კომუნისტურ პარტიას. კითხვა ისმება ვისთან ვრჩებით ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებმაც სკოლის სკამებიდანვე მიზნად დავისახეთ მუშათა კლასის სამსახური? მუშებთან თუ მათ მოწინააღმდეგე ბანაკში? პასუხი გარკვეულია:

ვისაც სურს მუდმივი თანამგზავრი იყოს მუშათა კლასის, ვინც მართლა დაინტერესებულია ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებით, ის საბოლოოდ გასწყვეტს ყოველგვარ კავშირს ძველთან და მტკიცეთ დადგება ახალ გზაზე.

ა. ჩაჩუა.

◆

უმნიშვნელოვანესი დადგენილება

უმთავრესი ბრალდება, რომელსაც მოწინააღმდეგები უყენებენ საბჭოთა ხელისუფლებას, ესაა წვრილი ერების „ჩაგვრა“, „დამონება“, მათი კულტურის, მათი ენის „აბუჩად აგდება“, რუსული ენის „გაბატონება“. „დაჩაგრულთა“ სანიმუშოთ ყოველთვის საქართველოზე მიუთითებდენ და ქართველი ხალხის გულისათვის ნიანგის ცრემლებს ღვრიდენ არა მარტო ქართველი ემიგრანტები, არამედ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერი.

იმისათვის, ვინც საქართველოში ცხოვრობდა დღიდან გასაბჭოებისა, ნათელი იყო ასეთი ზღაპრების თხზვის მიზანი. მხოლოდ რაც შეეხება საქართველოდან გახიზნულ ხალხის „ბელადებს“, ეჭვს გარეშეა, არ სჯერათ ასეთი ზღაპრები, მაგრამ ბოროტი მიზნით ავრცელებენ ასეთ ხმებს, მათ იციან, რას შვრებიან. ემიგრაციის მასას კი არ აქვს საშუალება იქონიოს ნათელი წარმოდგენა საქართველოს ნამდვილ ვითარებაზე.

დღეს, საქართველოში—არ ვფიქრობ მოიპოვებოდეს ისეთი მოქალაქე, რომელიც დაიჯერებს ზღაპრებს ქართველი ხალხის „დაჩაგვრის“, მისი „დამონების“ შესახებ. საკითხი ასე სდგას: კეთდება თუ არა შესაძლებლობის ფარგლებში, რაც გასაკეთებელია? პასუხათ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ა.-წ. 28 მარტის ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებაზე „ადგილობრივ ენების ხმარების შესახებ საერთო საკავშირო დაწესებულებებში“, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ შემდეგს: „ამასთან ერთად კომისიამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს მიიღონ საჭირო ზომები ამა თუ იმ საკავშირო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ საკავშირო დაწესებულებათა ფილიალების მთელი საქმის წარმოების ადგილობრივ ეროვნულ ენაზე გადასაყვანად“.

ამაზე უფრო მეტყველი ფაქტის მოყვანა იმისათვის, რომ არც ერთ სხვა სისტემის დროს არ შეიძლება ეროვნული საკითხის ისე რადიკალურად გადაჭრა, როგორც ეს შესაძლებელია საბჭოთა სისტემის დროს, შეუძლებელია.

იკითხავენ, დადგენილება სხვაა და მისი ცხოვრებაში გატარება სხვაო. მართალია, მაგრამ იმისათვის, რომ დადგენილება ცხოვრებაში გაატარონ, რაა საჭირო: ხელის შეშლა დადგენილების გამტარებელთათვის, თუ ხელის შეწყობა და დახმარება?

ვისაც გულწრფელად სურს ხელისუფლებას დაეხმაროს, მას ყოველთვის მოუსმენენ, მის დახმარებას მიიღებენ, მითითებულ დეფექტებს ყოველთვის გამოასწორებენ.

გავიხსენოთ თუგინდ ის ფაქტი, რომ ნაძალადევის ყოფილ მენშევიკ მუშების მითითებით ხელისუფლებამ რკინის ცოცხით გახვეტა რკინიგზების სამმართველოდან 40-მდე ხულიგანი, რომლებიც დაუძინებელი მტერი იყვენ, როგორც წესწყობილების, ისე ყოველივე ქართულის.

მეგობარი.

უმორჩილესი თხოვნაა პროვინციელ ამხანაგებისადმი მოგვაწოდოთ დაწვრილებითი ცნობები როგორც ჩვენი ადგილობრივი განყოფილებების მუშაობის შესახებ, ისე საერთოდ მაზრების და თემების მდგომარეობაზე. მეტი კავშირი ცენტრთან და ჩვენ გაზეთ „ახალგზელთან“ უტყუარი თავდები იქნება ჩვენი მუშაობის მეტი ნაყოფიერების და მეტი ინტენსივობის.

ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა შორის მომუშავე განყოფილება

◆

თელავის სამაზრო საბჭოთა მე-4 ყრილობის შედეგები

თავისი მუშაობა დაამთავრა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა მეოთხე სამაზრო ყრილობამ.

აღსანიშნავია ის მოვლენები, რაც წინ უძღოდა წლევანდელ არჩევნებს თელავის 92% გლეხურ მასებში რამაც უდიდესი ნაყოფი გამოიტანა: 1) დემოკრატიული პრინციპის განხორციელება. და 2) წვრილ თემებათ დაყოფა მაზრის და ადგილობრივ ჩატარება არჩევნების. აი, ამ ორმა გარემოებამ გამოიწვია მთელი გლეხკაცობის ამუშავება და მის მიერ ფართე მონაწილეობის მიღება, როგორც არჩევნებში, ისე ყრილობებშიაც.

არც ერთ არჩევნების დროს, არც ერთ სამაზრო ყრილობებზე ისე აქტიურათ არ გამოსულა ჩვენი მაზრის მშრომელი ხალხი, როგორც ამ წელს მოხდა. დიდ აქტივობას იჩენდენ კახელი ქალები და უღარიბესი ნაწილი გლეხობისა, თუმცა არც ვაჭარ-სპეკულიანტებს და სოფლის კულაკებს ეძინათ: ეს ვაჟბატონები ლამობდენ საბჭოებში მოკალათებას, იქ თავიანთი წარმომადგენლების გაყვანით ჰეგემონიის შექმნას და ამიტომაც წინასწარ მოლაპარაკებულნი, დაწერილ სიებსაც კი ადგენდენ, მაგრამ მწარეთ მოსტყუვდნენ, „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“... კახელ გლეხკაცობამ მათ ისეთი მაგარი სილა გააწნა, რომ არასოდეს არ დაავიწყდებათ. გაქრა მათი იმედები, დასამარდა ამ წურბლების ქვენა აზრები.

დღეს უკვე გამოფხიზლებული გლეხკაცობა მედგრათ უდგას გვერდში ქალაქის პროლეტარიატს და ორივენი ერთად სწევენ ქვეყნის აღმშენებლობის მძიმე ჰაპანს, სანამ მიაღწევდენ იმ სამოთხეს, რასაც სოციალიზმი ეწოდება.

ამ ბრძოლაში წინა რიგებში იდგენ გაკაჟებულ, მრავალგვარ გამოცდილებით აღჭურვილი კომუნისტები, მხოლოდ მათ გვერდით კი—მშრომელი ნაწილი იმ ყოფილ მენშევიკებისა, რომლებიც გუშინ, გუშინწინ შეურიგებელი მტრები იყვნენ კომუნისტების და აშკარათ თუ ფარულათ ეომებოდენ მათ.

ეს ბრძოლა სამუდამოთ გაქრა ისე, რომ მისი ნაშთიც კი არ დარჩენილა. ამის მაჩვენებელია ჩვენი აქტივის მხურვალე მონაწილეობა როგორც არჩევნებში, ისე სამაზრო ყრილობებში.

შარშან ესე არ იყო; ჩვენი ამხანაგების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ განიცდიდა მერყეობას; არ იყო შესისხლხორცებული კომუნისტურ იდეებთან და საბჭოთა დიქტატურის პრინციპებთან. წელს, ახალგზელთა ბანაკში თავმოყრილ ამხანაგების დიდი პროცენტი იქნა ჩაბმული საბჭოებში, მათ მუშაობაში და იმედიცა გვაქვს, რომ მშრომელ ხალხის ნდობას უსათუოდ გაამართლებენ.

დღეს აღარ არსებობს არავითარი გაუგებრობა, დღეს, ახალგზელთა ბანაკის წევრები, მიუხედავათ იმისა, რომ ყველას კომუნისტური წიგნაკები არ უდევთ უბეში, უკვე ფაქტიური კომუნისტები არიან, საბჭოთა სისტემის ერთგული დამცველნი და არასოდეს აღარ წამოეგებიან პარიზელი დონ-კიხოტების პროვოკაციულ ანკესზე.

ივ. დავითიანი.

მეორე ინტერნაციონალის კონგრესი

ნ. ჟორდანია „ბრძოლის“ № 4-ის მოწინავეში ეხება მარსელის კონგრესს და ამბობს: „მარსელის კონგრესი არ იყო ყრილობა მქადაგებელთა უდაბნოსა შინა — პირიქით, ის გახლდათ კრება სახელმწიფო მოღვაწეთა... მის რამდენიმე სხდომებს თავმჯდომარეობდა ბელგიის და შვეციის მინისტრი სოციალისტები“... და სხვა.

პ. მილიუკოვის ორგანო „პოსლედნია ნოვოსტი“, ეხება რა მარსელის კონგრესს, აღნიშნავს, რომ წავიდა ის დრო, როდესაც სოციალისტური ინტერნაციონალი რევოლიუციას ქადაგებდა — არსებული წყობილებას, ცივილიზაციას და კულტურას კატასტროფით ემუქრებოდა. მარსელის კონგრესზე თავი მოიყარეს პასუხისმგებელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, გუშინდელმა ყოფილმა მინისტრებმა და მომავალმა სამინისტრო პირებმა. ამიტომ მათი გამოსვლები იყო არა პროპაგანდა და აგიტაცია, არამედ სახელმწიფო მოღვაწეების პასუხისმგებელი დეკლარაციები!

აი სწორი და ობიექტიური დაფასება მარსელის საქმიანობისა! (როგორც აქედან ნათლად ხედავთ, საქართველოს მენშევიზმის ლიდერის ნ. ჟორდანიას და რუსეთის ბურჟუაზიის ლიდერის პავლე მილიუკოვის ორგანო ერთნაირად იწონებენ მარსელის მოღვაწეთა „საქმიან“ გზას).

სავსებით მართალია ჟორდანია და მილიუკოვი იმ ფაქტის აღნიშვნაში, რომ მეორე ინტერნაციონალი და მისი შემადგენელი პარტიები („დემოკრატიული სოციალიზმის“ პლატფორმაზე მდგომნი) საერთაშორისო მენშევიზმის სახით უკვე დიდი ხანია მოსწყდენ სარევოლიუციო ნიადაგს, რევოლუციურ მეთოდებს და სავსებით გადაბარგდენ რეფორმისტულ რელსებზე. ამ ნიადაგზე ისინი ძლიერ ენერგიულათ განაგრძობენ ბურჟუაზიულ - კაპიტალისტურ წყობილების გამაგრებას და მასში ორგანიულ მოღვაწეობას. მართლაც, ვის არ ახსოვს ის ფაქტი, რომ ევროპიული მენშევიზმი საერთაშორისო ომის დროს გვერდში ამოუდგა ბურჟუაზიულ მთავრობებს, მათ სამხედრო კრედიტზე ხელი მოაწერა, მასების შოვინიზმის გაღვივებაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო და ამით გაბატონებულ კლასებს დიდი სამსახური გაუწია.

ამ საერთაშორისო ომში დამარცხდენ ცენტრალური სახელმწიფონი (გერმანია და ავსტრო-უნგრეთი) და ამას მოჰყვა რევოლიუცია, რომელმაც პოლიტიკური ძალა - უფლება გამოსტაცა ხელიდან გაბატონებულ კლასებს. როგორ შეხვდა ამ ფაქტს სოციალ - დემოკრატია? გამოაცხადა მან მაშინ მშრომელი მასების და პროლეტარიატის ხელისუფლება?— გერმანიაში სოციალისტურ რესპუბლიკას აცხადებენ. პირველ ხანებში საბჭოებიც განაგებენ ქვეყანას, მაგრამ მალე საბჭოები უქმდება და სოციალისტური რესპუბლიკა ხურდავდება ბურჟუაზიულზე, კაუცკი, ბერნშტეინი და ჰილფერდინგი, ეკონომიურ ექსპერტებათ მიწვეულები რეიხსტაგში, აცხადებენ, რომ მაღაროების, რკინის გზების და სხვა საწარმოო თუ სავაჭრო-საბანკო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია (გამოყიდვის პრინციპით) ერთობ ძვირათ დაუჯდებოდა სახელმწიფოს და სახელმწიფო ვერც შესძლებდა რაციონალური წესით ამ დარგების ექსპლოატაციას და მოვლა - პატრონობასო...

როდესაც რუსეთის და საქართველოს მენშევიზმი ამავე დებულებით უარს ამბობდა ეკონომიურ რევოლიუციის მოხდენაზე, კაპიტალის განსაზოგადოებაზე და ამას ასაბუთებდა კაპიტალიზმის ამ ქვეყნებში განუვითარებლობით, პროლეტარიატის მცირერიცხოვანობით და მისი ტეხნიკურ-კულტურულ განვითარების დონის სიდაბლით.—ის კიდევ [illegible] გასაგები [illegible], რადგან რუსეთ-საქართველო არ იყო კლასიკური ქვეყანა კაპიტალიზმისა, მაგრამ ამ ქვეყნებშიც, აიღო თუ არა ძალა-უფლება ხელში პროლეტარიატმა, თავისუფლათ შესძლო წარმოების გაძღოლა, მოვლა-პატრონობა და ამ ფაქტით მენშევიკები თვით ცხოვრებამ დაამარცხა და ბოლშევიზმი ისტორიულად გამართლდა.

მაგრამ გერმანიაში ხომ უმაღლეს წერტილს მიაღწია კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებამ, იქ ხომ ერის უმრავლესობა გაპროლეტარებულია (პროლეტარიატის რიცხვი უდრის თვითმომქმედ მოსახლეობის 61 პროც., ავსტრიაში კი პროლეტარიატის რიცხვი კიდევ მეტია: თვითმომქმედ მოსახლეობის 63 პროც.).

მეორე მხრივ, პროლეტარიატის ტეხნიკური ცოდნა და გამოცდილება, როგორც გერმანიაში, ისე ავსტრია-ჰუნგრეთში და საერთოდ კულტურული სიმაღლე მუშათა კლასისა ამ ქვეყნებში ხომ მაღალია?'.

მაშ რაღა ფაქტორები იყო კიდევ საჭირო, რომ სოციალისტური რევოლიუცია მომხდარიყო?! პირველ ხანაში ამ ქვეყნების ბურჟუაზიული კლასებიც ხომ ომის წაგებით და რევოლიუციის დაწყებით თავზარდაცემული, შეუკავშირებელი იყვნენ?! მათ ხომ იმ ჟამათ არ ჰქონდათ გაბედულობა და უნარი არსებული წყობილების დაცვისა?: ამ რიგათ, ყველა მატერიალური პირობების ჯამი ხელსაყრელი იყო სოციალისტური რევოლიუციისათვის, როგორც გერმანიაში, ისე ავსტრო-ჰუნგრეთში. სხვა ქვეყნებზედ, სადაც კაპიტალიზმმა თავისი განვითარებით აგრეთვე უმაღლეს წერტილს მიაღწია და სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა გაპროლეტარებულია, (მაგალითად ჩრდილოეთ ამერიკაში 70 პროც., ბელგიაში 74 პროც. და სხვაგან 46 პროცენტი)—არაფერს ვამბობ იმიტომ, რომ ეს ქვეყნები ომით არ დამარცხებულან, მათი პოლიტიკური წონასწორობა არ დარღვეულა და ომის წყალობით გაძლიერებული ბურჟუაზიული კლასების დამარცხებაც გაცილებით უფრო ძნელი იყო და დიდ მსხვერპლს მოითხოვდა.

გერმანიაში თვითონ ვილჰელმის მთავრობამ რევოლიუციის ქარიშხალით თავზარდაცემულმა, შეიდემანს და ებერტს ჩააბარა ძალა-უფლება!.. სად სჩანდა იმ დროს ბურჟუაზიული კლასები? არსად! და, აი, შეიდემანი, ებერტი და მენშევიზმის სხვა ლიდერები, ცნობილ ნოსკეს ხელით ბურჟუაზიულ წყობილებას ამაგრებენ! კომუნისტებს კი, რომლებიც საბჭოების ნიადაგზე დგანან და სოციალისტურ რევოლიუციის მოსახდენათ იარაღით ხელში გამოდიან ბერლინის ქუჩებში, რეაქციონური ჯარებით ამარცხებენ და სისხლში აღრჩობენ. როზა ლიუქსემბურგს და ლიბკნეხტს ლინჩის წესით კლავენ. და აი აქ, აშკარავდება გერმანიის ს.-დ. ღალატი და თუ დღეს გერმანიაში რეაქცია იმარჯვებს და მონარქისტი ჰინდენბურგი პრეზიდენტობს — ეს უმთავრესათ აიხსნება ს.-დ. ტაქტიკით: პარტია, რომელსაც ასეთი დიდი ისტორია ჰქონდა და რომელიც მრავალ ათეულ წლების განმავლობაში რევოლიუციონურად წრთვნიდა მუშათა კლასს, გადამწყვეტ მომენტში მას გადაუდგა და მუშათა რევოლიუცია დაამარცხა. დაახლოვებით ასევე იყო ავსტრია - ჰუნგრეთში".

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს თემას. მილიუკოვის და ჟორდანიას შეთანხმება მარსელის შეფასებაში ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ჟორდანიამ უარყო ძველი რევოლიუციონური სოციალიზმის გზა და მილიუკოვის ევოლიუციონურ რეფორმიზმს დაუახლოვდა. ნოეს ძლიერ ეჯავრება ბოლშევიზმი და ამიტომ მოდის ასე. ეხლა იგი ახალ „თეორიებს“ ჰქმნის— „ბოლშევიზმი აღმოსავლეთის სტიქია არის... ბოლშევიზმი წმინდა რუსული, სპეციფიური თვისებით წარმოშობილი მოძრაობაა“-ო. ამის დასამტკიცებლად მოგვითხრობს თავის ბროშიურებში პეტრე დიდის მოღვაწეობას და ივანე მრისხანის პრაქტიკას და სხვა.

მართალია, რომ რუსეთი თავის ისტორიულ გზაზე ვერ ვითარდებოდა მთლიანად ისე, როგორც სხვა, ცენტრალური და დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი. ევროპაში ფეოდალიზმი ჯერ ბუნებრივათ, ევოლიუციონური გზით ვითარდებოდა. შემდეგ რევოლიუციის წესით გადავიდა კაპიტალიზმში. რუსეთში კი ფეოდალიზმს კიდევ არ მოეთავებია ნორმალური ზრდა და განვითარება, რომ ის დაიპყრო მანგოლთა გაცილებით უფრო მდაბალი კულტურის ხალხმა, ვინემ თვით რუსები იყვნენ. ეს დაპყრობა თითქმის 300 წ. გაგრძელდა. ამ პოლიტიკურმა ფაქტორმა, რასაკვირველია, შეაჩერა რუსეთის სოციალური განვითარების პროცესი. მაგრამ პეტრე დიდი რევოლიუციური ტემპით სცვლის ამ მდგომარეობას და რუსეთი ერთბაშად ეშვება ევროპის ეკონომიურ - კულტურულ ფერხულში. რუსეთი ჰქმნის კაპიტალისტურ კულტურას. ამ კულტურით კავკასიისკენ, საქართველოში მოდის, ანგრევს ქართულ ფეოდალიზმს, აწესებს კაპიტალიზმს... ეს ჟორდანიას კარგად მოეხსენება: ასე არ გვასწავლა განა საქართველოს მუშათა კლასს, როცა ის რ. ს. დ. პ. ერთ-ერთი ლიდერი იყო? ეს მას დაწერილი აქვს თეთრზე შავათ.

მაგრამ როცა ჟორდანია ასე დადებითად აფასებს და იწონებს მარსელის საქმიანობას დასავლეთ ევროპის მასშტაბით, იგი ამავე დროს იწუნებს აკრიტიკებს მას აღმოსავლეთის, საბჭოთა რუსეთის განხილვის მხრივ. უმთავრესი მიზეზი უკმაყოფილების არის ბაუერი, რომელსაც მარსელში უთქვამს შემდეგი: — „სოციალისტური ინტერნაციონალი კვლავ საქვეყნოდ აცხადებს, რომ სოციალისტურმა პარტიებმა უნდა ებრძოლონ ყოველგვარ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვონ პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან და ენერგიულად უნდა იქნას წამოყენებული ფორმულა (დიდი სახელმწიფოების საყურადღებოთ) „ხელები შორს რუსეთისაგან“! ბაუერის სიტყვამ მხურვალე ტაში და ოვაცია გამოიწვია. აქვე ბაუერი აღნიშნავს, რომ ქართველ მენშევიკებს, დაშნაკებს და რუს ესერებს არ შეუძლიათ ობიექტიური იყვნენ ამ საკითხში, ვინაიდან იგინი ძლიერ დაზარალდენ ბოლშევიკებისაგანო.

და აი, ჟორდანიამ რომ დაინახა ასეთი განწყობილება მომხსენებლისა და კონგრესისა, ცუდ გუნებაზე დადგა და კრიტიკის ქარცეცხლის ფარხმალს მოკიდა ხელი პარიზის „ბრძოლაში“ და აქ ამტკიცებს, რომ „ევროპის სოციალისტები ჯერ კიდევ ვერ იცნობენ ბოლშევიზმის იმპერიალიზმს. მათთვის ბოლშევიზმი ჯერ კიდევ შეუსწავლელიაო“. და ამის გამო—ვითომც კონგრესი საბჭოების საკითხში შუაზე გაყოფილიყოს. რასაკვირველია, ჟორდანია მარსელიდან დაბრუნებული აქ აბრმავებს თავის მრევლს, მაგრამ თვითონაც ხედავს თავის უნუგეშო მდგომარეობას.

მართლაც, ბაუერის დებულებებს თავიდანვე მხარი დაუჭირეს ისეთმა დიდმა სექციებმა — როგორიც არის ინგლისი (რომელსაც 40 გადამწყვეტი ხმა ჰქონდა); გერმანია (40 ხმა), იტალია, ავსტრია და სხვა. მხოლოდ საფრანგეთმა (25 ხმა), ბელგიამ (17) და რამოდენიმე უმნიშვნელო სექციებმა (ემიგრანტულ დელეგაციებს არ ვღებულობ მხედველობაში) განაცხადეს, რომ ბაუერის მოტივებს არ ეთანხმებია, პრინციპიალურათ კი სავსებით იზიარებენ მის უმთავრეს ხაზს.

აი ნამდვილი საქმის მდგომარეობა. არავითარი განხეთქილება, არავითარი კრიზისი არ ყოფილა,—ბაუერის აზრი ერთხმად მიიღო მარსელის კონგრესმა (მხოლოდ ესერებმა თავი შეიკავეს).

ბაუერი სავსებით მართალია, როდესაც ამბობს, რომ ქართველ მენშევიკებს ობიექტიურად არ შეუძლიათ მსჯელობა იქ, სადაც ბოლშევიზმს ეხება კითხვაო. ქართულმა მენშევიზმმა ვერ შესძლო ბოლშევიზმის ობიექტიურათ გაგება - შეფასება.

ჩვენ მეორე ინტერნაციონალის დამოკიდებულება საბჭოებისადმი გაკვრით ჯერ კიდევ „ახალი საქართველოს“ №12 აღვნიშნეთ (წერილში საბჭოების სტაბილიზაციის შესახებ). ჩვენ ვამბობდით იქ, რომ მეორე ინტერნაციონალის შემადგენელი პარტიები ევროპის პროლეტარული მასების ზეგავლენით იძულებული არიან საბჭოებს მხარი დაუჭირონ. ასეთია მტკიცე ნება ევროპის მუშათა კლასისა და ინტერნაციონალიც „ასრულებს მას.

ეხლა კი ჩვენ შეგვიძლია კიდევ ახალი გარემოება აღვნიშნოთ, სახელდობრ ის, რომ იგივე პროლეტარიატი სულ ახლო მომავალში აიძულებს მეორე ინტერნაციონალს და მასთან ერთად ამსტერდამის პროფკავშირების ცენტრს — დადგენ საერთაშორისო მუშათა ერთიან ფრონტის შექმნის ნიადაგზე. ამის თავდები ის გარემოებაა, რომ მოსკოვის პროფინტერნის წინადადება ინგლისის პროფკავშირებმა მიიღეს და ეს უდიდესი სექცია ამსტერდამის ინტერნაციონალისა ერთიან ფრონტის გამარჯვებას ნიადაგს უმზადებს.

მეორე მხრივ, მარსელის კონგრესზე ბაუერის მიერ აღებული ხაზი—ინგლის - გერმანია - ავსტრიის საერთო პოზიცია იყო და ამ პოზიციამ ადვილათ შესძლო საფრანგეთ-ბელგის დელეგატების „დამორჩილება“.

ამიტომ, ჩვენ გაბედულათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მუშათა საერთო ფრონტისთვის ევროპაში ნიადაგი მზადდება. ამ საერთო ფრონტის ნიადაგი წარმოშობილია აუცილებლობით, მუშათა კლასის დღევანდელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით, მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს ეშინიათ ამ საერთო ფრონტის და ამისათვის ისინი არა აშკარათ, არამედ დიპლომატიური ხრიკებით ცდილობენ მის ჩაშლას, მაგრამ ეს დიპლომატია ხვდება ევროპის მუშათა კლასის მტკიცე წინააღმდეგობას.

როგორ მდგომარეობაშია ამ მხრივ ქართული მენშევიზმი? რა ორგანიზაციული ძალებით წარსდგება ის საერთო ფრონტზე? ჰყავს მას რაიმე ძალა მასიური ხასიათისა?

პარტიის ორგანიზაციის დაშლის პროცესის გამო, რომელიც საქართველოში განიცადა მენშევიზმმა, და რომელიც სხვა მიზეზების გარდა, გამოწვეულია ლიდერების ტაქტიკით და „წინამძღოლობით“,—ის ვერავითარი მასიური ძალით ვერ წარსდგება ამ მომავალი საერთო ფრონტის საერთო რაზმში და ამიტომ ქართული ს.-დემოკრატიის „პერსპექტივა“, რომ „თუ საერთო ფრონტი გაჩნდა, ჩვენც გაგვიწევენ ანგარიშს და თვითარსებობის საშუალებას მოგვცემენო“, მწარე ილიუზიათ უნდა ჩაითვალოს.

მენშევიზმის პარტია, როგორც მასიური ორგანიზაცია, უკვე აღარ არსებობს, დარჩა მხოლოდ მცირეოდენი ჯგუფები და იდეოლოგია მენშევიზმისა.—ამიტომ მას არავითარი ღირებულება და წონა ევროპის პროლეტარიატის საერთო ფრონტისათვის აღარ ექნება და ამიტომ იგი მთლად გარიყული დარჩება.

ალფესი ხილაძე.

„ახ. საქარ.“

რედაქტორი: კ. სულაქველიძე.

პარტიული ცხოვრება

თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებს და უჯრედებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მოახლოვდა მუშების და უმაღლეს სასწავლებლების და მუშფაკების მოწაფეთა მასიურ შვებულებების დრო. ქალაქის მუშები ათასობით გაემგზავრებიან თავ-თავის სოფლებში, სადაც გაატარებენ თავის მორიგ შვებულებას. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ შვებულებაში მიმავალთა მომზადების საქმის სისწორით დაყენებას, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეული შვებულებაში მიმავალი ჯერ კიდევ უმეტესად გაუნათლებელ და ნაკლებ კულტუროსან სოფლისათვის დახმარების გაწევის საქმეში.

დავეხმაროთ სოფელს სამეურნეო და პოლიტიკურ განვითარებაში, ყოველმხრივ დავიცვათ მუშების და გლეხების კავშირი, დავეხმაროთ სოფლის მოწინავე რევოლიუციონურ ძალებს ბრძოლაში სოფლის ჩამორჩენილობის, უკულტურობის და სიბნელის წინააღმდეგ - ეს გვიანდერძა ჩვენ ვლადიმირ ილიჩ ლენინმა.

სთვლის რა შვებულებაში მიმავალთა მასებს სოფლად პროლეტარული გავლენის უძლიერეს ბერკეტად, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს და უჯრედებს უაღრესად სერიოზულად მოეკიდონ მომავალ კამპანიას და მიიღონ ყოველივე ზომები ამ კამპანიის უაღრესად სწორი ორგანიზაციისა და უნაკლოდ ჩატარებისათვის.

კამპანია ჩატარებული უნდა იქნეს მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის შემდეგი განმტკიცების ნიშნის ქვეშ. თვითეული შვებულებაში მიმავალი უნდა გახდეს პროლეტარული გავლენის გამტარებლად სოფლად,— პარტიულ და საბჭოთა ყრილობების (საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14-ე ყრილობის) დადგენილებათა და იმ ლოზუნგებათა საუკეთესო გამშუქებლად, რომელიც მიმართულია სასოფლო მეურნეობის, სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობის, კოოპერაციის განვითარება - განმტკიცებისა და სოფლის კულტურულ - პოლიტიკურ ცხოვრების აღორძინებისაკენ. შვებულებაში მყოფი აქტიურ დახმარებას უნდა უწევდეს გლეხთა აქტივს, საქართველოს კომპარტიის (ბ) უჯრედებს, საბჭოებს ყოველ სოფელში, ყოველ თემში საბჭოთა აღმშენებლობის განვითარების და განმტკიცების საქმეში.

კამპანიის მოწყობის და ჩატარების საქმეში საშეფო საზოგადოებები (ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოებები) უნდა წარმოადგენდნენ მთელი ამ მუშაობის პრაქტიკულ ორგანიზატორებს, რისთვისაც მათ უნდა გამოიყენონ სოფელთან კავშირის დამყარების მთელი თავისი გამოცდილება.

რაიკომებმა და უჯრედებმა აუცილებლად უნდა უზრუნველყონ უშუალო ხელმძღვანელობა საშეფო ორგანიზაციების მუშაობაში მომავალი კამპანიის ჩატარების დროს და ყოველივე ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება წარმატებით იქნეს ის ჩატარებული და აღნუსხულ იქნეს მისი შედეგები.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს და უჯრედებს დაუყოვნებლივ შეუდგენ სამზადის მუშაობას, ჩაატარონ მასიური კამპანია ადგილებზე, საშეფო უჯრედების ხდომების დღის წესრიგში შეიტანონ სპეციალური მოხსენებები მომავალი კამპანიის მიზნების და ამოცანების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი—**ასრიბეკოვი.**

თბილისის ორგანიზაციებში

ამიერ - კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პარტკოლექტივში

ამიერ - კავკასიისკომუნისტური უნივერსიტეტის პარტკოლექტივი აერთიანებს 3 საკურსო უჯრედს და 1 კოოპერატიულ კურსის უჯრედს.

პარტკოლექტივის შემადგენლობა ამ ჟამად შემდეგია: პარტიის წევრები—249, პარტიის კანდიდატები—92, პარტკოლექტივში 43 ქალია.

ყოველ უჯრედს ჰყავს თავისი ბიურო 3 კაცის შემადგენლობით. პარტკოლექტივის ბიურო კი შესდგება 9 წევრისაგან და 2 კანდიდატისაგან. ბიურო კოლექტივისაგან გამოყოფილია პრეზიდიუმი 3 კაცისაგან და აგრეთვე ორგკოლეგია და აგიტკოლეგია. გარდა საკურსო უჯრედების და მათი ბიუროებისა არის 17 პარტწრე, რომლებსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს კოლექტივის ბიურო. პარტწრეები დაარსებულია ყველა კურსებზე. პირველ კურსის წრეებზე მიმაგრებულია 8 სტუდენტი მესამე კურსისა, მეორე და მესამე კურსებზე კი მიმაგრებული არიან ლექტორები.

პოლიტწრეები ამუშავებენ პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა ხელისუფლების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის და სხვა საკითხებს.

სასწავლო წლის დასაწყისში პარტდისციპლინა კოლექტივში არ იდგა თავის სიმაღლეზე. ზოგიერთი ამხანაგები არ ესწრებოდნენ პარტიულ კრებებს თავის დროზე არ იხდიდენ საწევრო გადასახადს, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ პარტდავალებების ასრულების აღრიცხვა იყო დაყენებული არა სათანადო დონეზე. პარტკოლექტივის მიერ მუშაობა ვერ იყო განაწილებული თანაბრად ყველა წევრებს შორის. რის გამო ზოგიერთი ამხანაგები ძლიერ იყვნენ დატვირთული, ზოგი კი სრულებით მოწყვეტილი იყო პარტიულ მუშაობას. კოლექტივის ბიურომ მიიღო ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად და ამ ჟამად ის გამოსწორებულია.

უჯრედები და კოლექტივი უმთავრესად აწყობს ჩვეულებრივ ღია კრებებს. დახურული კრებები ხდება გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ამას მოითხოვს დღის წესრიგში მდგომ საკითხების ხასიათი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ.-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში ხშირად კეთდება მოხსენებები ამიერ-კავკასიის საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკების მიერ.

მ.

საპროპაგანდო მუშაობა ლენინის რაიონში

პარტგანათლების ქსელის დაარსებას ლენინის რაიკომი შეუდგა 1925 წლის სექტემბრის თვიდან.

სკოლები უნდა გახსნილიყო სამი ტიპის: პირველი საფეხურის, მეორე საფეხურის და საღამოს საბ. პარტსკოლები.

პირველ საფეხურის სკოლაში დანაწილებულ იქნა ნაწილი ლენინის გაწვევის დროს მიღებულ კანდიდატებისა და იმ ამხანაგებისა, რომლებიც გადამსინჯველ კომისიის მიერ ცნობილ იქნენ პოლიტიკურ მოუმზადებლად. წინასწარი გამოანგარიშებით პოლიტ-სკოლებში უნდა მოქცეულიყო 1300 მეტი პარტიის წევრი და კანდიდატი.

სულ მთელ რაიონში გახსნილია ქალაქათ 31 პოლიტ-სკოლა. აქედან 20 პირველი საფეხურისა, 3 მეორე საფეხურისა და 8 საღამოს საბპარტსკოლა, სადაც სწავლობს 740 პარტიის წევრი და კანდიდატი, აქედან მუშები 529 კაცია.

1925 წლის ოქტომბრიდან ვიდრე 1926 წლის მარტამდე, ლენინის რაიონის ორგანიზაციას მოემატა საგრძნობი კადრი, რამაც დაგვაყენა ახალი სკოლების შექმნის წინაშე. ამის გამო მარტში გახსნილი იქნა 8 ახალი სკოლა შემოკლებულ ტიპისა, სადაც სწავლობს 183 მსმენელი. ამრიგათ სულ პოლიტ-სკოლებში ქალაქად სწავლობს 923 პარტიის წევრი და კანდიდატი. მთელი ყურადღება რაიკომისა მიქცეული იყო იქითკენ, რომ მეტი წილი პოლიტ-სკოლის მსმენელებისა ყოფილიყო მთ. სახელოსნოს და საყუდის ორგანიზაციიდან და ეს ამოცანა შესრულებულია. მთ. სახელოსნოდან და საყუდიდან პოლიტ-სკოლებში მოქცეულია 507 პარტიის წევრი და კანდიდატი ე. ი. პოლიტ-სკოლის მსმენელთა რიცხვის ნახევარზედ მეტი.

ავჭალის ქვე-რაიონში ამჟამად არსებობს 6 პირველი საფეხურის სკოლა და 3 სტაციონალური სოფლის სკოლა, სადაც სწავლობს 187 პარტიის წევრი და კანდიდატი.

ამრიგათ მთელ რაიონში გახსნილია 48 სკოლა 1110 მსმენელით. გარდა ამისა რაიონში გახსნილია: საშუალო მომხსენებელთა წრეები, პარტწრეები და აგიტკოლექტივები, სადაც ითვლება 370 პარტიის წევრი და კანდიდატი, სულ პარტგანათლების ქსელში მოქცეულია 1480 წ. და კანდ., სავალდებულო პარტგანათლების ქსელში465 წევრი.

თვითგანვითარების ქსელში ჯერჯერობით მოქცეულია 150 კაცი. 20 პარტიის წევრი გადაგზავნილი არის სხვა რაიონების პოლიტ-სკოლებში.

გახსნილი იყო ლენინიზმის შემსწავლელი 4 წრე, რომელიც მცირე ხნის არსებობის შემდეგ დაიშალა ხელმძღვანელთა საქმისადმი გულგრილად მოპყრობის გამო. გარდა საერთო ხელმძღვანელობისა პოლიტ-სკოლებზე, რაიკომთან შექმნილია მეთოდიური და საინსპექციო ბიუროები. პირველის მოვალეობას შეადგენს გაუწიონ სკოლებს მეთოდიური ხელმძღვანელობა, ხოლო მეორესი კი, ადევნოს თვალყური სკოლების ნორმალურ მეცადინეობას და ხელმძღვანელთა მეცადინეობის სისტემას. მეთოდიურ ბიუროს სხდომა შესდგა 6 ჯერ, სადაც უმთავრესად ისმებოდა მეთოდიური ხასიათის საკითხები, საინსპექციო ბიუროსი კი 4 ჯერ. თითქმის ყველა სკოლები დათვალიერებულია. ამ ბოლო ხანებში უჯრედების მხრივ ეტყობა ამ საკითხით დაინტერესება, რაც გამოიხატება დამსწრეთა პროცენტის ამაღლებაში. თუ ამ სამი თვის წინათ დამსწრეთა პროცენტი საშუალოდ უდრიდა 60, ეხლა ის 80-დე აღწევს. პროპაგანდისტთა კადრის შესაქმნელად მუშათა წრიდან, რაიკომის მიერ გაგზავნილ იქნა საპროპაგანდო კურსებზე 24 მუშა დაზგიდან. მომავალ წლიდან ჩვენი პოლიტ-სკოლები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმძღვანელებით.

ს. ლიბერსონი.

ერთად-ერთი ხელისშემშლელი პირობა, რომელიც ჩვენს პოლიტ-სკოლებს მუშაობის ნაყოფიერებაში აუცილებლად თავის კვალს დაამჩნევს, არის სათანადო ლიტერატურის უქონლობა ქართულ ენაზე. ეს გარემოება უნდა იქნეს აღნუსხული და მომავალ წლიდან პოლიტ-სკოლის ქსელი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი სათანადო ლიტერატურით ადგილობრივ ენებზე.

ს. ლიბერსონი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

მუშაობა გაცხოველდა

(ახალქალაქის სამაზრო პარტკომის მუშაობა)

ს. კ. პ. ახალქალაქის სამაზრო ორგანიზაციის მდგომარეობა უკანასკნელ პარტკონფერენციის შემდეგ ხასიათდება, როგორც წევრთა რაოდენობის ჩქარი ზრდით, ისე მუშაობის საგრძნობ გაუმჯობესებით. ახალი სამაზრო პარტკომის მუშაობაში, ჩვენ ვამჩნევთ მთელ რიგ მიღწევებს პარტიულ აღმშენებლობის განვითარების და განმტკიცების დარგში.

ამჟამად ახალქალაქის სამაზრო ორგანიზაციაში ირიცხება 94 გლეხი (უმთავრესად ულარიბესი გლეხები და მოჯამაგირეები) 19 მუშა და 25 მოსამსახურე. 1925 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის კი იყო59 გლეხი, 15 მუშა და 22 მოსამსახურე.

ქალაქში დაარსებულია 3 კომუჯრედი, სოფლად კი ერთი კომუჯრედი და 10 საკანდიდატო ჯგუფი. უნდა აღინიშნოს, რომ საკანდიდატო ჯგუფებმა საგრძნობლად გამოაცოცხლეს სოფლის ცხოვრება და თავის ირგვლივ შემოიკრიბეს უპარტიო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა პარტიულ და პოლიტიკურ საკითხებისა, კომუჯრედები და საკანდიდატო ჯგუფები თავიანთ კრების დღის წესრიგში სვამენ ადგილობრივ ხასიათის საკითხებს (მიწის, საბალახოების, სოფლად პოლიტგანმანათლებელ მუშაობის შესახებ და სხვა). დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო არტელების და სხვა სამეურნეო კოლექტივების ორგანიზაციას, რომლებიც ძლიერ აინტერესებს უპარტიო გლეხობას.

სოფლად პარტიისკენ ლტოლვა დიდია. ადგილობრივ პარტორგანოებში შემოდის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ.

პარტიაში მიღება ადგილებზედ ბრკოლდება იმით, რომ სოფლად არ მოიპოვებიან სათანადო პარტსტაჟის მქონე თავდებები. მაგრამ სამაზრო პარტკომს მიღებული აქვს ზომები ამ ფორმალური მხარის გასაადვილებლად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ პარტიაში მისაღებ ამხანაგების გასაცნობად საკანდიდატო ჯგუფებზე მიმაგრებულია მაზრის პ./მგ. ამხანაგები.

სამაზრო პარტკომი ჯეროვან ყურადღებას აქცევს პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობას საკანდიდატო ჯგუფებს შორის.

ახალქალაქის პარტორგანიზაციის მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება და ამჟამად მთელი მუშაობა ვითარდება სოფლის პარტორგანიზაციების გადიდების და განვითარების მხრივ.

მ.

აგიტპროპმუშაობა სენაკის მაზრაში

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში, სენაკის პარტკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ეს მუშაობა კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, მაგრამ საანგარიშო ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ძირითადი ორგანიზაციების გადარჩევა და სათემო კონფერენციები. სწარმოებდა აგრეთვე სამზადისი სამაზრო კონფერენციისათვის, რამაც გასტანა დაახლოებით თვე-ნახევარი. ამ ხნის განმავლობაში განყოფილება მოკლებული იყო საშუალებას ეწარმოებია მუშაობა ძირითად ორგანიზაციებში, რადგან მთავარი ყურადღება ამ მხრივ იყო მიმართული. მხოლოდ კონფერენციის ჩატარების შემდეგ მიეცა საშუალება აგიტ-პროპის განყოფილებას შესდგომოდა გეგმით გათვალისწინებულ მუშაობას.

იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში აგიტპროპ-განყოფილება ატარებდა საბჭოების ხელახალ არჩევნების წინასწარ კამპანიას. ამ ხნის განმავლობაში მოხდა პოლიტ-სკოლების ჩამოყალიბება. წერა-კითხვის უცოდინარი პარტიის წევრები ჩაბმულ იქნენ ლიკ-სკოლებში, დაარსებულ იქნა 41ლიკ-სკოლა. გადასინჯულ იქნა კოხსამკითხველოების მუშაობა, ჩატარებულ იქნა კამპანია ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებლად. სენაკის მაზრაში დღეს ჩვენი გაზეთების საკმაო რაოდენობა ვრცელდება.

1 აპრილიდან მოეწყო პედაგოგიური კურსები [illegible] მასწავლებლებისათვის. ჩატარებულ იქნა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. აგიტპროპ-განყოფილება მუშაობას აწარმოებს აგრეთვე ქალთა შორისაც.

ა. მ.

ეკონომიური ცხოვრება

საქონლის გატანის ზრდა

ამიერ - კავკასიიდან ადგილობრივ ნაწარმოებ საქონლის გატანას საზღვარგარედ, თვალსაჩინო ზრდა იმჩნევა.

ამას ამტკიცებს ექსპორტის შედარება გასულ სამეურნეო წლის პირველ ნახევართან.

გასულ სამეურნეო წელს ამიერკავკ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ ევროპის ბაზარზე გატანილ იქნა ამიერ-კავკასიიდან 4.100.000 მანეთის საქონელი. მიმდინარე სამეურნეო წლის მხოლოდ პირველ ნახევარში კი უკვე გატანილია 3.300.000 მანეთის საქონელი.

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის წინასწარი გამოანგარიშებით საქონლის წრევანდელი გატანა გადააჭარბებს შარშანდელს 90—100 პროცენტით.

ლითონის ბაზარი

რკინეულობის შემოზიდვა მცირეა და მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება სავსებით. მიღებული საქონელი სწრაფად ნაწილდება მომხმარებლებს შორის. კერძო ბაზარზე საქონელი არ მიდის.

საერთოდ ბაზარზე წინანდელსავით საგრძნობია დახარისხებული და სახურავის რკინეულობის ნაკლებობა; შედარებით ბევრი შემოდის ბაზარზე ცინკგადაკრული რკინა. ფასები მტკიცეა.

საკმაოთ მოიპოვება ბაზარზე ლურსმანი და სადურგლო მოწყობილობა, საგრძნობია ხის დასამუშავებელი ინსტრუმენტების ნაკლებობა.

ლითონის სინდიკატმა უკანასკნელ ხანებში მიიღო ვერმორელის აპარატები (რუსეთში დამზადებული), რომლებიც იყიდება 25-26 მანეთად. მიღებულია აგრეთვე სამთითები.

ძალიან ცოტაა ბაზარზე ფერადი ლითონები.

შინამრეწველობა

მხატვრული ხელოსნობა

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს მუშტაიდში მოწყობილი აქვს შინამრეწველური სამხატვრო სახელოსნო, რომლის მთავარ საქმეს წარმოადგენს ნოხხალიჩების მხატვრობის დამუშავება. სახელოსნოს მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს გამოცდილი მხატვარი მილოხოვი. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი აწყობს აგრეთვე კერამიკული მხატვრული ნაწარმოების სახელოსნოს მცხეთაში. გარდა ამისა აქა იქ საქართველოს მაზრებში მისდევენ მოხატულ ქსოვილების წარმოებას. მიუხედავათ საბჭოთა სამეურნეო ორგანოების ყურადღებისა შინამრეწველობისადმი, შინამრეწველური ხასიათის სამხატვრო სარეწავები მეტად ნელი ნაბიჯით ვითარდებიან.

ქართველი გლეხის მეურნეობაში მხატვრულ ხელოსნობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ამავე დროს იგი წარმოადგენდა ეროვნულ-მხატვრული შემოქმედების ყველაზე მეტად დამახასიათებელ პროდუქტს. დღემდე შინამრეწველობის ამ მნიშვნელოვანმა დარგმა თავი ვერ დააღწია იმ მდგომარეობას, რომელშიდაც იგი ჩავარდა ომიანობის დროს.

ამ ჟამად მოსკოვში მოწყობილია სამხატვრო-სამრეწველო კულტურის ხელისშემწყობი საზოგადოება, რომელთანაც კავშირი აქვთ დამყარებული მხატვრულ შინამრეწველობის ადგილობრივ წარმომადგენლებს.

საზოგადოებისათვის გაგზავნილ მოხსენებაში შინამრეწველობის ადგილობრივი მუშაკი ასე ახასიათებენ ჩვენებურ მხატვრულ ხელოსნობას: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შინაურ სამხატვრო მრეწველობას. სამწუხაროდ ამ მრეწველობის მრავალი დარგი დაცემის გზას ადგია. მაგრამ ეჭვს გარეშეა, თუ საქმე წესიერად იქნება მოწყობილი, თუ მოგვარებული იქნება ნაწარმოების გასაღების საქმე. აგრეთვე თუ სათანადო სიმაღლეზე იქნება ხელმძღვანელობა (ინსტრუქციების მიწოდება), თუ იგი მიიღებს მცირეოდენ ფინანსიურ დახმარებას, სამხატვრო შინამრეწველობის დარგები მალე აღორძინდებიან და დიდ მნიშვნელობას მოიპოვებენ მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიკაში.

ა.-კ. სამხატვრო შინამრეწველობის საფეიქრო, კერძოთ ნოხ-ხალიჩების, კერამიკული და ლითონის ნიმუშები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდენ დასავლეთ ევროპაში და ამერიკაშიც.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო მეურნეობა აჭარისტანში

აჭარისტანის სტატისტიკური ორგანოების ცნობებით პურადი მცენარეულობით დაჭერილი სათესი მოედანი 1925 წელს აჭარისტანში აღწევდა 12,063 დესეტინას. 5 წლის განმავლობაში სათესი მოედანი თანდათან იზრდება.

ამჟამად ეზო-კარმიდამოს აჭარისტანში უჭირავს 2.150 დესეტინა, ბაღებს—1005 დესეტ., ჩაის პლანტაციებს—1015 დესეტ., თამბაქოს—100 დესეტინა და სათიბებს 2034 დესეტ. უკანასკნელ დრომდე სულ ჩამორთმეულ იქნა და ღარიბ გლეხობაზე გადაცემული 9.275 დესეტ..

ადგილმწირო რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გადასახლებული იქნა 112 კომლი, რომელთაც მიეცათ ფულადი დახმარება თვითეულს 100 მანეთი და დაეთმო ხე-ტყის მასალა.

მრავალ სოფლებში დამთავრებულ იქნა აგრეთვე მიწად-მოწყობა.

ამ სტატისტიკური ცნობებით აჟამად ყოველ 100 კომლზე მოდის 17 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, 57,6 სული მსხვილფეხა საქონელი 1923 წელთან შედარებით მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 15 პროცენტით გადიდებულია. საქონლისათვის საკვები საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ჯიშიანი საბალახოების გასაშენებლად.

საქონლის ჯიშების გასაუმჯობესებლად აჭ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა მოაწყო ფერმა, რომელსაც ჰყავს საუკეთესო ჯიშის 26 ძროხა, 3 ჯიშიანი მოზვერი და ადგილობრივი ჯიშის ძროხები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასასაღებელ ადგილს აჭარისტანში წარმოადგენენ უმთავრესად ბათომი და ქობულეთი.

გასულ წელს საგრძნობლად იმატა აგრეთვე მოსავალმა, რაც უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ გვალვიან ადგილებში გაყვანილ იქნა სამი სარწყავი არხი, რომელთა საშუალებით ირწყვის 550 დესეტინა სახნავი მიწა.

გასულ წელს—1925 წ.—სიმინდის მოსავალი აჭარისტანში უდრიდა 473.731 ფუთს. დამაკმაყოფილებელი იყო აგრეთვე ჩაის და თამბაქოს მოსავალიც. 1925 წელს აჭარისტანში აიკრიფა 2.319.927 გირვანქა ჩაი.

საერთოდ სასოფლო მეურნეობა აჭარისტანში დიდი წარმატებით ვითარდება.

თათბირი აღმშენებლობის შესახებ

გუშინ, საღამოს 7 საათზე, საქართველოს პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის თათბირი აღმშენებლობის შესახებ,

თათბირსდაესწრო 73 სახელმწიფო, სამეურნეო, სავაჭრო, ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებების წარმომადგენლები, და აგრეთვე მსხვილი საამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **გუსეინოვმა**, რომელმაც თავის სიტყვაში დაახასიათა თათბირის ამოცანები.

თათბირმა უნდა გამოარკვიოს საამშენებლო მუშაობის მიღწევები და პერსპექტივები, გეგმა შეწონილი ხასიათი უნდა მისცეს საამშენებლო მუშაობას, უნდა გამოარკვიოს მოთხოვნილება საამშენებლო მასალებზე და ახალი საამშენებლო მასალების გამოყენების შესაძლებლობა; ამასთანავე თათბირმა უნდა განიხილოს საკითხები კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების შესახებ.

თათბირმა დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი და აირჩია ეკონომიური და ტექნიკური კომისიები, რომლებიც მოისმენენ და დაამუშავებენ ტექნიკურ მოხსენებებს. სულ განზრახულია მოსმენილი იქნეს 4-დე მოხსენება.

დღეს დილით შესდგება თათბირის პლენარული სხდომა.

საბჭოთა საქართველო

ღვინის ექსპორტი

ქუთაისი, 10 აპრილი. ქუთაისის „მარანის" საწყობმა საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მოსკოვის განყოფილების მისამართზე გაგზავნა 2.000 ვედრო არაყი, ხოლო დონის როსტოვის განყოფილების მისამართზე 2.000 ვედრო ღვინო.

მოსკოვისა და როსტოვისათვის „მარანის" საწყობი ამზადებს კიდევ 2.000 ვედრო მაგარ ღვინოს.

„მარანის" საწყობებში

ქუთაისი, 10 აპრილი. „მარანის" საწყობებში იდგმება ახლად შეძენილი „რუსტონპროქტორის" სისტემის 5 ცხენის ძალიანი ორთქლის მანქანა და 20 ვედროიანი ქვაბი.

ვინაიდან საწყობი შეუდგება მაგარი ღვინის დამზადებას საექსპორტოთ, შენობაში, სადაც ინახება მაგარი ღვინო, უნდა მოწყობილ იქნეს ორთქლით გათბობა.

ხე-ტყის სახერხ ქარხანაში

ქუთაისი, 10 აპრილი. ამუშავდა რაჭის აღმასკომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ქარხნის პროდუქტი უდრის 600 კვ. ვერშოკს დღეში.

ამ ჟამად იდგმება კიდევ ერთი დაზგა, რის შემდეგ საშუალო ნაყოფიერება იქნება 1.000 კვ. ვერშოკამდე.

15 აპრილიდან, კაპიტალური რემონტის შემდეგ, ამუშავდება რაჭის აღმასკომის ხე-ტყის სახერხი ქარხანა ხარისთვალში. ქარხნისათვის დამზადებულია 700.000 კუბ. ფუტი ნედლეული. ხე-ტყის დამზადება გრძელდება.

ხე-ტყის დამუშავება

ოზურგეთი, 10 აპრილი. სამაზრო აღმასკომის სატყეო განყოფილებამ 8 აპრილს ბათომში ამიერ-კავკასიის საპაიო სავაჭრო ამხანაგობის მისამართზე საზღვარ-გარეთ საექსპორტოთ გაგზავნა ნიგვზის და მსხლის ხე 570.260 კილოგრ. რაოდენობით (40 ვაგონი).

ახლო მომავალში დამზადებულ იქნება რამოდენიმე ათეული ვაგონი თეთრი წიფლის ხე რუსეთის ცენტრალურ მაზრებისათვის. ამ მასალის ნაწილი 7ვაგონამდე უკვე გადაეცა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლებს.

ამინდი

ახალქალაქი, 10 აპრილი. მზიანი დღეების შემდეგ დაიწყო სიცივეები. მოვიდა თოვლი, რომლის სიღრმე ალაგ-ალაგ 1 არშინამდე აღწევს. მთებში მძვინვარებს ქარ-ბუქი. კავშირი ყველა რაიონებთან შეწყვეტილია. ტემპერატურა ქალაქში ნოლამდის დავიდა. ქარბუქი გრძელდება.

ტელეფონი სოფლად

ახალქალაქი, 10 აპრილი. მოეწყო სატელეფონო კავშირი სოფ. ხერთვისთან. ამ ჟამად მაზრის 10 თემიდან ოთხში უკვე გაყვანილია ტელეფონის ქსელი.

სარწყავი არხები

ბათომი, 10 აპრილი. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამთავრა სამი სარწყავი არხის გაყვანა. არხები მორწყავს 500 დესეტინა მიწას.

ტბების ექსპლოატაცია

ახალქალაქი, 10 აპრილი. მიმდინარე წელს მაზრის ტბები იჯარით გადაეცემათ გლეხებს. ამავე წელს ტაბისწყურის ტბაზე აგებულ იქნება თევზის პატარა ქარხანა.

ამინდის მდგომარეობა

ჭიათურა, 10 აპრილი. უკანასკნელი კვირის თბილი ამინდი შეიცვალა სიცივეებით. 8 აპრილს ამოვარდა ქარი და ღამით მოვიდა თოვლი.

მაღაროს ჩამონგრევა

ჭიათურა, 10 აპრილი. 8 აპრილს დილით „ფორვუდის" მაღაროში ჩამოინგრა ჭერი. არის ადამიანის მსხვერპლი. უბედურების ადგილზე გაემგზავრენ შრომის ინსპექტორი, სამთამადნო ზედამხედველობის ინჟენერი და „ქართული მარგანეცის" სააქციონერო საზოგადოების გამგე.

სასკოლო ქსელის გაფართოების გეგმა

ახალქალაქი, 10 აპრილი. სახალხო განათლების განყოფილებამ შეიმუშავა და წარუდგინა განათლების სახ. კომისარიატს დასამტკიცებლად მაზრის სასკოლო ქსელის გაფართოების გეგმა.

გეგმა ჰგულისხმობს 4 წლედების ქსელის გადიდებას 25 სკოლით, ახალქალაქში სასოფლო სამეურნეო სკოლის და გლეხური ახალგაზრდობის 4 სკოლის გახსნას.

ამასთანავე ერთად გეგმა ჰხულისხმობს 55 4 წლედის გახსნას სკოლების რიცხვის ბუნებრივი ზრდის წესით.

სამაზრო არჩევნების შედეგები

ახალქალაქი, 10 აპრილი. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 19.014 კაცი (ამომრჩეველთა 50 პროც.), აქედან—4.783 ქალია ე. ი. 25 პროცენტი.

სათემო საბჭოების წევრებად არჩეულია 812 კაცი, ქედან კომპარტიის წევრი 61, კანდიდატი—33, კომკავშირელი—44 და უპარტიო—672, ქალი—63.

საბჭოთა ყრილობისათვის არჩეულია 76 დელეგატი (უქალაქოდ), მათ შორის 2 ქალი, კომპარტიის წევრი—17, კანდიდატი—15, კომკავშირის წევრი—9, დანარჩენი უპარტიოებია.

აჭარისტანი

ნავთის პროდუქტების ექსპორტი

ბათომი, 10 აპრილი. გუშინ, ბათომის ნავსადგურში ნორვეგიიდან მოვიდა გემი „შომანი", რომელიც წაიღებს 3.000 ტონა ნავთის პროდუქტებს.

მუშათა ახალშენი

ბათომი, 10 აპრილი. ნავთის სინდიკატმა შეიძინა ყველა საჭირო საამშენებლო მასალები მუშათა ახალშენის მოსაწყობად 170 ბინით.

ვაზის ლერწი მივიღეთ

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

დაახლოვებით ერთი თვეა, რაც საგარეჯოს 9 წლიან შრომის სკოლას მოუვიდა ს. მუკუზნიდან 27,000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი. 5 აპრილიდან სკოლის აგრონომებმა დაიწყეს უკვე რიხტერის წესით მყნობა-გამოყვანა.

ამჟამად მოთხოვნილება არის გლეხობაში 20,000-მდის ვაზზე გლეხობა უკვე ჩაწერილია, ფული (ზოგს ნახევარი ზოგს მთლად) შემოტანილი აქვთ. ნამყენი ვაზის წალება შეიძლება 21 დღის შემდგომ დამყნისა, ზოგი კი შემოდგომით.

თვით საგარეჯოს 9 წლიან შრომის სკოლას აქვს მიწა, რომელზედაც განზრახულია შემოდგომით სკოლისათვის დამყნილ ვაზის დარგვა, ეხლა სწარმოებს მიწის გადაბრუნება მოწაფეების მიერ აგრონომების ხელმძღვანელობით. ჩვენი კუთხისათვის 9 წლედს სამეურნეო გადახრას დიდი მნიშვნელობა აქვს და გლეხობაც დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

გ. გარსიაშვილი.

სექციებიც მუშაობენ

(ძველი-აბაშის თემი, სენაკის მაზრა)

28 მარტს მოხდა თემსაბჭოს მეორე სხდომა. ამ სხდომაზე საბჭოდან გამოიყო 7 სექცია. სექციებში შეყვანილნი არიან არასაბჭოს წევრებიც. სექციაში არჩეულია თემის კულტურული ძალები მასწავლებლობაც. სექციების საერთო სხდომა მოხდა 30 მარტს. თითოეულმა სექციამ აირჩია თავმჯდომარე—ყველა სექციებს აქტივობა ამ თავითვე ეტყობა. სასოფლო-სამეურნეო სექციას მიზანი აქვს რაიონიდან თემში ტრაქტორის ჩამოტანა მიწების დასამუშავებლად. გარდა ამისა, რამდენიმე გლეხმა შეადგინა კოლექტივი სამუშაო იარაღების შესაძენად და ითხოვენ საკრედიტო ამხანაგობიდან კრედიტს. ამ საქმეს ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო სექცია.

პერო.

[illegible]

(ს. გარე-ჯვარი, გორ. მ.)

გარეჯვრელი აზნაურის ყანჩელის ქალიშვილი, რომელიც მითხოვილი ყოფილა ვინმე მსახურიაზე, ამ ჟამად ლამობს დაიბრუნოს სოფელში ძველი ბატონობა.

სახლი, რომელიც გლეხკაცობის მიერ არის აშენებული მისი „ცხონებული" მამისათვის, ჩამორთმეული ქონდა კანონიერათ მსახურიას ქალს 1923 წ. სოფელმა ამ სახლში სკოლა მოათავსა. დღეს ეს მსახურიას ქალი ხშირად ესტუმრება ხოლმე სოფელს და ისევ სურს თავის მამის ქონების დაპატრონება. იგი დაიარება სხვადასხვა დაწესებულებებში და სცდილობს ათასგვარი ხრიკებით დაარწმუნოს ჩვენი ხელისუფლების ორგანოები, რომ მას უკანონოთ ქონდა ჩამორთმეული მიწაც და სახლიც. ეს არ რის რასაკვირველია მართალი.

მიწათ-მოწყობის განყოფილებას აქვს ამის შესახებ დადგენილება, საიდანაც გარკვეულად სჩანს, რომ მსახურიას ქალს ქონება ჩამორთმევა სრულიად კანონიერად. გლეხები მოითხოვენ ამ ქალის სოფელში არ დაშვებას.

მოსული.

წერილებიდან

საგარეჯო (გარე-კახეთი)

მუქთახორები წითელ სასადილოში. წითელ სასადილოში ვერ შევა ადამიანი, რადგან სხვადასხვა მუქთახორა პირები, ძველი ხიმიკიტნარები, ყოფილი ყასბები და სხვ. დილიდან საღამომდე სხედან ფეჩის წინ და ტკბილად საუბრობენ, ამასთანავე ხელში შემოქცეულიან, დაგვიძახონ და გვაჭამონ რამეო.

საყვირი.

ს. ფაყი (ლეჩხ. მ.)

— **ვინ დანიშნა მასწავლებლათ?** სოფლის სკოლაში მასწავლებლათ არის ქ. გუგავა. ის ლოთობს, თოფით მხარზე „სანადიროთ" დასეირნობს, ხოლო მოწაფეებს არაფერს ასწავლის. გლეხობა ძლიერ უკმაყოფილოა ასეთი მასწავლებლით.

ქანე.

ძველი აბაშა (სენაკის მაზრა)

— **გამოსცვალეთ ფოსტის მოხელე.** ძველ აბაშაში ფოსტის დაწესებულება არ არის. აქ გზათ გაივლის ხოლმე ფოსტა და გლეხობის თხოვნით. აღმასკომში 15 წუთს ჩერდება. ეს სრულების საკმარისია თემისათვის. სამწუხაროთ უკანასკნელ ხანებში დაინიშნა ისეთი მოხელე, რომელიც არ უწევს გლეხებს ანგარიშს. ის ხშირად ერთ წუთსაც არ იცდის აღმასკომში. გარდა ამისა, ის ხშირად ატყუილებს ხალხს, დაჰპირდება გამოვლას, აცდევინებს და განზრახ სხვა გზით მიდის ხოლმე. ასეთი მაგალითი 2 აპრილსაც იყო. საჭიროა ამ მოხელის შეცვლა.

პერო.

ძირულა (შორ. მ.)

— **ავარების თარეშს ბოლო მოუღეთ.** ბევრჯერ დაიწერა გაზეთებში, მაგრამ ძირულის სადგურის გაწმენდა ავარებისგან მაინც არ მოხერხდა. განსაკუთრებით სახელგანთქმული არიან შალიკო და აქსენტი ებანოიძეები. გაილეშებიან ხოლმე ღვინით და ერთი აურ-ზაური აქვთ სადგურში. 2 აპრილს სცემეს ამხ. ლიულაშვილს, 4 აპრილს განიზრახეს ტენიკ სივოვის გალახვა, მაგრამ ის გაიპარა და თავს უშველა. ამ ავაზატონების მიერ გლეხებიც აკლებული არიან: როცა სადგურიდან ბრუნდებიან ქვებს უშენენ გლეხების სახლებს. ნუ თუ ვერავინ ალაგმა ეს თავგასული ავარები?

ცოქვა.

ბოროტმოქმედების კვალ და კვალ

„კომუნისტი"-ს 56 ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ბავშვს მორია". ქვედა სიმონეთის აღმასკომი გვაცნობებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა და დამნაშავე პასუხისგებაშია მიცემული.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტი"-ს № 71-ში მოთავსებულია ცნობა წითელ ქალაქის ეპოში ბოროტმოქმედების აღმოჩენის შესახებ. ეს ცნობა მართალია, მაგრამ ბოროტმოქმედება თვით წითელ ქალაქის ეპოში კი არ აღმოჩნდა, არამედ ამ რაიონში შემავალ სოფელ ზარანტაკის ეპოში.

წითელ ქალაქის ეპოს თავმჯდომარე

კალანდაძე.

სოფლის ქრონიკა

— **მიწათმოწყობა.** ამ დღეებში კოდორის მაზრაში (აფხაზეთშია) შეუდგებიან მიწათმოწყობას.

— **საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაძლიერებლად** ხულოში გაიხსნა საბეითლო ამბულატორია.

— **ტყის გადაცემა.** ხულოს მაზრაში გლეხებს გადაეცა 50 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

— **გზების გაყვანა.** ლეჩხუმის აღმასკომი უფასოთ ურიგებს ასაფეთქებელ მასალებს იმ სოფლებს, რომლებმაც უნდა გაიყვანონ გზები.

— **რაჭის** აღმასკომმა მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა ონსა და ქუთაისის შორის.

— **ონის** პედაგოგიური ტეხნიკუმის შესაკეთებლად რაჭის სამაზრო აღმასკომმა დახარჯა 2500 მან.

◆ **არტელი.** ახალქალაქში დაარსდა შინამრეწველთა არტელი.

◆ **აბანოები.** ცაგერში და დუშეთის მაზრებში ჯანმრ. კომისარიატი აწყობს აბანოებს.

საოჯახო სამართლის საკამათო საკითხები*)

1. ქორწინების რეგისტრაცია

საოჯახო სამართლის პირველ საკამათო საკითხს ქორწინების რეგისტრაცია წარმოადგენს. „კომუნისტში" ორი წერილი იყო მოთავსებული რეგისტრაციის დაცვის მიზნით. როგორც ეტყობა, კანონთა კოდექსის პროექტი ქორწინების შემადგენელ ელემენტად არ სთვლის რეგისტრაციის მომენტს. პროექტის აზრით ფაქტიურ და იურიდიულ (რეგისტრაციაში გატარებულ) ქორწინებათა შორის განსხვავება არ არის. თუ დამტკიცებულია ქორწინება, როგორც ფაქტი, მას მოსდევს ყველა ის იურიდიული შედეგი, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებას.

საჭიროა გამოვარკვიოთ, რა პრინციპებზე უნდა იყოს აგებული საოჯახო სამართლის კოდექსი, რა მიზნებს უნდა ისახავდეს ის და რამდენათ აკმაყოფილებს არსებული პროექტი საოჯახო სამართლის პრინციპებს?

რა არის ქორწინება იურიდიული თვალსაზრისით? ქორწინება არის ვაჟისა და ქალის კავშირი ერთად ცხოვრების მიზნით, დამყარებული ურთიერთ თანხმობით და მოცემული განსაზღვრულ ფორმაში.

აი ეს არის ქორწინების ზოგად-იურიდიული განმარტება. აქედან გამომდინარეობს ოჯახის განსაზღვრაც.

ოჯახი არის ქორწინებაში მყოფ და ამ ქორწინებისაგან წარმოშობილ პირთა კავშირი.

ამ განმარტებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები: 1. ოჯახის საფუძველია ფიზიოლოგიური მომენტი, 2. ოჯახის წევრთა დამოკიდებულება, ერთი მხრით [illegible] თანხმობაზე ქალისა და ვაჟის ერთად ცხოვრების შესახებ, ხოლო მეორე მხრით წარმოშობილი მშობლიური გრძნობიდან შვილთა და მშობლებს შორის, არის ზნეობრივი დამოკიდებულება, 3. სამართლის დარგს ოჯახის ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ოჯახის წევრთა ქონებრივი ინტერესების დაცვის ხასიათი.

ამ დებულებით განისაზღვრება საოჯახო სამართლის მიზნები: 1. ის არ უნდა ჰქმნიდეს დაბრკოლებებს ქორწინებისა და ოჯახის ფიზიოლოგიური მომენტის (სქესობრივი და მშობლიური ინსტიქტის) ბუნებრივი მსვლელობის შესაძლებლობათ, 2. ის არ უნდა იჭრებოდეს ოჯახის წევრთა პიროვნულ-ზნეობრივ ცხოვრებაში და არ ამყარებდეს მის მოწესრიგების წესებს, 3. ის უნდა განსაზღვრავდეს ოჯახის წევრთა ქონებრივ ინტერესებს და ურთიერთობას.

ამ სამ პრინციპს, ორს უარყოფითს და ერთ დადებითს, დღეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ გადასვლის პერიოდში ემატება ორი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი: 1. ქალის საბოლოო გათავისუფლებისათვის ხელის შეწყობა, 2. ახალი ოჯახისა და ყოფა-ცხოვრების უფლებრივი ნიადაგის მომზადება.

იცავს თუ არა ამ პრინციპებს საოჯახო სამართლის პროექტი? საერთოდ პროექტი მკაცრად სდგას ამ პრინციპებზე. ის უმრავლეს ნაწილში სავსებით აკმაყოფილებს აღნიშნულ მიზნებს.

აქ პირველ საკითხად პროექტს ფაქტიურ და იურიდიულ ქორწინებათა გათანაბრება აქვს წამოყენებული. არის თუ არა ფაქტიური ქორწინება იურიდიულ შედეგების მქონე ბურჟუაზიული სამართლის აზრით? ამაზე უარყოფითად უნდა უპასუხოთ. ბურჟუაზიული სამართლის მეტყველება აუცილებლად მოითხოვს, რომ ქორწინება ხდებოდეს განსაზღვრულ ფორმით. ფორმას კი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს.

რა სოციალური აზრი აქვს ქორწინების ფორმის სავალდებულო ხასიათს? მე ვფიქრობ, ამას დიდი აზრი აქვს ვაჟის უპირატესობის დასაცავად. საუკუნეობით განმტკიცებულ ჩვეულებათა თანახმად, ვაჟი უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს საკუთარ თავს სქესობრივი დამოკიდებულების დარგში, ვიდრე ქალი. ამიტომ ფაქტიური დამოკიდებულება თუ მიიღებს იურიდიულ შედეგებს, ვაჟი იძულებული ხდება იკისროს როგორც ქმრის, ისე მამის მოვალეობის სიმძიმე. ეს რომ არ მოხდეს, საუკუნოებით განმტკიცებულ ჩვეულებათა თანახმად, ვაჟი მხოლოდ მაშინ კისრულობს პასუხისმგებლობას თავისი საქციელისათვის, როდესაც ამ საქციელს რაიმე ფორმა, კანონის მიერ დაწესებული რაიმე სახე მიეცემა და ის იძულებული ხდება, ზოგჯერ მის ნებისა და სურვილის წინააღმდეგ ატაროს გარკვეული სიმძიმე. ამ წესს [illegible] მას არჩენია [illegible] საზღვრელი თარეში, სქესობრივი თავისუფლება, რომელსაც მისთვის არავითარი ვალდებულება არ ეკისრება.

ამიტომ გაუგებარია, როდესაც ზოგიერთი ამხანაგი გამოდის და ვითომც ქალის ინტერესების დაცვის მიზნით უარჰყოფს კოდექსის პროექტის აზრს რეგისტრაციის შესახებ. „კომუნისტის" № 71-ში ამხ. ა. ცინცაძე გვეუბნება: „ქალს, უფრო სუსტ მხარეს თავზე აწვება ფაქტიური ქორწინების დამტკიცების მთელი სიმძიმე".

პირველ ყოვლისა ეს არ არის სწორი. ქალს პროექტის მიხედვით სრულებით არ აწვება ქორწინების დამტკიცების სიმძიმე. მას, პროექტის მე-19 მუხლით, ორსულობაში ყოფნის დროს თუ ბავშვის დაბადების შემდეგ უფლება აქვს შეიტანოს განცხადება სამოქალაქო აქტების ჩაწერის ადგილობრივ განყოფილებაში და მიუთითოს იმ პირზე, რომელსაც სთვლის თავისი შვილის მამათ. თუ ერთი თვის განმავლობაში განცხადებაში აღნიშნული პირი არ დაამტკიცებს, რომ ქალის განცხადება უსაფუძვლოა, ის ითვლება მამათ და მასზე ვრცელდება მამის მოვალეობანი.

მაშასადამე, აქ ქალს, სუსტ მხარეს, სრულიად არ აწვება ფაქტიური ქორწინების დამტკიცების სიმძიმე მაგრამ კიდეც მართალი რომ იყოს ამხ. ა. ცინცაძე, მაინც მოუღებელი იქნებოდა მისი აზრი, თუ მივიღებთ ამ ავტორის პირველ დებულებას, რომ ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო უნდა იყოს. მაშინ „სუსტმა მხარემ" —ქალმა კიდეც რომ აიტანოს ფაქტიური ქორწინების დამტკიცების „მთელი სიმძიმე", ამ დამტკიცებიდან არაფერი არ გამოვა ქალის სასარგებლოთ. სასამართლო მას ეტყვის, რომ ფაქტი დამტკიცებულია, მაგრამ ქორწინება არ მომხდარა სავალდებულო რეგისტრაციის ფორმით და ამიტომ არავითარი მოვალეობა არ შეიძლება დაეკისროს მას. ჰა, ამ რიგათ იქნება მაშინ დაცული „სუსტი მხარის" ქალის ინტერესები.

მართალია, ვინც იცავს რეგისტრაციას, როგორც ქორწინების იურიდიულ მომენტს, ის ამით აცხადებს, რომ ფაქტიურ ქორწინებას არა აქვს იურიდიული შედეგი. აქედან ის მიდის „უკანონო შვილთა" ინსტიტუტამდე და კისრამდე ეფლობა მეფის კანონებში.

თუ რეგისტრაციის გარეშე მომხდარ ქორწინებას საოჯახო სამართალი არ იცნობს, ხოლო ასეთი ფაქტი ყოველთვის იქნება ცხოვრებაში, რადგან სამართალს არ შეუძლია ფიზიოლოგიურ მომენტის დაჭერა იურიდიულ აკრძალვის გზით, მაშინ გზა ეხსნება ვაჟთა სქესობრივ თავაშვებულობას იმ იმედით, რომ ის პასუხისმგებელი არ იქნება თავისი საქციელის. მაშინ იქნება „უკანონო შვილთა" წრე, რომლის მიმართ მამობრივი ვალდებულება არავის არა აქვს და სახელმწიფო იძულებული გახდება თვით უპატრონოს თავის თავზედ მოქალაქეთა უზნეო საქციელის შედეგს. მაშინ შეიქნება „გაუპატიურებულ ქალთა" წრე, რომელიც ვერ ისარგებლებს უბედურ შემთხვევებში თავის ფაქტიური ქმრის დახმარებით, და საზოგადოებაშიაც დარჩება ცრუმორწმუნეობანი და ცუდი შეხედულებანი ასეთი ქალების მიმართ.

ერთი სიტყვით, ვინც იცავს სავალდებულო რეგისტრაციას, შეიძლება მეტად კეთილი განზრახვით, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად სდგას ძველი ქორწინების ნიადაგზე, ხოლო ზიზილ-პიპილებით მოჩიფჩიფე ხუცების როლი გადააქვს საბჭოთა მოსამსახურის კისერზე, რომელსაც ხელში აქვს არა მცირე ტანიანი ლოცვანი, არამედ უზარმაზარი სარეგისტრაციო წიგნები და საანკეტო ფურცლები.

კეთილი—იტყვიან ზოგიერთი—მაგრამ როგორ გინდათ დაიცვათ საზოგადოება ზნეობრივი გახრწნილებისაგან? როგორ გინდათ „სასამართლომ მიანიჭოს იურიდიული შედეგები ისეთ ფაქტიურ ქორწინებას, რომლის მონაწილე ერთი მხარე იქნება 12 წლის, ან სულით ავადმყოფი, ან თუ გინდავთ ფაქტიური ქორწინების მონაწილენი იქნებიან დედა-შვილი, ან და-ძმანი და სხ." (ამხ. ა. ცინცაძის წერილიდან).

საკითხის ამ რიგათ დაყენება სავსებით შემცდარია. ავტორი ივიწყებს იმ გარემოებას, რომ საოჯახო სამართლის პროექტი განსაზღვრავს პირობებს ქორწინებაში შემსვლელთათვის, (პროექტის მე-3 მუხლი). ავტორი აქ ორ ცნებას ურევს ერთმანეთში—ქორწინების პირობებს და ქორწინების ფორმას. სამართალი სცნობს და არც შეიძლება არ სცნობდეს, ქორწინების პირობებს, მაგრამ ის სრულიად არ მოითხოვს, რომ ქორწინების აქტი მოხდეს რეგისტრაციის წესით. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურ ქორწინებას არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა, თუ ქორწინებაში შემსვლელნი არ ექვემდებარებიან ქორწინებისათვის საჭირო პირობებს. ამასთან ერთად, ავტორს მეტად გაზვიადებულად ესმის სამართლის მნიშვნელობა. მას ჰგონია, რომ თუ ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო არ იქნა, მაშინ დედა-შვილსა და და-ძმას შორის მოხდება ფაქტიური შეუღლება. ეს სამართლის ფუნქციის უცოდინარობაა. საზოგადოებრივ ფორმათა ისტორია გვასწავლის, რომ თვით ველურებშიაც ადგილი ჰქონდა დედა-შვილს შორის სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვას და ნუ თუ ამხ. ცინცაძე ფიქრობს, რომ 20 საუკუნის მოქალაქენი მხოლოდ იმიტომ არ იქორწინებენ დედასთან, რომ ის აკრძალულია. ავტორი ივიწყებს, რომ ქორწინების და ოჯახის საფუძველი ფიზიოლოგიური მომენტია, რომ[illegible] და [illegible] მართალი. სამართალი ვერ ჩაერევა ადამიანთა ინტიმურ ცხოვრებაში და ვერ მოაწესრიგებს მას. სამართალმა კიდეც რომ აღიაროს დედა-შვილთა კავშირი (რომ გამოჩნდეს ასეთი უცნაური კანონმდებელი), ბუნება სასტიკათ გაანადგურებს ასეთ კანონს.

რეგისტრაციის მომხრეებს ეშინიათ, რომ დაცული არ იქნება სქესობრივი ასაკი და ადგილი ექნება გარყვნილებას. ეს მოსაზრებაც არ არის სწორი. ერთი მხრივ პროექტი განსაზღვრავს ქორწინების პირობებს, როგორც ფაქტიურ, ისე იურიდიულ ქორწინებათათვის, მეორე მხრივ საოჯახო სამართალი არ შეიძლება ისე გაფართოვდეს, რომ თავის წრეში მოაქციოს დანაშაულობანი სქესობრივ ნიადაგზე. ეს სისხლის სამართლის საქმეა. სისხლის სამართლის კოდექსის „კარი 4" წარმოადგენს სქესობრივ ურთიერთობის სფეროში ჩადენილ დანაშაულობათა გადაჭრას და მისი შეტანა საოჯახო სამართალში შეუძლებელია.

არის მხოლოდ ერთი მომენტი, მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი, რომელსაც აყენებენ რეგისტრაციის მომხრენი. ისინი გვეუბნებიან, რომ ხალხს, გლეხობას სურს, რომ რაიმე წესი იყოს ქორწინების დროს. საუკუნეობით ის შეჩვეია, რომ ქორწინებას უნდა ჰქონდეს რაიმე ფორმა. სამართლიანია მოთხოვნილება. მაგრამ ის პროექტის წინააღმდეგ არაფერს ამბობს. პროექტი არავის არ უკრძალავს რეგისტრაციაში გატარებას. ვისაც ეს სურს, მისთვის „მზადაა" კარები ღიაა. დეე გატარდენ. ცხადია, უმრავლეს შემთხვევებში ადგილი ექნება რეგისტრაციას, მაგრამ, როდესაც ის სავალდებულო არ იქნება, თანდათან მას აღარავინ მიმართავს და სქესთა დამოკიდებულებაც მიიღებს იმ ხასიათს, როგორიც უნდა ჰქონდეს. ის იქნება თავისუფალ პიროვნებათა თავისუფალი კავშირი ყოველგვარ სავალდებულო და იძულებითი ფორმის გარეშე.

ამიტომ ჩვეულებრივი განმარტება, რომ ქორწინება არის ქალის და ვაჟის კავშირი ერთად ცხოვრების მიზნით, დამყარებული ურთიერთ თანხმობით და მოცემული განსაზღვრულ ფორმაში, უნდა შესწორდეს „განსაზღვრული ფორმის" ამოშლით.

მაშინ ქორწინების შემადგენლობა იქნება: 1. ქალისა და ვაჟის კავშირი, 2. თანხმობის მომენტი, 3. ერთად ცხოვრების მიზანი. საოჯახო სამართალი კი დაამყარებს ქონებრივი ურთიერთობის ფარგლებს ოჯახის წევრთა შორის.

2. საჭირო შესწორებანი

რა შესწორებანი არის საჭირო პროექტში? საოჯახო სამართლის პროექტში საჭიროა შემდეგი შესწორებანი:

1. კოდექსის საერთო ნაწილში პირველ მუხლად საჭიროა იყოს ქორწინების იურიდიული განსაზღვრა.
2. კოდექსის საერთო ნაწილში საჭიროა დაემატოს მუხლი, რომელიც პირდაპირ აღნიშნავდეს, რომ ფაქტიურ და იურიდიულ ქორწინებას ერთი და იგივე იურიდიული შედეგები აქვს.
3. კოდექსის მე-8 მუხლში საჭიროა განისაზღვროს გვარის საკითხი იმ მიზნით, რომ ქალს რჩებოდეს თავისი გვარი ქორწინებაში, ხოლო შვილები მიდიოდეს ქალის გვარით. (ამის საფუძვლები იხ. წერილი „კომუნისტი" № 69).

ჩვენ ვფიქრობთ, ამ შესწორებით საოჯახო სამართალი დააკმაყოფილებს ყველა იმ პრინციპებს, რომლებიც აღვნიშნეთ წერილის დასაწყისში.

ს. ამაღლობელი.

---

*) კამათის წესით.

სამიწათმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა

სექციების მუშაობა

8 აპრილის დილის სხდომაზე მუშაობა დაიწყო ყრილობის მიერ არჩეულმა სექციებმა. მუშაობდა ოთხივე სექცია—სასოფლო-სამეურნეო, სატყეო სამიწადმოწყობო და სავეტერინარო სექციები.

სექციების მუშაობა გრძელდებოდა გუშინაც.

დღეს დილით გაიმართება ყრილობის პლენარული სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება ორი უკანასკნელი მოხსენება: სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

ყრილობა მუშაობას დაამთავრებს დღეს, 11 აპრილს.

მისალმება

სამიწადმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობის პრეზიდიუმმა რ. ს. ფ. ს. რ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარ ამხ. **სმირნოვისაგან** მიიღო შემდეგი დეპეშა: „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ ყურადღებამ, რომელიც გამოიჩინა ჩემს მიმართ ყრილობამ; მადლობას გიძღვნით საპატიო თავმჯდომარეთ არჩევისათვის.

ვესალმები სრულიად საქართველოს სამიწადმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების პირველ ყრილობას. საქართველოს სამიწადმოქმედო ორგანოების მიერ ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობას ესაჭიროება დაკვირვებითი შემოწმება, საჭიროა მჭიდრო კავშირის დამყარება სხვადასხვა დარგის აგრო-პერსონალის შორის ადგილებზე და ცენტრის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებების პრაქტიკულად გატარება ადგილებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ ყრილობის მონაწილენი გაითვალისწინებენ საქართველოს სამიწადმოქმედო ორგანოების წინანდელი მუშაობის გამოცდილებას, აღნიშნავენ ამ მუშაობის ნაკლულევანებებს და შეიმუშავებენ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად.

უსურვებ ყრილობას სრულ - წარმატებას მუშაობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საერთო ღონისძიებებით საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში ჩვენ შევქმნით მტკიცე საფუძველს საქართველოს რესპუბლიკის და მთელი კავშირის გლეხობის კეთილდღეობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

რ. ს. ფ. ს. რ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარი **ა. სმირნოვი.**

ა. კ. მეაბრეშუმეთა ყრილობა

რეზოლიუციები

უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

მეაბრეშუმეობის და საგრენაჟო საქმის მდგომარეობა ა.-კ. რესპუბლიკებში

ყრილობა საქმის დაყენებას სცნობს სწორად და შეფარდებულად სოფლის მეურნეობის ეხლანდელ მდგომარეობასთან. რაციონალური მეაბრეშუმეობის კიდევ უფრო განსავითარებლად და გასაღრმავებლად ყრილობა სთვლის სათანადო უმაღლესი ორგანოების ყურადღება მიექცეს მეაბრეშუმეობისა და საგრენაჟო საქმისათვის გრძელვადიანი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მიცემის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ მეაბრეშუმეობის წარმატება უმთავრესად დამოკიდებულია ამიერ-კავკასიის ფედერაციის საბრეშუმო სადგურების მუშაობაზე, რომელთა მატერიალური მდგომარეობა, რაციონალური მეაბრეშუმეობის აყვავების გულისათვის, გაუმჯობესებული უნდა იქნეს.

საგრენაჟო საქმის უახლოესი პერსპექტივები ა.-კ. რესპუბლიკებში

იღებს რა მხედველობაში, რომ კარგად დაყენებული ადგილობრივი გრენაჟი არა მარტო უზრუნველყოფს მეაბრეშუმეებს კარგი ღირსების თესლით, არამედ ხელს უწყობს ჭიის კვების მეთოდების და საერთოდ მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებას, ყრილობა საჭიროთ სცნობს, რომ მიღებული იქნეს ენერგიული ზომები ადგილობრივი გრენაჟის განსავითარებლად. თვითეულ რესპუბლიკაში, რისთვისაც საჭიროა მიეცეს თესლის დამამზადებელ ორ დაწესებულებებს შეღავათიანი კრედიტები საჭირო მოწყობილობის შესაძენად.

თუთის ხეების შესახებ

ყრილობა საჭიროდ სცნობს მიღებული იქნეს სასწრაფო ზომები რესპუბლიკების მეაბრეშუმეთა უზრუნველსაყოფად საკვები ფონდით, რისთვისაც საჭიროდ სცნობს სამაგალითო სანერგეების მოწყობას მთავარ საბრეშუმო რაიონებში.

მეაბრეშუმეობის პროდუქტების რეალიზაციის შესახებ

ყრილობა აუცილებლად სთვლის მეაბრეშუმეობის პროდუქტების გასაღებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიმართულებით; ამასთანავე მეაბრეშუმეობის ორგანიზაციებს უფლება უნდა მიეცეთ დამოუკიდებლად გამოვიდნენ საზღვარგარეთულ ბაზრებზე, რათა ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეებს საშუალება ჰქონდეთ გამოიყენონ საერთაშორისო ბაზრების კონიუნქტურის ხელსაყრელი პირობები.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

სატრანსპორტო დამზღვევ სალაროს გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმათა გარეშე განყოფილებამ მოახდინა ამიერ-კავკასიის საგზაო დამზღვევ სალაროს გამოკვლევა. რომელმაც გამოააშკარავა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები სალაროს მუშაობაში.

ასე, მაგალითად, გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ პენსიების დანიშვნის საქმეში ადგილი აქვს თვითნებობას და საქმის გაჭიანურებას. ქაოტიური მდგომარეობაა აგრეთვე საქმის წარმოების დარგშიც. მთელ რიგ საქმეებში არ არის დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა პენსიების გაცემა.

ასევე მოუწესრიგებელია საგზაო დამზღვევ სალაროში პენსიონერების საექიმო შემოწმების საქმეც. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც ერთ და იგივე პირს, რომელიც ცნობილი იქნა შრომის უნარიანათ, 3-4 თვის შემდეგ იმავე დიაგნოზის თანახმად, სცნობდენ შრომის უნარმოკლებულად.

აღნიშნული იქნა აგრეთვე, რომ პენსიონერების შემოწმების აქტები საკმაო სისრულით არ არის შედგენილი. ამასთანავე თვით შემოწმებაზე ძალიან ცოტა იხარჯება—თვითეულ ავადმყოფზე მოდის 5-6 წუთი. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სარევიზიო კომისია სუსტად მუშაობდა. უკანასკნელმა სალაროს არსებობის მთელი დროის განმავლობაში მოახდინა მხოლოდ 6 რევიზია, იმ დროს, როდესაც რევიზია უნდა ხდებოდეს წელიწადში 4-ჯერ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სალაროს მუშაობაში.

გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ, ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა: ა) დასმული იქნეს რწმუნებულთა მომავალ ყრილობაზე საკითხი სარევიზიო კომისიის მუშაობის გაძლიერების შესახებ და ბ) წინადადება მიეცეს დამზღვევ სალაროს მოაწესრიგოს საექიმო შემოწმების საქმე და აგრეთვე დაარსოს იურიდიული კონსულტაციის მაგიდა.

ამასთანავე კოლეგიამ დაადგინა წინადადება მიეცეს დამზღვევ სალაროს მიიღოს ზომები საპენსიო საქმის მოსაწესრიგებლად.

სააგარაკო სეზონისათვის

რამდენი მუშა გაიგზავნება აგარაკზე

საქ. რესპუბლიკის სოციალურ დაზღვევის სამმართველომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში საქართველოდან დაზღვეულ ავადმყოფების გაგზავნის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, მომავალ საზაფხულო სეზონში სანატორიუმებში გაიგზავნება 721 კაცი. აქედან არაზნიდოში 375 კაცი, აბასთუმანში—150, ბორჯომში—36, გაგრაში—10 კაცი. დაზღვეულთა დანარჩენი რაოდენობა გაიგზავნება ჩრდილოეთ-კავკასიის სხვადასხვა სანატორიუმებში.

დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება 3.400 კაცი.

სოც. დაზღვევის სამმართველოს ცნობით, დასასვენებელ სახლში დაზღვეულის შენახვა თვიურად დაჯდება 60 მანეთი, სანატორიუმებში—160-დან 175 მანეთამდე.

დაზღვეულთა გასაგზავნათ (მათ ჯანმრთელობის შესამოწმებლად) საექიმო -საკონტროლო კომისიები მუშაობას შეუდგებიან მიმდინარე თვის 15-დან.

დაზღვეულების გაგზავნა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დაიწყება ივნისის პირველ რიცხვებიდან.

ორშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე

შესდგება

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1. კომუნალური სექცია წითელი [illegible] (ყოფ. ზუბალაშვილის სახ. სახლი).
2. საფინანსო სექცია თბ. აღმ. საფინანსო განყოფილებაში.
3. განათლების სექცია „ „ განათლების განყოფილებაში.
4. ჯანმრთელობის სექცია „ „ ჯანმრთელობის განყოფილებაში.
5. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის სექცია სადგილ-მამულო განყოფილებაში.
6. სამხედრო სექცია აღმასკომის დარბაზში.

თავის სექციების მიხედვით საბჭ. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ნ. 1144

მუშათა ცხოვრება

შავი მუშის სიმღერა

ცა გადიწმინდა. გათბა ბუნება,
ცივი ზამთრისა ყინული დნება.
ახალი ხანა ამაყად ფრთებს შლის,
ძველი ქვეყანა სულს ლაფავს, კვდება.

ჩემი იმედი უძლეველია,
გულს არ გავიტეხ წითელ ხანაში,
თუ გინდ შრომისა ოფლადა გავდნე,
თავისუფალი ჩემს ქვეყანაში.

სიცოცხლეს მმატებს, ბედს მიორკეცებს,
ელვის სისწრაფით ბრუნავს მანქანა,
და მძიმე შრომას მე მიადვილებს
თავისუფალი შრომისა ხანა.

და ვამბობ გულში; გაუძლებ შრომას,
რაც მძიმე რკინა დამაწვეს ზურგზე,
შრომის შვილი ვარ, დეე, შრომის დაღი
მიყვარს, დამაჩნდეს მე ხელის გულზე.

ამ იმედითა ვშრომობ, წელს ვიწყვეტ,
მხარზე მაწვება მე მძიმე თუჯი,
დავწვები ღამე ტკივილებსა ვგრძნობ,
ხან-და-ხან ხორციც მიხდება ლურჯი.

მიმაქვს და მომაქვს სამქროებში,
ოროთქლმავალისა საჭირო ნივთი,
ბევრჯერ კი წელში მწარედ მომღუნავს
სამ ფუთიანი ფიიმბრისა ტვირთი.

შავი მუშა ვარ, მაგრამ მე ვიცი,
რომ დასდებენ მას შესაფერ ფასსა,
ვათრევ მე რკინებს ოფლსა ვიწურავ,
და ვაფოლადებ მე ჯანმრთელ მხარსა.

მუშა ვარდენ სალუქვაძე.

ბიუროკრატიზმის ეს ნაშთი უნდა მოისპოს

ა.-კ. მთავარ საავადმყოფოში მუშა-მოსამსახურეთა მიღება სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან. საავადმყოფოში მათ მოსვლა უხდებათ პირდაპირ სამუშაოდან. ორი-სამი საათის რიგში დგომის შემდეგ ვაი-ვაგლახით ღებულობენ რეცეპტს და აქვე აფთიაქში მიემართებიან წამლების გამოსაწერად, მაგრამ არც ასე ადვილად თავდება ეს პროცედურა—აქ უკვე ირკვევა, რომ წამლის გამოსაწერად საჭიროა ჭურჭელი ან მისი ღირებული 5 კაპ. მუშა-მოსამსახურეთ კი ხშირად თან არ გააჩნიათ არც ერთი და არც მეორე—არავითარ ხვეწნა-მუდარას, წამლების დაკვეთის მიმღებზე,—რომ ჭურჭელი ან მისი ღირებული 5 კაპ. წამლების მიღების დროს იქნება ჩაბარებული, არ მოქმედობს. ამ რიგათ ხშირ შემთხვევაში საავადმყოფოდან მოშორებით მცხოვრებ მუშა-მოსამსახურენი რჩებიან უწამლოდ, საავადმყოფოსათვის კი სულ ერთია, როდის მიიღებს ჭურჭელს ან მის ღირებულს 5 კაპ. სამი საათით ადრე თუ გვიან.

უფროსო ექიმო მოსპე ეს ბიუროკრატიული ნაშთი და მუშა-მოსამსახურეთ მიეცი საშუალება წამლების დაუბრკოლებლივ მიღების.

მ. მარიამიძე.

ესეც უნდა დაემატოს

„კომუნისტი"-ს № 72-ში მოთავსებული იყო წერილი მუშკ. ჩხიკვაძის შემდეგ სათაურით: „მეტი ყურადღება უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად". ის საშუალება, რომელზედაც ბ. ჩხიკვაძე მიუთითებს, რასაკვირველია ფრიად სასურველი და აუცილებელია, მაგრამ ამითაც არ შეიძლება უზრუნველვყოთ ქალ. მცხოვრებნი უბედურ შემთხვევისაგან. გარდა ტრამვაისა, ხშირი შემთხვევაა ავტომობილების მსხვერპლიც და, რომ ტრამვაის დირექციამ შეასრულოს ჩხიკვაძის მიერ მითითებული ზომები, ვერც მაშინ იქნება მოსახლეობა ვერც 50% უზრუნველყოფილი, რადგანაც რონოდის დავახებული დამიანი შეუძლებელია სასიკვდილოდ არ დაშავდეს, ამისათვის საჭიროა სულ სხვა წესი იქნეს შემოღებული ქალაქის აღმასკომის მიერ: 1) სასტიკი გაფრთხილება უნდა მიეცეს ვატმანებს და შოფერებს მოსახვევში ნელა წაიყვანონ ტრამვაი და ავტომობილი, რადგანაც შესაძლებელია, როგორც მიმავალ მოქალაქემ, ისე მეეტლემ, მედროგემ და სხვებმა ვერ შენიშნონ და მოხდეს დაჯახება. გარდა ამისა, უნდა იქნეს ერთხელ და სამუდამოთ შემოღებული, რომ მოქალაქეებს არ ექნეს უფლება [illegible] მხარიდან მეორეზე გადასვლის და შუა გზაზედ მსვლელობის. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ თუ კი შემოიღებენ ქვაფენილზედ მაგალითად მარჯვენა მხარეზე წავიდენ და მეორე მხარიდან წამოვიდნენ.

ასეთი ზომებით თუ 100%-ით არ შემცირდება უბედური შემთხვევები, 90%-ით მაინც უზრუნველყოფილი იქნება მისგან მოსახლეობა.

ვ. გოგიშვილი.

ჭრა-კერვის ტრესტის ქარხანაში

უკვე ერთი წელიწადი შესრულდება მალე მას შემდეგ, რაც ჭრა-კერვის ტრესტის („გრუზშვეიპრომის") დირექტორის მოადგილედ იმყოფება ამხ. ზაქარია დავითის ძე ფორაქაშვილი და ამ ხნის განმავლობაში ხსენებულ ტრესტს დღითი-დღე ეტყობა წინსვლა, ფორაქაშვილის დანიშვნამდე ტრესტის მდგომარეობა მეტად აუტანელი იყო. ტრესტს არ ჰყავდა კარგი ხელმძღვანელი და საქმე ძალზედ მოიკოჭლებდა. ძალიან ცოტა იყო მომუშავეთა რიცხვი. დანიშნეს თუ არა დირექტორის მოადგილედ ამხ. ფორაქაშვილი, ჭრა-კერვის ტრესტის ქარხანაში ადუღდა მუშაობა იმ დღიდან, რა დღიდანაც შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას იგი, ქარხანამ საგრძნობლად წაიწია წინ.

ფორაქაშვილის გარშემო შემოკრებილნი არიან ენერგიული და საქმის მცოდნე პირები, რომელნიც ეწევიან ქარხნის და მუშების საკეთილდღეო მუშაობას, როგორიც არიან მაგალითად—ქარხნის გამგე სერგო გრიგოლია, სავაჭრო აგენტი ნიკოლოზ სამარჩიანი, კანც. გამგე არჩილ დადიანი, ქარხნის მოლარე სტეპან დარბინიანი და სხვა.

შედარებით წინანდელთან გადიდებული არის საკერავ მანქანაზედ მომუშავეთა რიცხვი დაახლოვებით 70%-ით.

გახსნილი არის ორი სამანქანო განყოფილება, რომელშიც არის 100 საკერავი მანქანა. აგებულია სრულიად ახალი სამოქალაქო საწყობი. გაკეთებულია სხვა მრავალი დიდი საქმე, რომლების ჩამოთვლა შეუძლებელი არის.

დიდი ყურადღება ექცევა ქარხანაში სისუფთავეს, რაც მუშებისათვის უპირველესი არის.

მართალია ქარხანაში მოკლებული არის კვალიფიკაციურ მუშების რიცხვი. მაგრამ მათ მაგივრად ძალზედ გადიდებულია საკერავ მანქანაზედ მომუშავეთა რიცხვი. ეს კი არის შეკვეთების ბრალი, ვინაიდან შეკვეთები აღარ მოითხოვდენ კვალიფიკაციურ მუშებს და მათ მისცეს წინადადება, რომ გადასულიყვენ საკერავ მანქანაზედ. მათ კი დასტოვეს ქარხანა რადგანაც მათ უხდებოდათ ტყუილა ყოფნა. მათ მაგივრათ საკერავ მანქანაზედ მუშაობს 3 წყვება. ამრიგად, ჭრა-კერვის ტრესტის ქარხანაში შემოსვლისთანავე ყოველი მოქალაქე იგრძნობს, რომ ქარხანა შედარებით წინანდელთან ძალზედ გაუმჯობესებული არის, ეს კი იმის შედეგია, რომ ქარხანას ჰყავს დიდი ენერგიის მქონე და საქმის მცოდნე პირი.

არის, რა თქმა უნდა, წვრილი ნაკლებიც, ურომლისოდაც არ შეიძლება, მაგრამ შეძლებისდაგვარად ამ ნაკლებსაც მოეღება ბოლო.

აგებენ ამ ჟამად ახალ სამანქანო განყოფილებას, რომელშიც იქნება 60 საკერავი მანქანა და რომელიც იქნება მზად სულ მოკლე ხანში.

მუშებს და მოსამსახურეებს ჯამაგირი ურიგდებათ თვეში ორჯერ თანახმად ხელშეკრულებისა 5 და 20 რიცხვებში.

მართალია, ხანდისხან ხელფასის მოცემას ცოტას გვიგვიანებენ, მაგრამ ფორაქაშვილის ნაყოფიერი მუშაობა ამასაც მოუღებს ბოლოს.

შევეხოთ ეხლა ჩვენ ქარხკომის ძვირფას გიგო კაციევს, როგორც ფორაქაშვილი, ესეც სულ იმის ფიქრშია, რომ მუშებისთვის გააკეთოს რამე. ამ პირის მეოხებით და ფორაქაშვილის დახმარებით ქარხანასთან გახსნილი არის ამბულატორია, რომელსაც ჰყავს საკუთარი ექიმი, მეტად ენერგიული მუშაკი, ამხ. ანდრონიკაშვილი, რომელთანაც ადვილად მიდიან მუშები და წამლობენ.

ამნაირათ ჭრა-კერვის ტრესტის ადმინისტრაციის და ქარხკომის დახმარებით საქმე ჭრა-კერვის ტრესტის ქარხანაში დაყენებულია სასურველ დონეზე.

უსურვებთ ჩვენი ტრესტის მეთაურებს ამხ. ფორაქაშვილს და კაციევს გაასკეცებული ენერგიით მუშაობას ჩვენი ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა და დღევანდელი ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

ქარხნის მუშა.

ამ ექიმის საქმიანობა მისაბაძია

ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ და ხაზგასმით არ აღვნიშნოთ ისეთი უანგარო და თავდადებული მოღვაწეები, რომელნიც თავის შრომას არ უკავშირებენ შეფასებას, ჯილდოს, არც რაიმე წარმატებას და მადლობას, არამედ ასეთი მოქმედება მათი ბუნების სტიქიას შეადგენს. მთელი ჩვენი გულის სითბო, სიყვარული და ღრმა პატივისცემა მათ.

ერთი ასეთი მოღვაწეთაგანია ექიმი ა. ფ. გოცირიძე, აღმასკომის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანაშემწე. ისეთის მოწიწებით, სიფრთხილით და გულმტკივნეულად ექიმობს ის თავის პაციენტებს, განურჩევლათ მათი ვინაობის, შეძლების ან თანამდებობისა.

ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერ გაარჩევთ თუ, ვის უკეთ ექიმობს იგი, ვის უკეთ უვლის, ვის მეტი თანაგრძნობით აქსოვს იგი თავის ცოდნას და გამოცდილებას... დიახ, ასეთი მოღვაწე და ასეთი მოვლენა აღსანიშნავია და დიდი მადლობის ღირსია ექიმი გოცირიძე.

მადლიერი პაციენტი.

მთავარ სახელოსნოების კედლის გაზეთი „საყვირი"

მთავარ სახელოსნოების მუშ-კორესპონდენტების ერთ-ერთ საერთო კრებაზე მოხდა გადარჩევა სახელოსნოების კედლის გაზეთის „საყვირის" სარედაქციო კოლეგიისა, რომლის შემადგენლობაშიაც ამ ჟამად შედის შვიდი ამხანაგი. აღნიშნული კოლეგია ისახავს მიზნათ, რათა კედლის გაზეთი გამოვიდეს თვეში ორჯერ სისტემატიურად; გაზეთი შეესაბამებოდეს თავის დანიშნულებას, მასში დაწერილ წერილებს უწევდენ სათანადო ანგარიშს და სხ.

კედლის გაზეთი, როგორც თვალი წარმოებისა, როგორც გამომზეურებელი ყოველივე ნაკლულევანების, მიმთითებელი სწორ გზაზე დადგომისა და შეცდომების გამოსწორების, წარმოების მშრომელი მასსა მასთან უნდა იყვეს დაახლოვებული, აწვდიდეს მასალებს და კითხულობდეს კედლის გაზეთს. კედლის გაზეთის საშუალებით უნდა იყვეს გაშუქებული ყოველივე ნაკლი და მიღწევები მთავარ სახელოსნოების ყოველივე დარგის.

საჭიროა ვიქნეთ ყურადღებით და მივაწოდოთ უტყუარი მასალები რედკოლეგიას, ვინაიდან მარტო რედკოლეგია ვერას გახდება თუ ჩვენგნით არ ექნება დახმარება.

მუშკორი ძია-ლევან.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **დაიცავით პროფკავშირის წევრი სპეკულიანტის ოინებისაგან.** კოჩუბეევის ქ. სახლი № 13, ერთ პატარა ოთახში სცხოვრობს პროფკავშირის წევრი (წიგნაკის № 3189) ამხ. ელისაბედ კოპაძისა, აღნიშნული სახლის პატრონია გაზოროტებული ვაჭარ-სპეკულიანტი, ვინმე სანდრო ნერსესოვი. ეს უკანასკნელი ხმარობს ყოველგვარ ზომებს, რომ ათასგვარ ხრიკებით, ლანძღვა-გინებით, ჩხუბით, აურ-ზაურით გამოასახლოს სახლიდან.

მილიციავ, ასწავლე ჭკუა!

მუშკორი მთვარისებური.

— **ეს ალვირ ახსნილი ვინმეც უნდა ალაგმოთ.** სახაპირო ქ. (ლენინის უბანში) სახლი № 14-ში სდგას ვინმე კალენიკე რობაქიძე, რომელსაც თავისი უხეშობით და უზნეობით აკლებული ჰყავს თავისი ცოლ-შვილი და მისი მეზობლებიც. უკვე ცხრა წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც გადაგვეკიდა ეს უდიერი „მოქალაქე" და მოსვენებას არ გვაძლევს.

მილიციავ, მიიღე სათანადო ზომები მის მოსარჯულებლად.

ხელს აწერს ექვსი კაცი.

— **ამ მუშას სახლის პატრონი მეტად ავიწროვებს.** ხუდადოვის ქუჩა სახ. № 6-ის სარდაფში ერთი ბნელი და ნესტიანი ოთახი უჭირავს (სივრცით 6 კვადრ. არშ.) რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს მუშას ამხ. შუშიშვილს. სახლის პატრონს იგი აძლევდა ბინის ქირად თვიურად სამ მანეთს. ეხლა სახლის პატრონი ამაზე არ სჯერდება, ყოველ მხრივ ავიწროვებს მუშას და სცდილობს, რომ იგი ამ სარდაფიდანაც გამოდევნოს.

სახლის პატრონს უნდა მოხვდეს მათრახი!

მუშკორი გონი.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

მიღებულია სასტიკი ზომები

(გამოხმაურება მუშათა წერილებზე)

№ 68 გაზ. „კომუნისტ"-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით **„მოსპეთ ავარების ბუდე"**, რომელიც შეეხებოდა მე-8 რაიონში ელექტრო-სადგურიდან საღამოობით ავარების თავის მოყრას და ყომარის თამაშს, გაცნობებთ, რომ **ჩვენ მიერ მიღებულია სასტიკი ზომები, ასეთის საწინააღმდეგოთ. ამ ჟამად ასეთი მოვლენები მოსპობილია.**

ამ უზნეობას მოუღებთ ბოლოს

№ 70 გაზეთ „კომუნისტ"-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით **„მოშალეთ როსკიპ ქალების ბუდე"** რომელიც შეეხებოდა დიდუბეში სასოფლო-სამეურნეო საწყობის ეზოში ღამეობით როსკიპ ქალების თავის მოყრას და მათ უზნეო საქციელს გაცნობებთ, რომ აღნიშნული წერილი **სიმართლეს შეეფერება, რაზედაც ჩვენ მიერ მიღებულია სასტიკი ზომები, ასეთის საბოლოოთ მოსასპობლად.**

დეფექტი აღმოფხვრილია

„კომუნისტი"-ს მე-69 ნომერში სათაურით: **დაგვიხსენით სიბინძურისაგან"** მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული დეფექტი აღმოფხვრილია.

აბანოში თამბაქოს წევა მოისპეთ

თქვენის გაზეთის მე-21 ნომერში სათაურით: „აქ უნდა მოსპოთ თამბაქოს მოწევა" მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ უკვე მიღებულია ზომები, უადგილო-ადვილას, აბანოებში თამბაქოს მოწევა შეწყვეტილ იქნას.

მოისპოთ სამუდამოდ

„კომუნისტი"-ს მე-2 ნომერში სათაურით: **„მოაშორეთ მავნებლები"** მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ; **რომ აღნიშნული უთანხმოება მოწესრიგებულია და იმედია, რომ შემდეგშიც ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთ მოვლენებს.**

ჭკუას ვასწავლით სახლის პატრონს

„კომუნისტი"-ს მე-56 ნომერში სათაურით: **„სახლის პატრონი ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე"** მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ მიღებულია სათანადო ზომები დეფექტის ამოსაწურავად.

პასუხად მოქ. თავართქილაძეს

(იხ. „კომუნისტი" № 72)

მე მზად ვარ უსასტიკესი და ულმობიერესი სამსჯავროს წინაშე პასუხი ვაგო ყოველივე ჩემი მოქმედების შესახებ.

მოქ. ვ. თავართქილაძის ცოლის ექიმობის დროს მე, როგორც ექიმი, მაღლა ვიდექი ზნეობრივად და მეცნიერულადაც ჩემს სადარაჯოზედ, რასაც მე თავის დროზედ დავამტკიცებ.

ჩემ მიერ მიღებულია ზომები ქუთაისის ჯანინსპექტორის წინაშე საქმის გამოსარკვევად.

ექიმი ა. ასათიანი.

მუშათა ქრონიკა

— **მუშათა დაზღვევა.** ა/კ. რკინისგზის დამზღვევმა სალარომ დაადგინა დააზღვიოს ლიბანის სანატორიუმზე მომუშავე მუშები.

— **გამცილებლები.** ა/კ. რკინისგზის სამმართველომ გასცა ბრძანება, რათა სამგზავრო მატარებლებს ემსახურებოდენ გამცილებლები; მემუხრუჭეების ნაცვლად.

— **ფარდულის მოწყობა.** სადგ. ზესტაფონის ადგილკომთან არსებულმა საწარმოო კომისიამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს, რათა მოწყობილ იქნეს ზესტაფონის—რონოდების შესაკეთებელ ლიანდაგში — ფარდული ცუდი ამინდის დროს მუშაობის გასაადვილებლად.

— **სახურავების შეკეთება.** სადგ. ზესტაფონის საწარმოო კომისიამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს, რათა შეკეთებული იქნას ზესტაფონის დეპოს და საქონლის საწყობის სახურავები.

— **კითხვა-პასუხის საღამო.** სადგ. შორაპანის გაერთიანებულ ადგილკომთან არსებულ კულტ კომისიამ დაავალა ლიტერატურულ წრეების ხელმძღვანელს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით თვეში ერთხელ მოაწყოს კითხვა-პასუხის საღამო.

— **კულტმუშაობის გაძლიერება.** ა. კ. რკ. გზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო კომიტეტებს გაუდიდონ სალარო სამხედრო შეიარაღებულ დამცველ რაზმს; კულტ-მუშაობის საწარმოებლად.

პროფკავშირებში

დამზღვევ სალაროთა მუშაობის მტკივნეული მხარეები

როგორც ვიცით, მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფას და დაზღვევას შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში (ავადმყოფობის, ან ინვალიდობის გამო) საბჭოთა ხელისუფლების მიერ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ამისათვის იხარჯება უამრავი თანხა სახელმწიფო ხაზინიდან.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი წამოწყება - დაწესებულებაში, ზოგიერთი მუშა - მოსამსახურე და ზოგჯერ თვით სოციალური დაზღვევის ორგანოებიც კი (დამზღვევი სალაროები) ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უშლიან ხელისუფლებას ამ უდიდეს მიზნის განხორციელებაში.

ზოგიერთ წამოწყება - დაწესებულებას დროზე არ შეაქვს (ან და სულ არ შეაქვს) გამზღვევ სალაროში სათანადო ანარიცხები, რაც აფერხებს სოციალურ დაზღვევის საქმეს, ვინაიდან ამ ანარიცხებზეა დამოკიდებული დამზღვევი კასების არსებობა და ნაყოფიერი მუშაობა.

თვით მუშა - მოსამსახურენი ბევრ შემთხვევაში სათანადო შეგნებით ვერ უდგებიან დაზღვევის საქმეს და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დახმარება მიიღონ დამზღვევ სალაროდან და ამისთვის ხშირად იგონებენ სხვადასხვა ავადმყოფობას (სიმულიაციის შემთხვევები) და აგრეთვე სწერენ თავიანთ დაზღვევის წიგნაკებში ისეთ პირებს (მოკეთე - ნათესავებს), რომელთაც, დაზღვევის არსებულ წესების თანახმად, არ ეკუთვნით სალაროდან დახმარება (მაგ. სიძე თავის დაზღვევის წიგნაკში იწერს — სიმამრ — სიდედრს, ბიძას, დეიდას და სხ.) ყველაფერი ეს ხდება კანონიერად დაზღვეულ სხვა მუშა - მოსამსახურეთა ხარჯზე, ანადგურებს დამზღვევ სალაროს ფინანსიურ მდგომარეობას და ასუსტებს სოც.-დახმარების საქმეს და სხვა, რაც დაზღვეულებში იწვევს სამართლიან საყვედურს.

მართალია, ყველა ამ არანორმალობის წინააღმდეგ მიღებულია ზომები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დეფექტები გვაქვს დაზღვევის დარგში და მათთან მოგვიხდება კიდევ დიდი ხნით სისტემატიური და სასტიკი ბრძოლა, რაშიაც ხელი უნდა შეგვიწყონ შრომის სახ. კომატებმა, უმაღლესმა პროფორგანოებმა და მათ ადგილობრივმა პროფუჯრედებმა.

ამის გარდა, თვით დამზღვევ სალაროების მუშაობაში ხშირად ველარ ვხედავთ წესიერებას, ხელმომჭირნეობას და ზომიერებას. იხარჯება ზოგჯერ საგრძნობი თანხა რაიმე საქმის გასაკეთებლად; იწყება მუშაობა, რომლის დამთავრებას ბოლო არ უჩანს; იხარჯება უამრავი თანხა და ბოლოს სამუშაო წყდება, არ მთავრდება, რადგანაც თვით მუშაობის პროცესში ირკვევა მისი უვარგისობა მიზანშეუწონლობა და სხ.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ჩვენი სალაროების უყაირათო მუშაობის მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელსაც აქვს პირდაპირ დამაფიქრებელი ხასიათი.

როგორც ვიცით, ა. წ. იანვარში თბილისის დამზღვევმა სალარომ ოფიციალურად გამოაცხადა ახალ წიგნაკების შემოღების აუცილებლობა. ამის შემდეგ დაიწყო მზადება ორივ მხრით: დამზღვევმა სალარომ შეიძინა „ახალი ფორმის" წიგნაკები, რაშიც მან დახარჯა დაახლოვებით 6 ათასი მანეთი; ჩვენი წამოწყება-დაწესებულებანი კი შეუდგენ მუშა-მოსამსახურეთა ახალი სიების შედგენას. მუშა-მოსამსახურეებსაც თავზე დაატყდათ ახალი მოულოდნელი ხარჯები—დაზღვეულთა სურათების ხელახლად გადასაღებათ.

გავიდა რამოდენიმე დღე და „დაზღვევის ახალი ფორმის" წიგნაკების გაცემა შეწყდა და ხელმეორედ გამოცხადდა, რომ ახალი წიგნაკების გაცემა არ არის საჭირო და საექიმო დახმარების მისაღებათ სრულებით საკმარისია დაწესებულების ადმინისტრაციის ცნობა (იმის შესახებ თუ დაზღვეულის კმაყოფაზე ვინ ითვლება) და პროფკავშირის წიგნაკი, რომელნიც საჭიროების დაგვარად უნდა წარედგინოს რაიონულ ექიმს და ამბულატორიებსო და სხ.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა იმის გამოკვლევა, თუ დაზღვეულთათვის სრულებით არ იყო საჭირო „ახალი ფორმის წიგნაკების" შეძენა, რისთვის და რა მოსაზრებით დაიხარჯა ეს უამრავი თანხა—**ექვსი ათასი მანეთი** ასე სრულიად უნაყოფოდ და უშედეგოთ.

საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ მოიგონა ან დაამტკიცა ასეთი შეუსწავლელი და გაუმართლებელი ხარჯთ-აღრიცხვა?

დინამიტი.

ვეტერინალურ მუშაკთა მეორე ყრილობა

(მეორე სხდომა)

ამხ. სიკინჭალაშვილის მოხსენება

მომხსენებელმა შეეხო მედსანშრომის კავშირის გამგეობის გასული წლის საქმიანობას და აღნიშნა ის ღონისძიებანი, რომელიც გამგეობას მიუღია მუშაობის მიზანშეწონილ ნიადაგზე დასაყენებლად. მომხსენებლის სიტყვით, მეტად მწვავედ იდგა საკითხი ვეტ-მუშაკთა სამუშაოს ხელფასის შესახებ. გამგეობა ცდილობდა ვეტ-მუშაკები სამუშაო ხელფასის მხრით გაეთანასწორებია სხვა დარგის კვალიფიკაციურ მუშაკებთან. ეს ამოცანა 85%-ით უკვე შესრულებულია.

ამხ. სიკინჭალაშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ ვეტ-მუშაობა ნორმის გარეშე სწარმოებს (68.800 სულ საქონელზე ერთი ექიმია). ვეტ-მუშაკები მცირე ხელფასს ღებულობენ, რის გამო მთელი რიგი მუშაკების უარს ამბობენ იმუშაონ ამ დარგში.

ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ მაზრებში ვეტ-მუშაკები ვერ სარგებლობენ შეღავათებით, არ ღებულობენ სპეცტანისამოსს.

ამხანაგებს საჭიროდ მიაჩნიათ, გამგეობის მიერ მომავალში იქნეს მიღებული ენერგიული ზომები ამ საკითხების დროიანათ მოსაგვარებლად.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. სიკინჭალაშვილი რის შემდეგაც ყრილობამ მოისმინა ამხ. მახათაძის მოხსენება ვეტერინარულ სექციის მუშაობაზე.

კიდევ უმუშევრების შესახებ

საშუამავლო ბიუროში აღრიცხულ უმუშევართა გარდა კიდევ არის დიდი რიცხვი აღრიცხვაზე აუყვანელ სამუშაოს მაძებართა.

ამასთან ერთად უმუშევარი არა კავშირის წევრები შეადგენენ დიდ პროცენტს უმუშევართა მასის.

მოთხოვნილება მუშა-მოსამსახურეთა ხელის უკანასკნელ ხანში თუმცა გადიდდა, მაგრამ უმუშევართა დიდი ნაწილი მაინც რჩება უალაგოდ.

ამიტომ პროფკავშირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ რომელი უმუშევართაგანი უნდა წავიდეს სამუშაოზე პირველ რიგში—კავშირის წევრები, თუ არა კავშირის წევრები.

ეს კი უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე—მუშა-ხელის დაქირავების დროს კავშირის წევრს მისცემენ უპირატესობას, თუ ყველა უმუშევართათვის მინიჭებული იქნება ერთი და იგივე უფლება.

პროფკავშირებს არ შეუძლიან არ ეცადონ კავშირის წევრებისათვის უპირატესობის მინიჭებაზე.

კავშირის საწევრო წიგნაკი მის მფლობელს ავალებს შეასრულოს მთელი რიგი საზოგადოებრივი მოვალეობათა. ავალებს მას იხადოს საწევრო გადასახადი და სხ.

მაგრამ ამასთან ერთად ამ ბილეთმა უნდა მისცეს მას სხვა უფლებაც, და კავშირის ამ შემთხვევაში უმუშევარი წევრის ერთ უდიდეს უფლებათაგანს უნდა შეადგენდეს უპირატესობის მიღება და უმუშევრობის დროს კავშირისაგან დახმარება სამსახურის აღმოჩენაში.

პროფკავშირები თავის წევრთათვის ატარებენ ამ უპირატესობას კოლექტიურ ხელშეკრულების საშუალებით.

ყველა საკავშირო ორგანიზაციები, დაწყებული ადგილკომიდან, სასტიკად უნდა ადევნებდნენ თვალ-ყურს, რომ კოლექტიური ხელშეკრულება ამ ნაწილში არ გადაიქცეს უბრალო უმნიშვნელო ქაღალდად, არამედ ტარდებოდეს გადაუხრელად ცხოვრებაში. ბრძოლა კავშირის წევრებზე უპირატესობის მინიჭებისათვის ადგილი არ არის. კავშირის უმუშევარი წევრები უმეტეს ნაწილად არ არიან სამაო კვალიფიკაციის მქონენი. ამიტომ ისმება საკითხი:

თუ როგორ უნდა მოიქცენ პროფორგანოები მაშინ, როდესაც არ არის სათანადო კვალიფიკაციის უმუშევარი და არა კავშირის წევრი კი წინ უსწრებს მას.

ზემო ნათქვამიდან კი უნდა დავასკვნათ, რომ უმუშევრობის ძლევისათვის უნდა გატარდეს მთელი რიგი ზომებისა უმუშევარ კავშირის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მასთან ერთად გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა „ნათლი-მამობას".

კავშირის ხაზი ამ მიმართულებით უნდა იყოს ნათელი და მტკიცე.

კავშირები კი ნაკლებად სცდილობენ აღუკვეთონ შრომის უფლება არა კავშირის წევრებს. კავშირები იცავენ თავის წევრთა უფლებას მათი სამუშაოზე პირველ რიგში მიღების უზრუნველყოფით.

მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არის შესაძლებლობა, რომ სამუშაოზე გაიგზავნოს კავშირის უმუშევარ წევრი, შეიძლება დაშვებულ იქნას სამუშაოზე არა კავშირის წევრიც.

ი. კალანდაძე

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

— **კამპანიები პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის შესახებ.** პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებასთან შემდგარმა საორგანიზაციო თათბირმა გადასწყვიტა კამპანია ჩაატაროს მეხუთე ყრილობაზე. კამპანია ჩატარდება მაზრებში და სოფლებში მომუშავე კავშირის წევრებს შორის.

— **ფაბქარხ-ადგილკომების არჩევნების ვადა.** ფაბქარხ-ადგილკომები შემდეგში გადარჩეული იქნებიან წელიწადში ერთხელ.

— **პრეზიდიუმების გაუქმება.** პროფსაბჭოს საორგ. განყოფილებაში შემდგარმა საორგანიზაციო თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ მეხუთე ყრილობის დადგენილების თანახმად პრეზიდიუმები გააუქმოს: მბეჭდავთა, სახ. შეერთების, მელითონეთა, მკერავთა, ხის დამმუშავებელთა, სახალხო კვების, ფეიქართა, მეტყევეთა, ქიმიკოსთა, აღმშენებელთა, კომ. მეურ., ხელოვნების, სურსათ-გემოვნების, სამთო-მადნო, მეზღვაურთა და განათლების მუშაკთა კავშირებში. მთელი მუშაობა გადატანილი იქნება გამგეობებზე.

— **გამგეობათა სხდომების შესახებ.** პროფსაბჭოსთან შემდგარმა საორგანიზაციო თათბირმა წინადადება მისცა ყველა კავშირებს, რომ მათ ც. გ. სხდომები ყოველ ორ კვირაში ერთხელ მოიწვიონ.

— **მუშებისა და მოსამსახურეთა აღრიცხვა წარმოება - დაწესებულებაში უნდა ხდებოდეს.** პროფსაბჭოს საორგ.განყ. საჭიროდ სცნო, რომ კავშირის წევრებზე ყოველივე სტატისტიკური ცნობები უნდა ღებულობდეს ადგილობრივ.

— **ხულიგნების წინააღმდეგ.** პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ მიმართა ყველა კავშირებს, დახმარება გაუწიონ შესაფერის ორგანოებს ხულიგნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

— **პროფკავშირთა მე-5 ყრილობის რეზოლიუციები** ამჟამად გამოვა და დაურიგდებათ ადგილებს.

— **მიწა - ტყის მუშაკთა მოძრაობის ისტორიისათვის.** პროფსაბჭოსთან არსებულმა სასტორიო კომისიამ შეიმუშავა გეგმა მიწა-ტყის მუშაკთა ისტორიის შესადგენად.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **კონფერენცია.** 25 აპრილს მოწვეულია თბ. უბნის პროფკავშირის საუბნო კონფერენცია.

— **ზედმეტ საათების მუშაობის შესახებ.** თბ. უბნის სატარიფო თათბირმა დაავალა ყველა ადგილკომებს სასტიკად ადევნონ თვალ-ყური ზედმეტად საათების მუშაობის წარმოებას და იხელმძღვანელონ შრომის კანონთა კოდექსის მე-103 და მე-104 მუხლებით.

— **ბორჯომში ახალი სადგურის ასაგებად.** რკ.-გზ. სამმართველოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა სად. ბორჯომში მატარებლების შესასვლელად მდინარე „ბორჯომკაზე" ააგოს რკ.-გზ. ხიდი.

— **კონფერენცია.** 10 აპრილს მოწვეულია თბ. უბნის ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია.

— **წარმომადგენლად.** თბ. საუბნო კომიტეტმა რკ.-გზების კავშირის „ცეკა"-ს მიერ მოწვეულ კულტ-თათბირზე წარმომადგენლად გაგზავნა ამხ. ვასაძე.

— **თითო ხარისხი.** სად. თბ. მოძრაობის დარგის ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, რათა მატარებლების გამცილებლებს მოუმატონ თითო ხარისხი.

— **შრომის ჯილდოს განაწილებისათვის.** სად. თბ. მოძრაობის დარგის ადგილკომმა მიმართა უბკავშირს მიიღოს ზომები, რათა ადმინისტრაციამ წესიერად დაარიგოს დატვირთვა-გადმოტვირთვის ჯილდო.

ქუთაისის სამპროფბიუროში

— **ხელოვნების მუშაკთა კავშირის მოხსენება.** ქუთაისის სამპროფბიურომ მოისმინა ხელოვნების მუშაკთა კავშირის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავშირს დავალიანება აქვს სხვადასხვა ფონდების. კავშირს წინადადება მიეცა, რომ გადანახარჯი თანხა დაფაროს.

— **კულტმუშაობის გამოსაცოცხლებლად.** ქუთაისის სამპროფბიურომ წინადადება მისცა ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრებს შორის კულტმუშაობის გაცხოველების შესახებ.

— **ქუთაისის მეტყევეთა კავშირში.** ფულის გაფლანგვისათვის დაშლილი და პასუხისგებაში იქნა მიცემული ქუთაისის მეტყევეთა კავშირის გამგეობა.

კორექტურა

ვისაც ამ ცხოვრებაში ცოდვა ჩაუდენია და ჟურნალ-გაზეთებთან ჰქონია რაიმე კავშირი, მას უეჭველად უწვნევია კიდეც, თუ რას ნიშნავს კორექტურა.

ლექსიკონურის ახსნით კორექტურა ნიშნავს—გასწორებას.

პრაქტიკულად კი ეს მნიშვნელობა ძალიან ხშირად შეიცვლება ხოლმე საწინააღმდეგოთ.

როცა კაცი კითხულობს დაბეჭდილს და წააწყდება რაიმე გაუგებრობას ან შეცდომას, იმან ხომ არ იცის, რომ დამწერსა და წამკითხველს შორის მოიპოვება ვინმე კორექტორი. ის გაბრაზებით იძახის:

— ეს რა მოუჩმახავს ამის დამწერსაო!

თვითონ დამწერიც ხშირად წითლდება თავის დაწერილის წაკითხვაზე, მაგრამ რაღას გააწყობს.

არიან შეცდომები ისეთი, რომელთაც მკითხველი მართლა ისე მიიღებს, როგორც დაბეჭდილია და იქვე არ შეუდის მათ სისწორეში.

მაგალითად:

კლასიკურის მაგიერ—კლასიური.

ქალების მაგიერ—ქარები.

არიან შეცდომები, როცა ცხადზე უცხადეს გაუგებრობასთან ერთად ღიმილსაც იწვევს.

მაგალითად:

საიდუმლო ხვეულების მაგიერ დაბეჭდილია—**საიდუმლო ხვლება.**

თუ როგორი უნდა იყვეს საიდუმლო ხვლება—ამისი გამოცნობა მკითხველისათვის მიგვინდვია.

ან:

ეს და ეს მსახიობები გამოვიდენ წყვილათ. დაბეჭდილი კია: ეს და ეს მსახიობი გამოვიდენ **რწყილათ.**

ან სწერია:

პაპოვა და ინაშვილი კარგები იყვენ დუშეთში.

როგორა გგონიათ მკითხველო? პაპოვა და ინაშვილი მართლა დუშეთში იყვენ? სრულიადაც არა! ისინი იყვენ—**დუეტში.**

ან:

უნდა იყოს—ესა და ეს მსახიობი საუცხოვო ტიპს იძლევა. სწერია კი—ესა და ეს მსახიობი საუცხოვო **ჭიპს** იძლევა.

არიან შეცდომები, როცა მკითხველი თავის-თავად მიხვდება მათ:

მაგალითად:

„საკავშირო კომპარტია, რომელიც ანხორციელებს პროლეტარიატის **ლიტერატურას".**

ცხადია, აქ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ლიტერატურის მაგიერ უნდა ეწეროს **დიქტატურა.**

ან:

„კავშირი თავის მრავალრიცხოვანი **წვერებით".**

ცხადია—აქ უნდა იყოს **წევრები.**

მაგრამ ასეთი ბედნიერი შემთხვევა ძალიან ცოტაა ხოლმე.

ზოგჯერ შეიძლება კაცმა ლოღიკურათ იგრძნოს რამე შეცდომა, მაგრამ მაინც ვერ გაიგოს—რაშია საქმე.

მაგალითად, მოდი და გაიგე კარგო მკითხველო ასეთი დეპეშა:

„**რიაზანი.** დაიწყო სკოლების გაცხოველებული ექსპორტი ინგლისში".

როგორ? რიაზანიდან სკოლებს აგზავნიან ინგლისში და ისიც გაცხოველებით?

მაგრამ საქმე **სოკოებშია** და არა სკოლებში.

აი კიდევ მეორე დეპეშა:

ლონდონი. თბილისში არჩევნები დიდის ინტერესით ჩატარდა.

როგორც ვიცით, თბილისში ამ დროს არავითარი არჩევნები არ ყოფილა. და თუ ყოფილა, რანაირად მოხდა, რომ აქაურ არჩევნების ამბავს ლონდონიდან გვატყობინებენ?

აქაც სულ უბრალო გაუგებრობაა:

თბილისის მაგიერ უნდა იყოს მხოლოდ **ინგლისი.**

ან პარიზიდან იუწყებიან, რომ ჟორესის ნეშთი **პოლონეთში** გადაასვენესო.

მკითხველმა რა იცის, რომ კორექტორის ხელში **პანთეონი პოლონეთად** იქცა?

არის შემთხვევა, როცა მკითხველს დაბეჭდილიდან ბრუნდეთაც ველარაფერი გაუგია არამც თუ სწორედ.

აბა როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა ასეთი ტექსტი:

„საბჭოთა რესპუბლიკას ნორმალურ აღმშენებლობის ერთ-ერთ პილიუციური წესრიგი და საზოგადოებრივი მშვიდობიაობა. ეს უკანასრობას წარმოადგენს მტკიცე რევოკნელი მჭიდროთაა დაკავშირებული"...

ან კიდევ:

რომი. 31 მარტი. „სტეფანის" სატარის საბჭომ გენერალურ მდივ—ტურატი.

აგენტო იუწყება, რომ ფაშისტური ნად დაინიშნა დეპუტატი ავგუსტო".

გაიგეთ რამე?

აქ კი ველარავითარი მიხვდრა ვერ უშველის მკითხველს.

მაგრამ აქ თუ ვერაფერი გაიგო კაცმა, ეს არც თუ ისეთი სავალალოა.

ვაი ის არის, რომ ხშირად უკიდურესი შეცდომა სწერია. და პოლიტიკური შეცდომაც, ყოვლად სწორე წინადადებით.

აი ამისი საუკეთესო ნიმუში.

დიდი ასოებით სწერია სათაური:

„ძირს, მუშათა კლასის უსირცხვილო სპეკულიაცია საქართველოს სახელით"!

წინადადება ძალიან სწორია შედგენილი, მაგრამ ამას რომელი ჭკუათმყოფელი დასწერდა?

მაგრამ აქ საიდუმლოება იმაშია, რომ კორექტორმა ჩაჰყლაპა ერთი პატარა სიტყვა და აზრიც სულ ერთიან გამოიცვალა.

უნდა ყოფილიყო:

ძირს, მუშათა კლასის მტრების უსირცხვილო სპეკულიაცია საქართველოს სახელით!

ჩვეულებათ არის—ხანდახან ზოგიერთი შეცდომები გაასწორონ ხოლმე მეორე დღეს.

არ ვიცი ეს საშუალება უებარ წამლად ჩაითვლება თუ არა.

აი ამისი ზოგიერთი მაგალითი.

არსებობს მაწვნისა და კეფირის ფირმა „კორონა".

მის პატრონმა განცხადება მისცა ერთ-ერთ რუსულ გაზეთში.

მეორე დღეს კითხულობს „კორონას" მაგიერ „**კორობას**".

გაბრაზებული მიდის რედაქციაში და ასწორებინებს შეცდომას. მეორე დღეს კითხულობს „**ვორონას**".

„კორონას" პატრონის აღშფოთებას საზღვარი აღარა აქვს. მიდის რედაქციაში და ახლად ასწორებინებს.

მეორე დღეს, მესამედ გასწორების შემდეგ, კითხულობს „**კაროვას**".

ამის შემდეგ სასოწარკვეთილმა „კორონას" პატრონმა შეცდომის გასწორებასაც მიანება თავი და გამოცხადებასაც.

ასეთ მაგალითსაც ჰქონდა ადგილი.

ერთ-ერთი გაზეთი წერილის სათაურად სწერს:

„კუდიანს სამარე გასწორებს".

ვინ არ იცის, რომ უნდა იყოს „კუზიანს სამარე გასწორებს".

რედაქციამ მისცა „შეცდომის გასწორება". მაგრამ მეორე დღეს ვკითხულობთ.

„კუზიანს სამოვარი გასწორებს".

რედაქციამ კიდევ მისცა „შეცდომის გასწორება".

და შემდეგ შესწორებული ასე დაიბეჭდა:

„ქუდიანს სამოვარი გასწორებს".

ამის შემდეგ, ვთხოვ პატივცემულ მკითხველებს კარგად ახსოვდეთ, რომ დამწერსა და წამკითხველ შორის იმყოფება კორექტორი.

ესე იგი გამსწორებელი.

მოკეთე.

* * *

წითელ ჯარში

ახალი პოლიტსკოლები და მეთაურები

ქართულ მეთაურთა სკოლაში და პოლიტსკოლაში 6 აპრილს დაიწყო კურსანტთა წლიური გამოცდები.

გამოცდები სწარმოებს ყველა საგნებში და პრაქტიკულ ვარჯიშობაში.

უკანასკნელი კურსებისათვის ეს გამოცდები საგამოშვებო გამოცდები, ხოლო დაბალი კურსებისათვის შემდეგ კურსებზე გადასასვლელი.

გამომცდელ კომისიებში შედიან: პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი, სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრი და სკოლის ადმინისტ. წარმომადგენელი

გამოცდები დასრულდება 20 აპრილს, რის შემდეგაც კურსდამთავრებული კურსანტები გაიგზავნებიან ნაწილებში პრაქტიკაზე.

ამნაირად ახლო ხანში ქართულ ჯარის რიგებს შემატება პოლიტხელმძღვანელებისა და მეთაურების ახალი რაზმები.

ქრონიკა

საბჭოთა აღმშენებლობისათვის

◆ საქართველოში აღმშენებლობისათვის მიმდინარე წელს საჭირო იქნება მუშების საკმაოდ დიდი რაოდენობა. საქართველოს საამშენებლო დარგის მუშაკთა კავშირის გამოანგარიშებით ეს რიცხვი იქნება არა ნაკლებ 15.000 კაცისა.

რესპუბლიკის მსხვილ წარმოებებში იმუშავებს ამ რიცხვის ნახევარი, აქედან შავი ზღვის რკინის გზის სამუშაოებზე 1500 კაცი, 2000-მდე კაცი მიმდინარე წელს საჭირო იქნება სარწყავ სამუშაოზე.

მუშების დიდი რიცხვი მოუნდება აგრეთვე სახლების აგებას თბილისში, მაგალითად, მუშათა სახლის პლეხანოვის გამზირის და მუშტაიდის შესახვევის კუთხეში და სხვა ადგილებში.

საკურორტო სეზონისათვის

◆ ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის მთავარი სამმართველო ხელშეკრულებას სდებს გემების სამმართველოსთან ავადმყოფების ბათომიდან გაგრაში გადაყვანის და უკან დაბრუნების შესახებ.

გაგრის სანატორიუმში, სადაც სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს იჯარით აღებული აქვს საწოლები, მიმდინარე წლის 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე გატარებული იქნება 600 ავადმყოფი.

აბასთუმნის სანატორიუმი

◆ ამიერ-კავკასიის სოც. დაზღვევის მთავარ სამმართველოს სანატორიუმის შენობა აბასთუმანში დამთავრდება მიმდინარე წელს. სოც. დაზღვევის მთავარმა სამმართველომ უკვე დაამზადა საჭირო მასალები. ამ დღეებში დაიწყება საძირკველის ჩაყრა. სანატორიუმი შენდება ინჟენერ ზურაბიანის პროექტის მიხედვით.

ახალი ქარხნები

◆ 1 მაისს თელავში და ხონში გაიხსნება აბრეშუმის სახვევი ახალი ფაბრიკები. თელავის ფაბრიკა წელიწადში დაამუშავებს 1750 ფუთ ნედლ პარკს, ხონის კი 1600 ფუთს.

წელს გაზაფხულში ოზურგეთში გაიხსნება აბრეშუმის სახვევი დიდი ფაბრიკა, რომელიც წლიურად დაამუშავებს 2206 ფუთამდე ნედლ პარკს.

ამ ჟამად იტალიიდან უკვე ჩამოვიდენ მანტიორები თელავის და ხონის ფაბრიკებისათვის. ქართველი ინსტრუქტორები აბრეშუმის ამოხვევის საქმეს ამჟამად იტალიაში სწავლობენ.

◆ მაისში თბილისში დაიწყება მაუდის ფაბრიკის აგება, რომელიც წლიურად დაამუშავებს 80.000 ფუთამდე მატყლს. ფაბრიკა მოეწყობა ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

◆ 15 ივლისს მარელისში გაიხსნება გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, რომელიც ჯერ-ჯერობით ყოველდღიურად დაამზადებს 60 დიუჯინ სკამს.

ქარხანა ბორჯომში

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლები ამჟამად შვეციაში და დანიაში იბარებენ მოწყობილობას ფირფიტების ქარხნისათვის, რომელიც წელს ზაფხულზე გაიხსნება ბორჯომში. ქარხანა პირველსავე წელს დაამუშავებს 600,000 კომპლექტ წიფლის ფირფიტას კასრებისათვის. დღემდე ასეთი ფირფიტები უცხოეთიდან შემოდიოდა.

ბაღდადის ხე-ტყე

ივნისში დაიწყება ხე-ტყის სახერხი ქარხნის აგება ბაღდადში. ქარხანა წლიურად 1.00.000 კუბიკურ ფუტ ხე-ტყეს დაამზადებს.

ქაღალდის ფაბრიკა

წელს განზრახულია ქაღალდის პირველი ფაბრიკის მოწყობა სამტრედიაში. ფაბრიკამ წლიურად უნდა დაამზადოს 900.000 ფუთი ქაღალდი და 100.000 ფუთი კარტონი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წინასწარი ცნობებით, კამპანიის დაწყებიდან მიმდინარე წლის პირველ აპრილამდე ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 4 134.286 მანეთის რაოდენობით, ე. ი. დავალება შესრულებულია 78,66 პროცენტით.

ცალკე რესპუბლიკებს შორის შემოსული თანხა ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველო—1.256.400 მანეთი (82,69 პროც.), აზერბეიჯანი—2.126.958 მანეთი (76,18 პრ.) და სომხეთი—750.928 მანეთი (79,50 პრ.).

შინაგან საქ. კომისარიატში

◆ **ახალი საბინაო ნიხრი.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი იმუშავებს მასალებს რესპუბლიკის მაზრებისათვის ახალი საბინაო ნიხრის შესახებ.

◆ **მაზრების გამოკვლევა.** კომისარიატმა დაამთავრა გორის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში კომუნალურ, სამოქალაქო, საგზაო და მშენებლობის გამოკვლევა.

◆ **საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება.** კომისარიატმა გამოსცა და მაზრებს დაუგზავნა გლეხებისათვის უფასოდ დასარიგებლად ამხ. აფციაურის წიგნი: „საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება და მიმდინარე არჩევნები".

◆ **მმაჩის სახელმძღვანელო.** კომისარიატმა გამოსცა ამხ. ა. ცინცაძის მიერ შედგენილი წიგნი: „სახელმძღვანელო მოქალაქეობრივ მდგომარეობის ჩამწერ ორგანოებისათვის".

◆ **დებულება.** კომისარიატმა მეორედ გამოსცა დებულება სათ. საბჭოების, აღმასკომების და მოქალაქეთა საზოგადო კრებების შესახებ.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **ბრძოლა მალარიასთან.** აჭარისტანში მიღებული ზომებით, სანახევროთ შემცირდა ტროპიკული მალარიით დაავადმყოფების შემთხვევები.

◆ **საავადმყოფოს შეკეთება.** დამთავრდა ბათომში ცენტრალური საავადმყოფოს შეკეთება და გაფართოება.

◆ **სანიტ-განათლება.** ჯანსახკომა დასავლეთ საქართველოში უკვე გაგზავნა სანიტარულ-განათლების დასი შესაფერ წარმოდგენების გასამართავად.

◆ **ყრილობა.** აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისში შესდგება სამალარიო ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ა.-კავკასიის ჯანმრთელობის დაწესებულებების წარმომადგენელნი.

◆ **ცოფიანობის** საწინააღმდეგო. ჯანმრთელობის კომისარიატი ქუთაისში და ბათომში ხსნის პასტერის ქვე-სადგურებს.

◆ **ქლექის და ვენერიულ** სნეულების წინასწარ გამაფრთხილებელ ზომების შესასწავლად ჯანმრთელობის კომისარიატმა მოსკოვში გაგზავნა მოწყალების დების ორი ჯგუფი.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება პროფ. წრის მაცადინეობა ამხ. **გ. კვიცარიძის** ხელმძღვანელობით.

—საღამოს 7 საათზე დოცენტი **ლ. მელიქსედ-ბეგის** მოხსენება—„საკითხები თბილისის დაარსების და ვადასავალთათვის".

— საღამოს 7 საათზე ლექტორ. **ყანჩაველის** მოხსენება „თბილისის მიდამოების ფლორა".

◆ **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოება.** სამშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში შესდგება მორიგი საჯარო სხდომა; წესრიგი: არნ. **ჩიქობავას** მოხსენება: „მესამე ჯგუფის დრო-კილოთა გენეზისისათვის ქართულში".

შემთხვევები

◆ **ცეცხლი.** 9 აპრილს, 1-ლ სამილიციო რაიონში, გაგნიძის პურის საცხობს გაუჩნდა ცეცხლი. რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

◆ **რომანიულ ნიადაგზე** გერასიმე ბარსეგოვმა დანით დასჭრა ნინა რიზანცევა. დამნაშავე შეიპყრეს

◆ **ქურდობა.** 8 აპრილს, ბერძნის ქ., № 17, გიორგი სოგომონოვის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს, ოლის ქ., № 1, გაქურდეს ელენე ჯოდერძიშვილის ბინა.

◆ ამავე დღეს, ნიკოლოზის ქ., № 9, დიბორა ბახბაკელის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ **ქარხნის გაქურდვა.** 8 აპრილს გაქურდეს [illegible] ქარხანა „შრომა [illegible]".

◆ **დაწვა.** სოფ. ამჯაყაფაში (აფხაზეთი), გლეხ იოსებ ბერულავას ცოლს კერის პირას ჩამოსძინებოდა, ძილის დროს ტანსაცმელზე ცეცხლი მოედვა და დაიწვა.

◆ **1920 წ. დასაწყისში სოფ.** ლახიფადან (ლეჩხუმი) წამოვიდა ბიჭია ჩაკვეტაძე, 70 წ. კახეთში აპირებდა ჩასვლას სამუშაოდ. 5 წელიწადია მისგან არავითარი ცნობა არ არის, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, სთხოვენ აცნობონ სოფ. ლახეფაში, ცაგერის მაზრა ნაკურალეშის თემში კოსტა ჩაკვეტაძეს.

◆ **რკინისგზის მძარცველები.** 20 მარტს, თბილისის სადგურში დაპატიმრებული იქნენ **ა. ოგანეზოვი და დ. არუთინოვი.** რამოდენიმე დღის შემდეგ დაპატიმრებული იქნა აგრეთვე მათი მესამე ამხანაგი **ა. სარქისიანცი.**

აღნიშნულმა პირებმა 20 მარტს ღამით შევიდენ ბათომიდან მომავალ მატარებელში და სადგურ ვრაკალ-ქსანის შუა მოიპარეს საბარგო ვაგონიდან 1000 მანეთად ღირებული ფარდეული და 1 კალათი ნივთებით.

[illegible] აღმოჩენილია.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი" № 3
შინაარსი:
ფ. მახარაძე—პარტიული მუშაობის შესახებ სოფლად.
გ. მუშიშვილი—ახალი საბჭოები და პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი.
აკ. ჭყონია—გლეხობა და პირველი მაისი.
ივ. ბუაჩიძე—სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები.
ვ. კარპინსკი—რა არის სოციალისტური აღმშენებლობა.
ჟ. ფრანგიშვილი—სასოფლო-მეურნეობა და კომკავშირის ამოცანები.
ადგილობრივი ცხოვრება:
ამბერკი ურუშაძე—სოფლის უპარტიო აქტივი და პარტიული ხელმძღვანელობა.
მელიქიძე—პარტიული მუშაობა თემებში.
ა. დუშეთელი—საზოგადო და პარტიული მუშაობა დუშეთის მაზრაში
გ. ლეშკაშელი—სოფლის კომუჯრედების საქმიანობა.
ს. ვ-ძე—წერილი ზემო-სვანეთიდან.
ბიბლიოგრაფია:
ფ—ნი: თედო ღლონტი—ეროვნული საკითხი და საქართველოს ფინანსები.
გლეხიშვილი—არის თუ არა უკან დახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკა.
იქსი: ვ. ლოსევი—სახელმწიფო მრეწველობა.
ობოლი გლეხი—რა სთქვა მე-14 პარტიულმა ყრილობამ გლეხობის შესახებ.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან.
ნ. 1149 1—1

ხელოვნება

მასენეს „თაისი"

(ინაშვილის გასტროლი)

მასენეს ოპერა „თაისი" არც თავისი მუსიკით და არც შინაარსით არ შეეფერება თანამედროვე ისტორიულ და სოციალურ პირობებს, და არც დიდ სარეპერტუარო ღირებულებას წარმოადგენს თავისთავად. ჩვეულებრივ ეს ოპერა იდგმება საგასტროლო წარმოდგენისათვის, რადგან მასში ერთადერთი მართლაც შესანიშნავი პარტიაა, სახელდობრ, ქრისტიანულ მორალის ფანატიკოსი პროპაგანდისტის ნათანაილის პარტია. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე პარტიაც—ქალაქ ალექსანდრიის კურტიზანკის თაისის (სოპრანო). დანარჩენი პარტიები ეპიზოდიურია.

მართლაც დიდი არტისტი და დაკვირვებული მომღერალია საჭირო, რომ ნათანაილის პარტია, რომელშიაც ცალკე არიები არ არის და რომელიც საკმაოდ მონოტონურ მონოლოგს წარმოადგენს, — პირველ რიგში იქნეს დაყენებული. და ეს პარტია მართლაც ასეთი დახელოვნებით შესრულა ინაშვილმა. ის უაღრესად ძლიერ განცდებს და ნიუანსებს იძლევა სიმღერაში, იჩენს განსაცვიფრებელ მუსიკალობას, პირდაპირ პირველი გამოსვლისთანავე იპყრობს აუდიტორიას. შეუპოვარ ფანატიკოსის რეალური ტიპიური სახე კიდევ უფრო აძლიერებს შესრულების შთაბეჭდილებას. მსახიობის ხმა თავიდან ბოლომდე საუცხოვოდ ისმის. უკანასკნელი მონოლოგი პირდაპირ აჯადოებს მსმენელს.

კურტიზანკა საფოს პარტია შეასრულა ბოკოვამ. ნიჭიერმა მსახიობმა შექმნა ოპერის გმირის ლამაზი სახე, მაგრამ უფრო სრული მხატვრული შთაბეჭდილებისათვის საჭიროა ხაზი გაუსვას განწყობილების რადიკალურ ცვლილებს, როცა კურტიზანკა მომნანიებელ ცოდვილად იქცევა. საჭიროა უფრო სწორად იქნეს მოცემული ისტორიაში ცნობილ ალექსანდრიელ ულამაზეს კურტიზანკის—თაისის ტიპი. მშვენივრად იქნა შესრულებული ინაშვილის და ბოკოვას მიერ მეორე აქტის პოეტური დუეტი უდაბნოში.

კავსაძემ მოგვცა ნიკიარას მშვენიერი ტიპი, შესაფერი იყო მსახიობის გრიმი, მუსიკალური იყო დუეტი თაისთან.

თავის სიმაღლეზე იყო ორკესტრი ახალგაზრდა კაპელმეისტერ მელიქ-პაშაევის ხელმძღვანელობით, მხოლოდ საჭიროა რიტმის და მუსიკალობის მხრივ მეტი დინამიური სახეები. უფრო გამოცოცხლებული ტემპია საჭირო თაისის პირველად გამოსვლის დროს. ცნობილ და მუსიკალურ ანტრაქტში (ინტერმეცო) საჭიროა უფრო ღრმა მელოდია და განცდა. კარგად არის დადგმული ცეკვა.

ვ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ცისფერი ყანწების" ანთოლოგია.** მაისის პირველ რიცხვებში ტიციან ტაბიძის რედაქტორობით გამოვა „ცისფერი ყანწების" ანთოლოგია.

◆ **დრამატიული სტუდიის** საჩვენებელი საღამო გაიმართება 17 აპრილს.

◆ **„ვირის ჩრდილი".** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილ იქნება მეორეთ „ვირის ჩრდილი".

◆ **საბავშვო დილა.** დღეს, ოპერის თეატრში გაიმართება საბავშვო დილა შერჩეული პროგრამით.

◆ **სანდრო ინაშვილის** გამოსათხოვარი გასტროლი გაიმართება დღეს. დაიდგმება —„ევგენი ონეგინი".

◆ **სომეხ კომპოზიტორების** ნაწარმოებათა კონცერტები გაიმართება 16 აპრილს ოპერის თეატრში.

◆ **ოპერის სეზონი** დაიხურება 14 აპრილს.

◆ **გლაზუნოვის კვარტეტის** გამოსათხოვარი კონცერტი გაიმართება დღეს, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ **ახალი თეატრი.** თბ. აღმასკომი ამჟამად იმუშავებს პროექტს ავლაბარში ახალი თეატრის ასაგებათ. თეატრი დაახლოებით დაიტევს 1500 კაცს.

◆ **ბარბალე ალექსი-მესხიშვილის** გასტროლები თბილისში გაიმართება ამა თვის შუა რიცხვებში, როსტოვის თეატრის ანსამბლის მონაწილეობით.

◆ **„დათვური ქორწილი".** სამშაბათიდან, კინო სოლეისა და არფასტოში დაიწყება „დათვური ქორწილის" ჩვენება.

◆ **სამხატვრო თეატრის** გასტროლები. მეორე სამხატვრო თეატრის გასტროლები დაიწყება 2 მაისს.

12-15 აპრილამდის ბილეთები განაწილდება სხვადასხვა დაწესებულებებზე ადგილკომების საშუალებით.

15 აპრილიდან კი ბილეთები გაიყიდება საოპერო თეატრის სალაროში ყველა 16 წარმოდგენისთვის.

სულ დადგმული იქნება რვა პიესა. თვითეული ორჯერ. გასტროლები დამთავრდება 18 მაისს.

სასამართლო

კოჭორიშვილის და ხატიაშვილის საქმე

12 აპრილს აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლო გაარჩევს ბოჭორიშვილის და ხატიაშვილის საქმეს.

ბოჭორიშვილს და ხატიაშვილს ბრალათ ედებათ იაკობ ოზბეგოვიაშვილის მოკვლა.

განაჩენი ვალერიან ვასილენკოს საქმეზე

სასამართლომ ბრალდებულ ვასილენკოს 2500 მან. საკავშირო თანხების გაფლანგვისათვის მიუსაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

გიორგი კიკნაძის და ვასილ შუბითის საქმე

მეორე სხდომა

მეორე სხდომის დაწყებისას სახელმწიფო ბრალმდებლებმა **ჯანჯღავამ** შუამდგომლობა აღძრა სასამართლოს წინაშე, რათა მოწმე **კაკალიშვილი** მიცემულ იქნას პასუხისგებაში.

სასამართლომ დაადგინა: სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას და საქმე ვადაეცეს საგამომძიებლო ორგანოს დამატებითი გამოძიების მოსახდენათ.

მაჭანკლობა

გუშინ აღმოსავლეთ-საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია პეტროსიანის ქალის საქმე, რომელსაც ბრალათ ედებოდა გარყვნილების ბუდის შენახვა. სასამართლომ პეტროსიანს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ფიზკულტურა

ფეხბურთი

მეორე კატეგორიის გუნდების შეჯიბრი

დღეს, დილის 10 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება შეჯიბრი „ქართული სამხედრო სკოლა"—„საგეგმო კომისია".

დღესვე თბილისის ქვეითა სკოლის მოედანზე თამაშობენ: „პროლეტარი"—„ავტოკლუბი"; დასაწყისი დილის 10 საათზე. „სოზეს"—„ჯავშნიანი ნაწილი"; დასაწყისი დღის 12 საათზე. „თბილისის ქვეითა სკოლა"—„კომუნისტი"; დასაწყისი დღის 2 საათზე.

გუნდის დასჯა

თბილისის ფიზკულტურის საბჭოს დადგენილებით, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ფეხბურთელთა გუნდი უდისციპლინობისა და მსაჯისადმი უხეში მოპყრობის გამო გამორიცხულია ფეხბურთელთა გუნდების სიიდან; გუნდს უფლება არ აქვს ითამაშოს ერთი წლის განმავლობაში.

ტრაპიზონის ფეხბურთელთა გუნდი

ტრაპიზონის ფეხბურთელთა გუნდში, რომელიც თბილისში ჩამოვა 30 აპრილს, შედის ოსმალეთის ნაციონალური გუნდის რამოდენიმე საუკეთესო მოთამაშე.

ოსმალეთის ნაციონალურ გუნდს თამაშის ტეხნიკის მხრივ მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

თამაშის ახალი წესი

ევროპაში და უკანასკნელ ხანებში რუსეთშიაც ფეხბურთში შემოღებულია „ოფსაიდ"-ის ახალი წესი, რომლის მიხედვით მოთამაშე „თამაშ-გარეთ" ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას ბურთის მიღების დროს წინ არ ყავს ორი მოპირდაპირე, და არა სამი, როგორც ეს საჭირო იყო წინეთ. ეს წესი შემოღებული იქნება ჩვენშიაც.

„ოფსაიდ"-ის ახალი წესი შესამჩნევად ადვილებს თამაშს.

მეცნიერება და ტეხნიკა

კაუჩუკის ისტორიიდან

მიმდინარე წლის 28 იანვარს შესრულდა 225 წელიწადი ფრანგ მათემატიკოს ლა-კონდამინის დაბადებიდან. ლა-კონდამინმა პირველად აწერა მეცნიერულად კაუჩუკი და მისი ნიმუშები გაგზავნა საფრანგეთში.

ბითუმების წვენს, რომლიდანაც ინდოელები აკეთებდენ ბურთებს, ე. ი. კაუჩუკს, იხსენიებს კოლუმბი თავისი მეორე მოგზაურობის აღწერაში. მაგრამ მხოლოდ 1736 წ. მიიღო ევროპამ, ლა-კონდამინის წყალობით, ნიმუშები ნივთიერების, რომელიც ახლა უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე მრეწველობაში. პირველ ხანებში არ იცოდენ რა გაეკეთებინათ კაუჩუკიდან. 1770 წ. ქიმიკოსმა პრისტლიმ შენიშნა, რომ რეზინით შეიძლება ფანქრით დაწერილის წაშლა და დიდი ხნის განმავლობაში კაუჩუკით მხოლოდ ამ მიზნისათვის სარგებლობდენ.

ინგლისელმა მაკინტოშმა გამოიყენა (1832 წ.) კაუჩუკი ისეთი ქსოვილების დასამზადებლათ, რომელშიც წყალი არ გადის და ამით უკვდავყო თავისი სახელი.

რეზინის შინები, პირველ ხანებში მთლიანი, გამოიყენეს. პირველად ველოსიპედზე 1865 წ. შემდეგ კი, 1886 წ. ბენცის ავტომობილზე. გაბერილი შინები გამოიგონა დენლოპმა 1890 წ.

პირველი რეზინის ნივთები ძლიერ განირჩეოდენ თანამედროვე პროდუქციისაგან. მაშინ კიდევ არ იყვენ გაცნობილი კაუჩუკის ვულკანიზაციასთან, ე. ი. მისთვის ისეთი თვისებების მიცემის წესთან, რომ მას არავითარი ცვლილებები არ განეცადა ტემპერატურის ზრდისა თუ დაკლების დროს.

ლა-კონდამინს, როცა ევროპაში კაუჩუკის ნიმუშს გზავნიდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ 200 წ. შემდეგ კაუჩუკი ესევე აუცილებელი შეიქნება ჩვენთვის, როგორც ხე ან რკინა.

გვირაბი საავტომობილო მიმოსვლისათვის ნიუ-იორკში

საავტომობილო მიმოსვლა, რომელიც სწრაფა ნაბიჯით ვითარდება ნიუ-იორკში, არასაკმაოთ ხდის ისეთ ფართე ხიდის გამოყენებასაც, როგორიც არის ცნობილი გამოკიდებული ხიდი მდინარე გუდზონზე.

საავტომობილო გზა ხიდიდან გადაეჭრა მდ. გუდზონს ქვეშ, რისთვისაც გაჰყავთ გვირაბი ორნახევარი კილომეტრის სიგრძის და 9 მეტრი სიგანით.

ამ გვირაბში ჰაერის გაწმენდას უდიდესი ყურადღება მიექცა. ჰაერის გასაწმენდი სისტემას აწყობს ვესტონ-გაუზის ფირმა.

„როცა ქუჩებს მოეფინება იის სურნელება"

ამერიკული ჟურნალი „ლიბერტი" ასე აწერს მომავალ ომს:

„უეცრად გამოცხადდა ომი".

განაჩენი, რომელიც ევროპას სიკვდილს უქადდა, მთავრობებმა გაიგეს 5 წუთის წინ.

პრესამ არაფერი იცის, საზოგადოებამ მით უფრო ნაკლები.

ქუჩები სავსეა ხალხით, რომელიც რაღაცას მოელის, მაგრამ არ იცის კი რა უნდა მოხდეს.

უცებ ქუჩებს ეფინება იის სურნელება ჯერ მსუბუქი, შემდეგ უფრო ძლიერი, დაბოლოს აუტანელი.

ყველა, ვინც ვერ მოასწრო დამალვა (ასეთები კი 9/10-ია), დაუყონებლივ ბრმდება, გრძნობას კარგავს, ეცემა და იხრჩობა.

ცა კი ძველებურად მოწმენდილია, ერთი ღრუბელიც კი არსად მოსჩანს. არსად არ სჩანს აეროპლანი, არც აეროპლანის ხრახნილის ტრიალის ხმა ისმის.

ამ დროს კი, 5000 მეტრის სიმაღლეზე, სადაც ვერაფერი არჩევს ვერც თვალი და ვერც ყური, უმჩინარებით ნავარდობენ მტრის აეროპლანები და გზავნიან დედამიწაზე სასიკვდილო გაზს.

გაზებით ომი დაიწყო.

ნიღაბი ვერაფერს შველის! გაზი სჭამს თვალებს, ტანს და თუ ერთბაშად არ მოჰკლა კაცი, ისე დაუწვავს სხეულს, რომ მაინც ვერ გადარჩება".

უდიდესი ბორანი

საკრამენტოში (კალიფორნია) ამ რამოდენიმე ხნის წინათ წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში უდიდესი სამგზავრო ბორანი, რომელიც სან-ფრანცისკოს ყურეში იმუშავებს.

ამ ბორანის სიგრძე 300 ფუტს (43 საჟენს) უდრის, განი 78 ფუტს (11 საჟენი). ბორანზე გაკეთებულია სადგომი 1950 მგზავრისათვის, სულ კი ამ ბორანით 400 კაცის გადაყვანა შეიძლება.

ნ ა რ ე ვ ი

რამდენი კინოა ცალკე ქვეყნებში

შვეიცარულ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებით, გერმანიაში ამჟამად არის 3680 კინო-თეატრი, საფრანგეთში—2424, ესპანეთში—1434, ჩეხო-სლოვაკიაში — 1200, საბჭოთა კავშირში—1.100, შვეციაში—600, ავსტრიაში—592, უნგრეთში—592, პოლონეთში—456, ნორვეგიაში—290, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში კი—20.189.

ჩაის გამოყვანის საიდუმლოება

რატომ აქვს ჩაის სხვადასხვა გემო სხვადასხვა კუთხეებში? საქმის მცოდნეები ამტკიცებენ, რომ ამის მიზეზია წყალის სხვადასხვანაირი შემადგენლობა. განსაკუთრებით უყვართ ჩაი ინგლისელებს. ინგლისის ჩაის ფირმებში სპეციალისტებს არა თუ კარგი ყნოსვა უნდა ჰქონდეთ, არამედ ინგლისის სხვადასხვა რაიონების წყლების შემადგენლობასთანაც უნდა იყვუნ გაცნობილი. ოთახებში, სადაც ჩაის დახარისხება სწარმოებს, კედლებზე გაკრულია რუკა, სადაც აღნიშნულია ცალკე რაიონების წყლების რაოდენობა. ამისდამიხედვით სპეციალისტები ახარისხებენ ჩაის. ამრიგად, ინგლისის თითეულ ქალაქში სვამენ სპეციალურად ამ ქალაქისათვის შერჩეულ ჩაის.

სარწმუნოებათა გავრცელება დედამიწაზე

დედამიწის მთელი მოსახლეობა — 1.619.764.000 კაცი—სარწმუნოების მიხედვით შემდეგნაირათ ნაწილდება: 566 მილიონი ქრისტიანი და 1.034.000.000 არა ქრისტიანი. ქრისტიანებს შორის ყველაზე მეტია კათოლიკეები—273 მილიონი, შედარებით ნაკლებია პროტესტანტების რიცხვი—171.000.000, და ყველაზე ნაკლებია—მართლმადიდებლები — 122.000.000. არა ქრისტიანებს შორის ყველაზე მეტია კონფუცის მიმდევრები—301.000.000, მათ შემდეგ რიცხვობრივათ პირველი ადგილი უჭირავს მუსლიმანებს 219 მილიონი, შემდეგ: ინდუიტებს—210 მილიონი, ანიმისტებს—136 მილიონი, ბუდდის მიმდევრებს—135.000.000, შინტოს სარწმუნოების მიმდევართ—20.000.000, ებრაელებს—15 მილიონი და სხვ.

დედამიწის ცალ-ცალკე კუთხეების მიხედვით შეფარდება ქრისტიანულ და არა-ქრისტიანულ სარწმუნოებათა სხვადასხვანაირია: აზიაში მაგალითად 900 მილიონ მცხოვრებში მხოლოდ 30 მილიონი ქრისტიანია, ავსტრალიაში—66 მილიონ მცხოვრებიდან ქრისტიანია 14 მილიონი, ქრისტიანების რიცხვი დიდია ევროპაში—374 მილიონი 391 მილიონიდან.

როკფელერი ვალებს არ იხდის

ამერიკელ მილიარდერ როკფელერსა და შეერთებული შტატების მთავრობას შორის დიდი ხანია სასამართლო დავაა როკველერის მიერ გადასახადების გადაუხდელობის ნიადაგზე. რასაკვირველია, გადასახადი რომ ღარიბს ჰქონებოდა შესატანი, მას ჩქარა უკანასკნელ პერანგს გახდიდენ და ვალებს გადაახდევინებდენ, მაგრამ რახან საქმე მილიარდერს ეხებოდა, სასამართლოცა და პოლიციაც უძლური აღმოჩნდა. მიუხედავათ იმისა, რომ საგადასახადო ინსპექტორის განკარგულებაში იყო . აღმასრულებელი ფურცელი, მილიარდერისაგან გახვრეტილი გროშიც ვერ აიღეს. როკფელერმა ჩაჩუტები გაიჩინა (ეშინოდა საგადასახადო ინსპექციის აგენტები ბინაზე არ მისულიყვნენ ქონების ასაწერათ) და სახლში არც ერთ „საეჭვო“ პირს არ უშვებდა. მაგრამ მოხელეები როკფელერზე ეშმაკი აღმოჩნდენ. როკფელერის ნათესავი ქალი ერთ წვეულებაზე ვიღაც ყმაწვილს გაეცნო. ყმაწვილი საუცხოვო მოცეკვავე აღმოჩნდა, ქალის გული მოინადირა და ბინაზე ნახვის ნება სთხოვა, თანხმობა მიიღო. მეორე დღეს ახალგაზრდა როკფელერის სასახლეს მიადგა და როცა იგი სადარბაზო ოთახში მიიწვიეს, როკფელერის ნათესავი ქალის მისალმების მაგიერ ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო და მილიარდერის ქონების აწერა დაიწყო.

ნათესავი ქალის ნაცნობობა როკფელერს რამდენიმე მილიონი დაუჯდა: იძულებული შეიქნა ყველა ძველი ვალები გადეხადა.

11.000 მკვლელობა

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა შტატის პარლამენტში გაგზავნა მიმართვა, რომელშიც მიუთითებს შეერთებულ შტატებში ბოროტმოქმედებათა ზრდის წინააღმდეგ ბოროტმოქმედებათა — მკვლელობათა ზრდა შემდეგი ციფრებით გამოიხატება: 1922 წ. ადგილი ჰქონდა 9500 მკვლელობას, 1923 წ.—10.000, 1924 წ.—11.000. ნიუ-იორკში წლიურად 262 მკვლელობას აქვს ადგილი, ლონდონში კი 43.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ჩემი მზითევი = ყოფილ ქმარს

კ ი თ ხ ვ ა

1918 წელს გავყევი კანონიერ ცოლად გალაქტიონ ვასილისძე თალაკვაძეს. მამა ჩემმა მზითევის სახით მომცა რვა ათასი მანეთი და ხელით საკერავი მაშინა. ზემოხსენებული ფული და მაშინა მან მოიხმარა ისე, როგორც მას სურდა.

1925 წლის ოქტომბერში სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ მითხრა, მივდივარ ოჩემჩირეში სამსახურის საშოვნელადო. ოჩემჩირიდან ის ფოთში წასულა და მე დამტოვა ულუკმა-პუროდ, თვითონ კი შეირთო ფოთში ცოლი და მსახურობს.

გთხოვთ განმიმარტოთ, ულუკმა-პუროდ დარჩენილ ცოლს მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მისგან მზითევი, რომელიც მამაჩემმა მომცა.

ანიჩქა ზვიადაძე.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 94-ისა ვინაიდან ქორწინება სრულებით არ ქმნის მეუღლეთა ქონების გაერთიანებას, რის გამო თქვენ ყოფ. მეუღლეს უნდა წარედგინონ სისხლის სამართლის ხასიათის სარჩელი, როგორც სხვისი ქონების გამფლანგველ მიმთვისებელს; მასთან სახალხო სასამართლოს წესით გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც. შეგიძლიათ ყოფ. ქმარს წაუყენოთ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 193 და 192 შეფარდებით.

შემენახება ხელფასი თუ არა

კ ი თ ხ ვ ა

რაც ვმუშაობ აჭარის წყლის ჰიდრო-ელექტრო სადგურში უკვე ხუთი თვეა, ამ მოკლე ხანში მიწევს გაწვევა ტერნაწილში 1903 წელში დაბადებულებთან ერთად.

გთხოვთ განმიმარტოთ მე ჯარში ყოფნის დროს ჩემი ჯამაგირი მომეცემა თუ არა.

იაგორ სირაძე.

პ ა ს უ ხ ი

თქვენ მოგეცემათ მხოლოდ გასასვლელი დახმარების სახით თქვენი თვიური ხელფასის ნახევარი და შეგენახებათ მხოლოდ სამსახური მთელ სამხედრო სწავლების დროის განმავლობაში. (იხ. სამხ. კოდექსის მუხ. 96).

ბინის ქირის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

ვცხოვრობ ანტონოვის ქუჩა, სახლი № 11-ში, მიჭირავს ერთი ოთახი მეორე სართულში, სივრცით 36 კვადრატ. არშინი. ვინაიდან ხელწერილის მიუცემლად სახლის პატრონი ოთახში არ მიშვებდა, ამისათვის იძულებული შევიქენი სახლის პატრონს შევკროდი შინაურ პირობით, რომ ყოველ თვიურად მისთვის მეძლია თუთხმეტი მანეთი.

მე ვმსახურებ რკ. გზ. მთ. სახელოსნოში ქმოსან მოვარჯიშედ და ვღებულობ თვეში 40 მან. 30 კაპ., ვარ კავშირის წევრი (საწ. წიგნაკი № 34764). ამჟამად ჩემთან ოთახში არის ორი ამხანაგი, ერთიც ქმოსანი მოვარჯიშე და ღებულობს ხელფასს იგივე რაოდენობით, როგორც მე. მეორე კი უმუშევარია (სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტი).

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი ერგება სახლის პატრონს თვიურად ანდა აქვს თუ არა მისგან ჩამორთმეულ ხელწერილს ძალა.

უ. წ.

პ ა ს უ ხ ი

ბინის ქირად თვიურად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით სამ კაპეიკს.

რაც შეეხება თქვენ მიერ სახლის პატრონისთვის გაცემული შინაური ხელწერილის გაბათილებას, იგი (გაბათილება) ხდება მხოლოდ სასამართლოს საშუალებით და წესით, რომელსაც უნდა მიმართოთ თქვენც. (იხ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 33).

კითხვა

ვცხოვრობ ტყის შესახვევში, სახლი № 39-ში. მიჭირავს ერთი ოთახი, სივრცით 16 კვ. არშინი. არ ვსარგებლობ არც ქუხნით და არც სხვა რაიმეთი. ვარ კავშირის წევრი, უმუშევარი. დღემდე ვაძლევდი 3 მანეთს თვიურად და ნაგვის ქირასაც ცალკე. ეხლა კი აღარ შემიძლია მივსცე ამდენი.

ამიტომ გთხოვთ მიპასუხოთ — რამდენი უნდა გადავიხადო თვიურად ბინის ქირად, ან ნაგვის ქირა მეკუთვნის თუ არა გადასახდელად და რომ განსაზღვრული ქირა არ მიიღოს სახლის პატრონმა როგორ მოვიქცე.

პასუხი

ბინის ქირად, როგორც კავშირის წევრი და უმუშევარი, თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპეიკს. ნაგვის გადასაზიდი ფული უნდა გაიღოს მხოლოდ სახლის პატრონმა. თუ სახლის პატრონი კანონიერ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში.

კანონიერია თუ არა ადმინის ტრაციის ასეთი მოქმედება

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმუშაობდი რამოდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა ერთ-ერთ დაწესებულებ. კალკულიატორის თანამდებობაზე და ჩემს მოვალეობას ვასრულებდი პირნათლად. ჩემი ხუთი წლის მუშაობის განმავლობაში არ მიყავი შენიშვნა რამე საქმეში და სამსახურისადმი გულგრილობაში. ამ ბოლო ხანებში დამჩემდა დაღლილობის შრომის მძიმე პირობების გამო თავის ტკივილი, ნერვიულობა, უძილობა და სხ., რის გამო სამსახურზე დროზე გამოცხადება და ზოგჯერ სამსახურიდან ადრე შინ წასვლა მიხდება თუმცა საერთო საქმეს სრულებით არ აფერხებდა, ვინაიდან ჩემ დღიური საქმის შესრულებას მე მაინც ვასწრებდი. მიუხედავათ ამისა, დაწესებულების ხელმძღვანელმა მე მომნათლა „საბოტაჟნიკად“, „შრომის დეზერტირად“ და „არა სანდო პირად“ და როგორც ასეთი მომხსნა სამსახურიდან. მე, რადგანაც არ ვგრძნობდი თავს სავსებით ჯანმრთელად და ექიმის რჩევით ჩემთვის აუცილებელი იყო დასვენება ერთი თვით მაინც, ჩემ მოხსნაზე დავთანხმდი და დაწესებულებიდან მოვითხოვე უბრალო მოწმობა, რომ მე ნამდვილად ვმუშაობდი ამა და ამ დაწესებულებაში ამა და ამ ხნის განმავლობაში კალკულიატორის თანამდებობაზე. ადმინისტრაციამ ამაზე ჯერ უარი მითხრა და შემდეგ განმიცხადა, რომ იგი მომცემს მოწმობას, მაგრამ შიგ აღნიშნავს ყველა თავის მოტივებს და მიზეზებს თუ, რისთვის მომხსნა მე სამუშაოდან (ე. ი. გამოშვების ა. წ. „მგლის ბილეთით“).

გთხოვთ განმარტებას, აქვს თუ არა ადმინისტრაციას უფლება სამსახურიდან დათხოვნილათ მომუშავის მოწმობაში შეიტანოს რამე მისი გამაწბილებელი ცნობა!

კავშირის წევრი ი. პარ—ი.

პ ა ს უ ხ ი

შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 42-ის და ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1924 წ. 26 აპრილის განმარტების თანახმად სასტიკად აკრძალულია დათხოვნილი მუშაკის მოწმობაში რაიმე მისი გამაწბილებელი შენიშვნის ან მიზეზის აღნიშვნა, ან კანონის იმ მუხლების აღნიშვნა, რომლის თანახმად იგი მოხსნილი იქნა სამსახურიდან. ადმინისტრაცია ასეთი მოქმედებისათვის, შესაძლებელია, მიცემული იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც შრომის კანონების დამრღვევი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სადისციპლინო წესდება საპატიმრო ადგილებისა

(დასასრული)

26. დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება უნდა მოხდეს წინასწარი გამოკვლევების შემდეგ.

27. ერთი და იმავე მცირე დანაშაულებისათვის უფროსს შეუძლიან დაადოს დამნაშავეს მხოლოდ ერთი სასჯელი.

28. უკეთუ უფროსი სცნობს, რომ მისთვის მინიჭებული ხელისუფლება ამა თუ იმ ხელქვეითზე დისციპლინარული სასჯელის დასადებად საკმარისი არ არის, იგი შუამდგომლობას აღძრავს ხელქვეითობისამებრ იმ სასჯელის დადების შესახებ, რომელიც შეესაბამება მცირე დანაშაულის ხასიათს.

29. უმაღლესი საფეხურის უფროსს უფლება არა აქვს გააუქმოს დაბალი საფეხურის უფროსის მიერ დადებული სასჯელი; ხოლო როცა სასჯელი შეცდომით იქნება დადებული იგი შეიძლება გაუქმებულ იქნეს უმაღლესი საფეხურის უფროსის მიერ, ხელქვეითის საჩივრით ან იმ უფროსის წარდგენით, რომელმაც შეცდომით დაადო სასჯელი.

30. დამნაშავე ხელქვეითისათვის სამსახურში დაწინაურებისა და ჯილდოს და წარჩინების უფლების ჩამორთმევის ვადა, კარგი ყოფა-ქცევისა და სამსახურში თავის გამოჩენის გამო შეიძლება შემცირდეს ან და სრულიად გაუქმდეს.

ასეთი სასჯელისათვის შემცირების ან სრულიად პატიების უფლება აქვს ხელქვეითისამებრ ზე-მდგომ უფროსს იმ უფროსის წარდგენით, რომელმაც სასჯელი დაადო.

31. ყოველ მცირე დანაშაულის ჩადენა და დამნაშავე ხელქვეითისათვის სასჯელის დადება უნდა გამოცხადდეს ბრძანებაში, გარდა სიტყვიერი შენიშვნისა და საყვედურისა ,და შეტანილი უნდა იქნეს სასჯელთა ჟურნალში, სადაც აღინიშნება: დანაშაულის სახე, დადებული სასჯელის გვარი და ზომა, სასჯელის გადაწყვეტისა და მისი აღსრულების დრო.

32. სასჯელი, რაც დამნაშავეს დაედება, მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში დაუყოვნებლივ, უკეთუ ამისათვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობს.

33. ხანდაზმულობის გასვლის გამო სასჯელი არ დაედება იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ჩადენილი მცირე დანაშაული ან მისი ჩამდენი ხელქვეითი არ იქნება აღმოჩენილი სამი თვის განმავლობაში დღიდან დანაშაულის ჩადენისა;

ბ) უკეთუ დადებული სასჯელი არ იქნება სისრულეში მოყვანილი სამი თვის განმავლობაში დღიდან სასჯელის დადების ბრძანებაში გამოცხადებისა.

თავი 6

საჩივარი

34. საპატიმრო ადგილის თანამშრომელს შეუძლიან განასაჩივრონ მის მიმართ უკანონო და უსამართლო მოქმედება ან განკარგულება უფროსისა. სხვის მაგივრად საჩივრის განცხადება აკრძალულია.

35. არ შეიძლება აღძრულ იქნეს საჩივარი სასჯელის სიმკაცრეზე, უკეთუ უფროსი, რომელმაც სასჯელი დაადო, არ გადასცილდა მისთვის კანონით მინიჭებულ ხელისუფლების საზღვარს.

36. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს უშუალოდ იმ უფროსთან, რომელსაც ექვემდებარება ის უფროსი, რომლის მოქმედებაზედაც საჩივარია შეტანილი, თანაც ეს უნდა მოხსენდეს ხელქვეითობისამებრ.

37. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ხუთი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც საპატიმრო ადგილის თანამშრომელი გაიგებს, რომ მისი უფლება დარღვეულია.

უკეთუ საჩივრის შეტანა ხუთი დღის განმავლობაში შეუძლებელი იქნება, ავადმყოფობისა, წარვლინებისა, სასამსახურო განწესებისა ან სხვა, მოჩივარისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ მიზეზის აცილებისა, რამაც განცხადების თავის დროზე შეტანა დააბრკოლა. უკეთუ საჩივარი აღნიშნულ ვადაზე გვიან იქნა შეტანილი—იგი განსახილველად არ მიიღება.

38. აკრძალულია საჩივრის შეტანა სამსწავლო მეცადინეობისა, სასამსახურო განწესების და საერთოდ, სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს.

39. საჩივრის შეტანა შეიძლება სიტყვიერად ან წერილობით.

წერილობითი საჩივარი, უკეთუ ის ხელმოწერილი არ იქნება მოჩივარის მიერ (ანონიმური) განუხილველი დარჩება.

40. ყველა საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ჩაწერილი სამმართველოს ან კომანდის საჩივართა დავთარში.

41. უფროსი, მიიღებს რა საჩივარს, ვალდებულია არა უგვიანეს მეორე დღისა, შეუდგეს მის განხილვას და გამოარკვიოს ყველა ის გარემოება, რაც საფუძვლად უდევს საჩივარს.

საჩივრის გამოკვლევა მისი შინაარსის, გარემოებათა სირთულისა და იმ უფროსის თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით, რომელიც საჩივარს მიიღებს, მოხდება ან პირადად უფროსის მიერ ან და, მისი დავალებით, მისი ერთ-ერთი ხელქვეითის მიერ; არ შეიძლება საჩივრის გამოკვლევა მიენდოს ისეთ პირს, რომელიც მოჩივარის ხელქვეითია იმ უფროსისა, ვიზედაც შეტანილია საჩივარი.

42. საჩივრის მიმღებმა უფროსმა სამის დღის განმავლობაში დღიდან საჩივრის მიღებისა უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა განსაკუთრებულ რთული შემთხვევისა, რომელიც ხანგრძლივ გამოძიებას მოითხოვს.

43. უკეთუ მოჩივარი ორი კვირის განმავლობაში არ მიიღებს არავითარ პასუხს ან გადაწყვეტილებას თავის საჩივარზე, მას შეუძლიან შეიტანოს საჩივარი შემდეგ უფროსთან ხელქვეითობისამებრ:

44. საჩივარი, რომელიც გამოწვეულია მით, რომ მოჩივარმა არ იცოდა ან არ ესმოდა თავის უფლება, აგრეთვე მომქმედი კანონები და წესდება ან და უფროსის განკარგულება, უნდა ჩაითვალოს უსაფუძვლოდ; უფროსი, რომელმაც ასეთი საჩივრის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა, ვალდებულია განუმარტოს მოჩივარს მისი გაუგებრობა ან შეცდომა.

45. უკეთუ მოჩივარი თავის საჩივარში სიტყვიერად ან წერილობით დაასახელებს ისეთ გარემოებას, რაც მისი წინასწარი შეცნობით არ მომხდარა, ან აღძრავს ბრალდებას უფროსის ისეთ მოქმედების გამო, რაც მოჩივარის წინასწარი შეცდომით, უფროსს არ ჩაუდენია, ასეთი საჩივარი ჩაითვლება ტყუილ საჩივრად.

ასეთი საჩივრისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის და 184 მუხ. მიხედვით.

46. უკეთუ უფროსი სცნობს, რომ საჩივარი საფუძვლიანია, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო განკარგულება დარღვეული უფლების აღსადგენად. უკეთუ ასეთი განკარგულების მოხდენა მისი კომპეტენციის ფარგლებს ასცილდა, იგი ვალდებულია სთხოვოს სამისო განკარგულება სათანადო ზე-მდგომ უფროსს.

47. უფროსის მიერ დადებული სასჯელის განსაჩივრება არ შეაჩერებს სასჯელის სისრულეში მოყვანას.

48. უკეთუ საჩივრის გამომწვევი გარემოებების გამოკვლევით დადასტურდა საჩივრის საფუძვლიანობა, უფროსი, რომელზედაც შეტანილია საჩივარი, დაისჯება დისციპლინარული წესით ან და სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლში გათვალისწინებული სასჯელით, უკეთუ მისი მოქმედება არ შეიცავს უფრო მძიმე რამ ქმედობის ნიშნებს; ხოლო უკეთუ ამისთანა ნიშნებს შეიცავს, აღნიშნული უფროსი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

საქ. პარტ. კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგანიზაციო-განმანაწ. განყოფილება იუწყება, რომ **ორშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე** პროფკავშირთა საბჭო წითელ დარბაზში შესდგება თათბირი საქ. ყველა სამეურნეო ორგანიზაციის სათავეში მდგომ კომუნისტ-ხელმძღვანელების და ყველა ცენტრალურ გამგეობების თავმჯდომარეების და კომფრაქციის მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი: ეკონიმიის რეჟიმის შესახებ და სხვა. დასწრება სავალდებულოა.

ვინ არის წინააღმდეგი?

ს. კ. პ. (ბ) **ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტში** შემოტანილია განცხადებები პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ. თხოვნა ყველა პარტამხანაგების და იმ პირთ მიმართ, ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო ქვემოდ დასახელებულ პირთა პარტიაში ჩარიცხვის წინააღმდეგ—წერილობით ან სიტყვიერად აცნობონ სამპარტკომს.

მღებრიშვილი სერგო, შელია პეტრე, მურღულია სერაფიონ, მერღულია სევერიანე, ქორიძე იულო, კვირიკეიშვილი მიხეილ, ნაფეტვარიძე ტერენტი, კიკალიშვილი იონა, კუჭავა ვარლამ, კვიცარიძე აკაკი, მუშკუდიანი აკაკი, თარგამაძე ივანე, ცინცაძე გედეონ, გრიგორია კარპეზ, ახობაძე ივანე, ონიანი დომენტი, პაპავა ნინო, ოდილაძე არტემ, მაღლაკელიძე ბაგრატი, ჭეზევაძე იოველ, ჩარკვიანი აპოლონ, ჩარკვიანი მიხეილ, გრიგორაშვილი იპოლიტე, გოკიშვილი გედეონ, ხელაძე კოლია, გუმბერაძე ალექსანდრე, ალბოროვი ალექსანდრე, ლორია გიორგი, აბუსერიძე ამბროსი, ჩხენკელი გრიგოლ, ქავჭანიძისა ოლია, ივანიაძე ნიკოლოზ, კორბაძე ნიკოლოზ, წერეთელი ოლია, ჩხეიძე აკაკი, ჩუბინიძე სოკრატი, გრძელიძე ირაკლი, გოგაძე შალვა, ტოკვე გრიგოლ, კახაძე ნესტორ, ნიჟარაძე სიმონ, ბახტაძე ილია, კაშია ვარლამ, პაპავა ალექსანდრე, რუსიძე დიმიტრი, გვარაკიძე დავით, ტაბიძე ილია, ძაგნიძე მარიამ, კაპანაძე გრიგოლ, თევზაძე ვასილ, კვასხაძე ლავრენტი, ჩიტაიშვილი ვალერიანე, კუბლაშვილი ნინა, სირბილაძე ლიდა, მიქელაძე გრიგოლ, ბიბილეიშვილი ნოე, საღარაძე ივანე, ქორქოსაძე ნოე, კოპალიანი ირაკლი, ქიშქარია ვარლამ, ადამია ივანე, კაჭახიძე ევგენი, კაჭკაჭიშვილი შალვა, ვაჭრიძე შალვა, ბეროძე კალენიკე, ფირცხალავა პეტრე, ცხადაძე აკაკი, ნაქაძე კონსტანტინე, კაპანაძე ნიკოლოზ, ქარქაშაძე სონია, ბუბაშვილი ერმილე.

ს. კ. პ. **ლენრაიკომის** სააგ. საპროპ. განყოფილება იტყობინება, რომ ორშაბათს, 12 აპრილს საღამოს 6 საათზე მე-6 უბნის სალიანდაგო დარგის მუშათა კლუბში შესდგება **ლენინის რაიკომის მუშკორთა კონფერენცია.**

დღის წესრიგი: 1. მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის ორგანიზაციული ფორმები. 2. კედლის გაზეთი წარმოებაში.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **მზიაშვილთან.**

აბაზაძე მიხეილ, პეპლოვი ვასილ, გოჩიტაშვილი, ომამკაშვილი ალექსანდრე, იორამაშვილი ფეფუცა, ჭანკაშვილი სიპკო, ცქვიტინიძე სევასტი, ხელაშვილი ბესარიონ, მიქელაძე გიორგი, ავეტისოვი გაიკ ტ. ამსდავგალიუკ, ჯიქაევი მ.

ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ორშაბათს 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე მე-5 შრომის სკოლაში (ჟუკოვსკის ქ. № 9). გაიმართება **სექციის მორიგი მეცადინეობა.** ყველა სექციებში ჩაწერილ დელეგატ-ქალების დასწრება სავალდებულოა; განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი.

აღნიშნულ სექციებში დელეგატ ქალების სიარულისათვის პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი ქალთა ორგანიზატორები.

საქ. კომპარტიის **თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპაგ. კოლეგიის სხდომა** გაიმართება სამშაბათს, 13 აპრილს, დილის სრულ 9 საათზე ამხ. **ასრიბეკოვის** კაბინეტში.

„კომუნისტი“-ს ხელისმომწერლებმა გაზეთის თავის დროზე მიუტანლობისათვის

უნდა აცნობონ დაუყოვნებლივ გაზეთის

მ თ ა ვ ა რ კ ა ნ ტ ო რ ა ს

რუსთაველის პრ. № 34.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი აუწყებს საზოგადოებას პარტიის წევრის

ამხ. ტორგომ ვართაზაროვის

გარდაცვალებას

დაკრძალვა კვირას 11 აპრილს. გამოსვენება საკუთარ ბინიდან სიონის ქუჩა № 32. დღის 12 საათზე ნ. 1140

თბილისის კომუნალურ ბანკის თანამშრომელნი მწუხარებით აცხადებენ, რომ 9 ამა აპრილს გარდაიცვალა საიპოთეკო განყოფილების მდივანი

ლევან ანტონის-ძე ფურცელაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

1—1 ქ. 2131

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფეოდოსი მიხეილის ასული, შვილები: ნინო, ტატიანა, პანტელეიმონი, შალიკო, ანდრია, ამბროსი და გიორგი, სიძეები: მიხაკო ჩხეიძე და მიხაკო ყენია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი მამა

დავით ტარიელის-ძე სანიკიძე

დაკრძალვა სოფ. ზემო-სურებში (გურია) ა. წ. 13 აპრილს დღით, სამშაბათს. 2125 1—1

ორშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 6 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ნახევარი წლის შესრულების გამო პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას

გიორგი აბრამის-ძე ზუციშვილის

რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს სოფიო მაკარის ასული, შვილები შალვა და არჩილი, ძმა ილია, რძლები — ალექსანდრა და მარიამი, შვილის-შვილები — თინა და ქეთო და ძმისწულები — ლადო და ნინო.

1—1 ქ. 2128

ღრმად დამწუხრებული დედა ელისაბედი, მეუღლე ლიდა ბიჭიას ასული, შვილებით გოგოშა, ელენე, ნინა და სულიკო, ძმა იაკობი მეუღლეთი, სიძე ეგნატე და დაი საშა აბულაძეები, ძმისშვილები ვლადიმერი და ევა კაიშაურები, ცოლისდა დარიკო ცოლისძმები კოლა და ნიკოლა თავისი მეუღლეებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 აპრილს 12 საათზე, ვერის-ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

დათიკო სიმონის-ძე კაიშაურის

გარდაცვალებიდან წლის თავზე. 2127 1—1

აპოლლო ართისტრო სოლეი
დღეს „ნათელა“
ხვალ უკანასკნელად
„არფასტოში“
„აპოლოში“
„ნათელას“
ჩვენება გრძელდება მესამე კვირაში
სამშაბათიდან
„არფასტო-სოლეი“
„მეჟრაბპომ-რუს“-ის გამოცემა
„დათვური ქორწილი“
ნ. 972 0—10

ექიმი ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

დღეს, 11 აპრილს, სახელმწიფო ოპერა დღეს, 11 აპრილს,
უკანასკნელი გასტროლი
სანდრო ინაშვილისა
ევგენი ონეგინი
ნ. 1142 1—1

საჯარო ვაჭრობა
ა.-კ. რკინისგზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 22 აპრილს დანიშნულია შერეული ვაჭრობა ანდრეევის ქუჩაზე № 87—89 სამ სართულიან საცხოვრებელ სახლის ასაშენებლად და ბათომის ქუჩაზე ორსართულიან სახლის დასამთავრებლად მიწის და ქვის სამუშაოების ოჯარით გასაცემად. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადებასთან ერთად ქვითარი რკ. გზის კასაში განცხადებულ ფასის 5%-ის შეტანის შესახებ.

საჭირო ცნობების და განცხადებათა ბლანკების მიღება შეიძლება საბინაო-აღმშენებლობის კომიტეტის კანტორაში რკ. გზ. სამმართველოს შენობაში—ვაგზლის ქ. № 1

გამგეობა

3—1 ნ. 1143

დღეს, 11 აპრილს, რუსთაველის თეატრი დღეს, 11 აპრილს,
ვირის ჩრდილი
კომედია ფულდის
დადგმა აკ. ფაღავასი
დეკორაციები მხატვარ. ირ. გამრეკელისა.
უკანასკნელად სამშაბათს, 13 აპრილს,
1—1 ლ ა მ ა რ ა ნ. 1141

იმ მიზნით, რათა შემნახველი სალაროებით სარგებლობა უფრო მოსახერხებელი იქნას

ა.-კ. სახელმწიფო შრომის შემნახველი მთავარი სალარო

ა/წ. 15 აპრილიდან აწარმოებს ოპერაციებს საღამოობით და კვირა დღეებში, რუსთაველის პრ. № 19

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო შრომის მთავარი სალარო ღია იქნება

სამუშაო დღეებში: დილის 9—3 საათამდე. საღამოს—6—8 საათამდე.

კვირაობით: დილის 10—12 საათამდე.

2—1 ნ. 113

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს
ლითონის ტრესტი
სავაჭრო სექტორის № 1 და 2 მაღაზიებში
№ 1—პლეხანოვის პრ. № 87. № 2—პუშკინის ქ. № 29
მიღებულია უმაღლესი ხარისხის ტყავის ღვედები სხვადასხვა ზომის
ფასები კონკურენციის გარეშე
2—1 ნ. 1147

ახალი ფორმის საანგარიშო წიგნაკები
შეერთებული დაზღვევის წიგნაკებთან
დაიბეჭდა და იყიდება
წიგნის მაღაზიაში
რუსთაველის პროსპექტზე № 28
4—1 ნ. 1146 ფასი 20 კაპ. ტალონით.

სამშაბათს, ა.-წ. 20 აპრილს დღის 12 საათზე ქ. თბილისში. კურორტთა მთავარ სამმართ. შენობაში, ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქ. № 30.

დანიშნულია

შერეული
საჯარო შეჯიბრება

შენობათა და მოწყობილობათა იჯარით გასაცემად:

ბორჯომში

1. რესტორანი „მინერალური წყლები“ სასტუმროსთან.
2. კურზალის ბუფეტი (რძის და ტკბილეულობის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით)
3. საბილიარდო კურზალში
4. ზის აბაზანებთან ბუფეტი (ლუდის, რძის და ტკბილეულობის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით)
5. კიოსკი პარკში
6. სასწორი საექიმო—პარკში
7. ლოტოს სათამაშო ფარდული პარკში

წაღვერში

1. რესტორანი „სინათლე“
2. კიოსკი მინერალურ წყლებთან
3. კიოსკი პარკში
4. ფოტოგრაფის სასწრაფო სურათების გადაღების მონოპოლიური უფლება პარკში
5. სასწორი საექიმო—პარკში

აბასთუმანში

1. პირველ ტევრში (როშჩა) ბუფეტი
2. მეორე ტევრში (როშჩა) ბუფეტი
3. სასწრაფო ფოტოგრაფიის უფლება ტევრში და სხვა ადგილებში გარდა არაზინდოსი
4. სასწორი საექიმო
5. სასტუმროსთან როტონდის ბუფეტი · სამზარეულოთი

წყალტუბო

1. რესტორანი
2. ბუფეტი პარკში ტკბილეულობის და რძის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით
3. ფურნე
4. ფოტოგრაფიის უფლება პარკში (მონოპოლია)
5. საპარიკმახერო

ა ხ ტ ა ლ ა

1. საპარიკმახერო
2. ფოტოგრაფიის უფლება

ბ ა ხ მ ა რ ო

1. რესტორანი დიდი
2. კეგელბანი
3. ფურნე
4. საწვრიმალო დუქნები დიდი და პატარა
5. საყასბო

შეჯიბრება ბახმაროს ანაგების მოხდება 30 აპრილს, ქ. ოზურგეთში ჯანმრთელობის განყოფილების ბინაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი იჯარით გაიცემა, როგორც მთლიანად, ისე ცალკე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველნი ვალდებულნი არიან შემოტანილ განცხადებაში თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ შენობის ან მოწყობილობისათვის შემოძლეული თანხა ცალ-ცალკე აღნიშნონ. განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს სათანადო საღერბო მარკები და ქვითარი ხაზინისა ან კურორტთა მთავარი სამმართველოს სალაროში შემოძლეულ თანხის 10 პროც. გირაოს შეტანისა. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე საჯარო შეჯიბრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში 23 აპრილს მოხდება განმეორებითი სიტყვიერი შეჯიბრება (პერეტორჟკა), რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვს როგორც წერილობითი განცხადების წარმომდგენელს, ისე სხვა პირებსაც, რომელთათვისაც სავალდებულოა 10 პროც. გირაოს წარდგენა.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოში: ქ. თბილისი, ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქ. № 30, სამეურნეო-საექსპლოატაციო ნაწილში, ოთახი № 22 ყოველ დღე, გარდა უქმეებისა დღის, 10—2 საათამდე.

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭდვა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

0—4 მთავარი კანტორა

1926 წ. საქართველოს კურორტები

სანატორულ საწოლების გაცემა დაიწყო

დაწესებულია ფასების სამი კატეგორია 1 კატ. დაწესებულებებს და ორგანიზაციებს არა ნაკლებ 5 საწოლისა თვიურად.

მე-2 კატ. ერთეულთათვის; მე-3 კატ.—კერძო პირთათვის აბასთუმანში: 1-ლი კატ.—170 მან. მე-2 კატ.—180 მან., მე-3 კ.—230 მან. ბორჯომში: 1-ლი კატ.—175 მან., მე-2 კატ.—185 მან. მე-3 კ. 235 მან., პატარა ცემი, წაღვერი: 1-ლი კ.—165 მ., მე-2 კ.—175 მ., მე-3 კ.—225 მ. სანატორიუმები ახლად შეკეთებულია, მოწყობილობა შევსებული, ფიზიოთერაპიული და ბალნეოლოგიური დაწესებულებები გაფართოებულია.

კურორტები სპეციალისტ ექიმებით და კონსულტანტ-პროფესორებით უზრუნველყოფილი იქნება.

რადგანაც სასანატორიო საწოლების რიცხვი მცირეა, დაწესებულებებს და პროფკავშირთა წევრებს ვთხოვთ დააჩქარონ ლოგინების დაბევება. ყოველგვარი ცნობების მიღება საქართველოს და კავშირის სხვა კურორტების შესახებ შეიძლება საკურორტო ბიუროში 11—2 საათ. ყოველდღე, გარდა უქმეებისა, ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქუჩა № 30, ოთახი № 25. ნ. 1148 1—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. 17 აპრილს დღის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის მაშადი მუსტაფა საფაროვს და იმყოფება მე-10 მილიციის უბ. ტატიანას ქ. № 16, და შესდგება პიანინოსაგან, შიფონიერკისაგან, ბუფეტის შკაფიდან, სასადილოს სკამებიდან და სხვა ბინის მოწყობილობიდან შეფასებულია 955 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია სახალხო კვების კავშირის პრეტენზის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სასამართლოს მიერ 2 აპრილს 1926 წ. თარიღით № 1094 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ნაჩვენებ მისამართზე, სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დროს. 2126 1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 16 აპრილს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 13, სომხის ბაზრის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის პეტროს ამბარცუმიანცის მოძრავ ქონებას: ოქროს, ვერცხლის და სხვა ნივთებს შეფასებულს 1260 მანეთად, თამბაქოს ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ოლქის სასამართლოს 30 აპრილს 1925 წ. თარიღით, № 21762, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა მეორეა. 2130 1—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი.
ბეჟუთოვის ქ. № 33. 25—8

ექიმი ი. დ. თოფურიძე
№ 3ა მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—1

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილი პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ე ქ ი მ ი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ჭავჭავაძის ქ. № 15. [illegible]

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3
25—11

ექიმი ა. ს. ფონ-ბირილი
ივლილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბომონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—18

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე. საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექ. ვასილი ნიკიფორესძე ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

ე ქ ი მ ი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. პავლეს) № 64.

ე ქ ი მ ი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—8

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო აღრიცხვის ბარათი ლევან ლუკასძე სალარაძის სახელზე. ჩ. გ. 2133

დაიკარგა დამზღვევ სალაროწიგნაკი ტასო გოიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2132

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 96 ალექსანდრე (იგივე დიანოზი) ლოჩოშვილის სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა რკ. გზის. პროფკავშირის წიგნაკი № 25021, სამხედრო აღრიცხვის ქაღალდის ჩამონაჭერი ვ № 60611, კომპარტიის საწევრო წიგნაკი № 497992, უვადო პირადობის მოწმობა № 10 და პირადობის მოწმობა სურათით სამსახურიდან მოცემული ილია დავითისძე გაგიევის სახელზე. ჩ. გ. 2129

საქართვე ოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 63